



World Health Organization  
Regional Office for Europe



ორგანიზაცია „ესტონეთი-საქართველო“  
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის

მექანიზმების შეფასება პირველად ჯანდაცვაში

საქართველო

2009 წ.

**UDC (უაკ) 616-08-039.71  
ა-76**

იბეჭდება ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით  
ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას

© ჯანმრთელობის მსოფლო ორგანიზაცია 2009  
საავტორო უფლებები სრულად დაცულია

პუბლიკაცია გამოცემულია შ.პ.ს. “ჯისიაი“-ში  
ISBN – 978-9941-0-2246-3

## **ავტორები**

**პროფესორი ბეჟან წინამძლვრიშვილი,** სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, აკად. წინამძლვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოების პრეზიდენტი

**პროფესორი ლევან ბარაშიძე,** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეროვნული კოორდინატორი არაგადამდები დაავადებებისა და კვების საკითხებში

**დალი ტრაპაიძე,** აკად. წინამძლვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოება

**მედიცინის დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი ლელა სტურუა,** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამსახურის უფროსი

**სამუშაო ჯგუფი: თამარ აბესაძე,** კარდიოლოგიის ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოება; **ნინო შარაშიძე,** მედიცინის აკადემიური დოქტორი, კარდიოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოება; **მარინა ბაიდაური,** მედიცინის აკადემიური დოქტორი, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამსართველო; **მარინა ფერაშვილი,** კარდიოლოგიის ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოება; **რევაზ თათარაძე,** მედიცინის აკადემიური დოქტორი, „CINDI საქართველო”, არასამთავრებო ორგანიზაცია „ACTS Georgia”

მოხსენება მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს შორის ორწლიანი (2009-2010) თანამშრომლობის შეთანხმება (BCA) პროდუქტისათვის: არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის გაძლიერება

### განსაკუთრებული აღნიშვნა

ავტორები გამოხატავენ მადლიერების გრძნობას ყველა იმ პირის მიმართ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დოკუმენტის შექმნის პროცესში თავისი თანადგომით, გაწეული ძალისხმეულითა და ექსპერტული რჩევებით:

ბატონ სანდრო ქვიტაშვილს, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს;  
ბატონ ირაკლი გიორგობიანს, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს;

ბატონ ნიკოლოზ ფრუიძეს, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს;

ბატონ ვახტანგ სურგულაძეს, ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსს;

ბატონ მამუკა ქაცარავას, ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს;

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს სოფიო ლებანიძეს და თანამშრომლებს: ეკა პაატაშვილს, ირმა მაჟავანაძეს, კახა ხელაძეს, ნია გიუაშვილს, დევა ნიუარაძეს, ნათია ნოღაიდელს, ზაზა ჩაჩანიძეს, ქეთევა გოგინაშვილს.

დარგის ექსპერტებს: ამირან გამყრელიძეს, თამაზ მაღლაკელიძეს, ივანე ჩხაიძეს, რემა ლვამიჩავას, დავით ვირსალაძეს, რამაზ ჭერაშვილს, სანდრო ცისკარიძეს, ნანა ბურჯაძეს, ზურაბ ფადავას, ნინო ვეფხვაძეს, გურამ კიქაძეს, კობა ამირხანაშვილს, მაია გოთუას, გიორგი გეგელაშვილს, ვახტანგ ბარბაქაძეს, ნიკოლოზ ლილუაშვილს, ილია თავზარაშვილს, ვასილ ტევეშელაშვილს, გულიკო დვალს, ნატა ავალიანს, ქართლოს კანკაძეს, ნინო ლომიას, ირინა ქაროსანიძეს

**არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის მექანიზმების შეფასება**

## **პირველად ჯანდაცვაში**

ქართულ პოპულაციაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის არსებული სიტუაციის შეფასება, ანალიზი და პრობლემათა ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა მათი ტვირთის გამო ავადობისა და ზოგადი სიკვდილობის სტრუქტურაში – ჯანდაცვის სისტემის ერთერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებად მოიაზრება.

აღნიშნული სამუშაოს განხორციელება პროფესიული ასოციაციის მიერ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოლაბორაციაში, არის ერთგვარი გარანტია დოკუმენტის მაღალი ხარისხისა. რაც შეეხება ინფორმაციის მიმწოდებლებს, ისინი წარმოადგენენ საქართველოს ექსპერტთა ჯგუფს, რომელთა მიერ წარმოდგენილი მონაცემებიც განსაზღვრავს დოკუმენტის მაღალ სარწმუნოებას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დაკვეთა შესრულდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, აღნიშნული დოკუმენტი უნდა გახდეს სტრატეგიული გადაწყვეტილებების საფუძველი არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში.

**ალექსანდრე კვიჭაშვილი**  
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის მინისტრი

## სურათების სია

სურათი 1. სიკვდილის მიზეზები, ყველა ასაკი, საქართველო, 2002	9
სურათი 2. ქრონიკული დაავადებების სიკვდილობის აცილების შესაძლებლობა, სხვადასხვა დონის შემოსავლის მქონე ქვეტებში	10
სურათი 3. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების გავრცელება, საქართველო, 2000 – 2007	16
სურათი 4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პრევალენტობის მაჩვნებელები, საქართველო, 2000-2007	16
სურათი 5. სმს დაავადებათა პრევალენტის და ოციდენის მაჩვნებლები ბავშვებში, 2000-2007	17
სურათი 6. სმ სისტემის დაავადებათა ინსიდენტის მაჩვნებლები, საქართველო, 2000-2007	17
სურათი 7. არტერიული ჰიპერტენზის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007	18
სურათი 8. ქვეჭნები, რომელთა მოსახლეობას აღნიშნება არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები	18
სურათი 9. არტერიული ჰიპერტენზის გვრცელების 60 წლიანი დინამიკა საქართველოში, კარდიოლოგიის ინსტიტუტი	19
სურათი 10. 10 ძირითადი რისკ-ფაქტორის წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002	20
სურათი 11. 10 ძირითადი დაავადების წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002	20
სურათი 12. თბილისის ქალთა მოსახლეობის სიკვდილის მიზეზების სტრუქტურა, 2002-04	22
სურათი 13. თბილისის მამაკაცთა მოსახლეობის სიკვდილის მიზეზების სტრუქტურა, 2002-04	22
სურათი 14. რეპროდუციული სისტემის კიბოთი სიკვდილობის სტრუქტურა თბილისის ქალთა მოსახლეობაში, 2002-04	23
სურათი 15. ავთვისებანი სიმსივნების გავრცელება, საქართველო, 2000-2006	24
სურათი 16. ძირითადი ლოკალიზაციის კიბოს ინციდენტობა სქესის მიხედვით, 2007	25
სურათი 17. სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის ავთვისებანი სიმსივნების ინციდენტობა, საქართველო, 2001 – 2007	25
სურათი 18. სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიკური ინციდენტობა	26
სურათი 19. ძირითადი ლოკალიზაციის კიბოს პრევალენტობა, საქართველო, 2007	26
სურათი 20. ხუთი წლის და მეტი დროის განმავლობაში აღრიცხვაზე მყოფ აგადმყოფთა პროპორცია ავთვისებანი სიმსივნის ლოკალიზაციის მიხედვით	27
სურათი 21. ავთვისებანი სიმსივნის დაგნოზიდან პირველ წელს გარდაცვლილ პაციენტთა ხვედრითი წილი	27
სურათი 22. ავთვისებანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობა სტადიების მიხედვით, 1998-2007	28
სურათი 23. შაქრიანი დიაბეტის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007	30
სურათი 24. სიმსუქნის აწალი შემთხვევების მაჩვნებლები, საქართველო, 2000-2006	30
სურათი 25. ტაიი 2 შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვნებლები, 2000-2007	31
სურათი 26. 2000-2007 წლებში 0-14 წლამდე ასაკის ბავშვები შაქრიანი დიაბეტის მაჩვნებლები	32
სურათი 27. სასუნთქი სისტემის დაავადებების ინციდენტობა, 2000-2007	33
სურათი 28. ძრონქული ასთმის გავრცელება, საქართველო, 2000–2007	34
სურათი 29. ქრინიკული და დაუზუსტებელი ძრონქიტი, საქართველო, 2000-2007	34
სურათი 30. რესპირატორული დაავადებები, კვლევის „ქრინიკული რესპირატორული დაავადებები პირველადი ჯანდაცვის ღონიშე“ და ოფიციალური მონაცემების შედარება	35
სურათი 31. საქართველოში ტრავმების, დამწერობების და მოწამვლების ავადობის დონიმიკა, 2000-2007	37
სურათი 32. 10 ძირითადი რისკ-ფაქტორის წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002	38
სურათი 33. არტერიული ჰიპერტენზის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007	39
სურათი 34. ჭრის წონის გავრცელება, საქართველო, 2005-2015	44
სურათი 35. ასაკიბრივი პირამიდა, საქართველო, 2007	55
სურათი 36. დედათა სიკვდილიანობის მაჩვნებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 1997 – 2007	57
სურათი 37. პერინატულური და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილობის მაჩვნებლები, 1997-2007	57
სურათი 38. ბიუკეტი ასოლუტურ რიცხვებში, საქართველო, 2004-09	58
სურათი 39. საზელოწიფოს დანახარჯები ჯანდაცვაზე	59
სურათი 40. ჯანდაცვაზე დანახარჯების სტრუქტურა, საქართველო, 1996-2006	59
სურათი 41. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების მიხედვით	60
სურათი 42. მოსახლეობის სტატუსი დასაქმების მიხედვით	60
სურათი 43. ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ მოსახლეზე, საქართველო, 2005-2007	72

## ცხრილების სია

ცხრილი 1. რისკურსულორთა სევდრითი წილი სხვადასხვა დაავადებათა განვითარებაში %	93
ცხრილი 2. ავადობის ტვირთი (DALYს) ძირითადი მიზეზების მიხედვით, 2002	93
ცხრილი 3. მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით	94
ცხრილი 4. ავადობის მონაცემები 0-14 წლის ასაკის ბავშვებში	95
ცხრილი 5. დაავადებათა გავრცელება 100000 მოსახლეზე, საქართველო, 2007	96
ცხრილი 6. დაავადებათა გავრცელება 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში 100000 ბავშვზე, საქართველო, 2007	97
ცხრილი 7. დაავადებების ინციდენტობა ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, საქართველო, 2007	98
ცხრილი 8. გარდაცვლილთა რაოდენობა და სიკვდილობის მაჩვენებლები ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2007	99
ცხრილი 9. სიკვდილობა ძირითადი მიზეზების მიხედვით, საქართველო, 2005-2007	100
ცხრილი 10. გარდაცვლილთა რაოდენობა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2006	101
ცხრილი 11. გარდაცვლილების მაჩვენებლების დინამიკა 2003-2007 წლებში ასაკისა და სქესის მიხედვით	102
ცხრილი 12. სიკვდილობის სტრუქტურა ძირითადი მიზეზების მიხედვით (%)	103
ცხრილი 13. საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის სტრუქტურა დაავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით (100 000 სულ მოსახლეზე)	103
ცხრილი 14. სისხლის მიმღევების სისტემის დაავადებების გავრცელება ზოგიერთი ნოზოლოგის მიხედვით, საქართველო, 2001 – 2007	104
ცხრილი 15. არტერიული ჰიპერტენზია და გულის იშემიური დაავადება გამოკვლეულ პოპულაციაში	104
ცხრილი 16. ქრონიკინული სისტემის, კებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები, საქართველო, 2007	105
ცხრილი 17. ფარისებრი ჯირკვლის კვლევის შედეგები, საქართველო, 2005 - 2007	105
ცხრილი 18. ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია რევიონების მიხედვით (კვლევის შედეგები), საქართველო, 2006-2007	106
ცხრილი 19. ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია 15 წლამდე ასაკის ბავშვებში რევიონების მიხედვით (კვლევის შედეგები), საქართველო, 2006-2007	106
ცხრილი 20. სასუნთქი სისტემის დაავადებების გავრცელება ზოგიერთი ნოზოლოგის მიხედვით, საქართველო, 2007	107
ცხრილი 21. ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი, ინციდენტობა და სტრუქტურა, საქართველო, 2007	108
ცხრილი 22. ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი, გაფრცელება რევიონების მიხედვით, 2006 – 2007	109
ცხრილი 23. ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი, გაფრცელება ბავშვებში რევიონების მიხედვით, 2006-2007	109
ცხრილი 24. ტრავმების, მოწამვლების და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგების დაგნოზით სტაციონარიდან გასული ავადმყოფების რაოდენობა და ლეტალობა ზოგიერთი ნოზოლოგის მიხედვით, საქართველო, 2006 – 2007	110
ცხრილი 25. სისხლის ქოლესტოროლი, რისკურსულების კვლევა, საქართველო, 2006-2007	110
ცხრილი 26. სისხლის გლუკოზი, რისკურსულების კვლევა, საქართველო, 2006-2007	111
ცხრილი 27. ანთროპომეტრიული გაზომვები, რისკურსულების კვლევა, საქართველო, 2006-2007	111
ცხრილი 28. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასებში)	112
ცხრილი 29. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო, 2006 – 2007	112
ცხრილი 30. შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლები და მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები, საქართველო, 1990-2007	112
ცხრილი 31. გარდაცვლილთა რაოდენობა და სიკვდილობის მაჩვენებლები ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2007	113
ცხრილი 32. ინციდენტის მოსალოდნებლი ხანგრძლივობა დაბადებისას, საქართველო, 1990 – 2007	113
ცხრილი 33. ამბულატორიულ სერვისებზე დანახარჯები ბიუჯეტიდან, 2007	114
ცხრილი 34. სოფლის ამბულატორიებში მიმართვათა რიცხვი 1 სულ სოფლის მოსახლეზე, საქართველო, 2005 - 2007	114
ცხრილი 35. შინამუერნებათა კომპლექსური გამოკითხვის მონაცემებთა შედარება; ქრონიკული პათოლოგით ავადობა და მურნალობა; 2001 - 2007	114

<b>სარჩევი</b>	9
<b>შესავალი</b>	12
<b>მეთოდოლოგია</b>	
<b>ნაწილი 1: არაგადამდებ დაავადებათა პრობლემის განსაზღვრა</b>	13
საერთო აგადობის და სიკვდილობის მონაცემები ასაკისა და სქესის მიხედვით	13
საერთო ავადობა	13
საერთო სიკვდილობა	14
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	15
ავთვისებიანი სიმსივნეები	22
შაქრიანი დიაბეტი	29
რესპირატორული დაავადებები	33
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	37
რისკ-ფაქტორები	38
არტერიული ჰიპერტენზია	39
სისხლის ქოლესტეროლი	42
სისხლის გლუკოზა	43
სხეულის მასის ინდექსი	44
თამბაქო	46
ალკოჰოლი	48
კვება	49
ფიზიკური აქტივობა	51
ფსიქო-სოციალური ფაქტორები	53
<b>ნაწილი 2: არაგადამდებ დაავადებათა ტენიროვანი დოკუმენტი</b>	55
დემოგრაფიული სტატისტიკა	55
სახელმწიფო ბიუჯეტი	58
<b>ნაწილი 3: არაგადამდები დაავადებების ეკონომიკური ტენიროვანი დოკუმენტი</b>	47
<b>ნაწილი 4: არაგადამდები დაავადებებთან დაკავშირებული ამჟამინდელი პოლიტიკა</b>	
კანონები	61
ნორმატიული აქტები	62
<b>ნაწილი 5: არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის არსებული პოლიტიკური საქართველოში</b>	
კანონმდებრი საინფორმაციო სისტემები	65
მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	66
<b>ნაწილი 6: პირველადი ჯანდაცვა საქართველოში</b>	68
<b>დასკვნები</b>	88
<b>რეკომენდაციები</b>	92
<b>დანართი 1: ცხრილები</b>	93
<b>დანართი 2: ინფორმაციური ორგანიზაციები</b>	115
<b>დანართი 3: კითხვარი</b>	116
<b>დანართი 4: ოჯახის უქმის მომსახურების პაკეტის პროცესი</b>	118
<b>წყაროები</b>	119


## შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა მრავალ ქვეყანაში, არაგადამდებ დაავადებათა (ხშირად მოიხსენიება ქრონიკულ დაავადებებად) განმსაზღვრელი ფაქტორებია – მაღალი ავადობა, სიკვდილობა და მკურნალობის მზარდი ღირებულება.

ზოგადად არაგადამდებ დაავადებათა მართვა ასოცირებულია მთელ რიგ სირთულეებთან, როგორიცაა მოსახლეობის ქცევითი მოდელის შეცვლის საჭიროება, ექიმის მიერ მკურნალობის პროცესის მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობა, მოსახლეობის დაბალი ინფორმატულობა ჯანმრთელობის რისკის შემცველი ჩვევების შესახებ, პრევენციისა და ხაგრძლივი მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები და სხვა. (იხილეთ სურათი 1)

სურათი 1

სიკვდილის მიზეზები, ყველა ასაკი, საქართველო, 2002



სიკვდილობის 96% საქართველოში არაგადამდებ დაავადებებსა და ტრავმებზე მოდის, აქედან 75% კარდიო-გასკულურ დაავადებებზე.

ვუიქრობთ, არ იქნებოდა ინტერესმოკლებული მიუხედავად წყაროს სიძველისა, რისკ-ფაქტორთა ხვედრითი წილის აღნიშვნა ამ დაავადებათა განვითარებაში ეკონომიკური, სოციალური, ქცევითი და გარემოსთან დაკავშირებული დეტერმინანტების მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით (იხილეთ დანართი 1, ცხრილი 1).

დაავადებათა განვითარებაში არასრულფასოვანი სამედიცინო დახმარების წვლილი სადღეისოდ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. იგი მოიცავს პაციენტის არაადექვატურ ქცევას დაბალი ინფორმატიულობის გამო, მის თვითნებურ ქმედებებს დაავადებათა მკურნალობის პროცესში და ექიმთან დაბალი კომუნიკაციის პირობებში.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლით უახლოესი ათი წლის განმავლობაში ქრონიკული დაავადებების მიზეზით 388 მლნ. ადამიანი გარდაიცვლება. 2020 წლისთვის,

არარგადამდებ დაავადებათა წილი კიდევ უფრო გაიზრდება და მსოფლიოში გადააჭარბებს 60%, ხოლო ევროპაში - 80%-ს.<sup>1</sup>

ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპერტთა მიერ პროგნოზირდება ამ დაავადებათა აღექვატური მართვის მნიშვნელოვანი სირთულეები, რაც გულისხმობს ძალისხმევათა განსაკუთრებული მობილიზაციის საჭიროებას, რადგან დადასტურებულია მათი შემცირების რეალური შესაძლებლობებიც (იხილეთ სურათი).<sup>2</sup>

## სურათი 2

**ქრონიკული დაავადებების სიკვდილობის აცილების შესაძლებლობა, სხვადასხვა დონის შემოსავლის მქონე ქვეყნებში**



არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების სწრაფი ზრდა განაპირობებს სამედიცინო მომსახურების დეფიციტის გაღრმავებას და საფრთხეს უქმნის მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (იხილეთ დანართი 1, ცხრილი 2).<sup>3</sup>

საქართველოში ქრონიკულ დაავადებათა გავრცელების თავისებურებების ანალიზი ძირითადად ეყრდნობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებს, რომლებიც იძლევა ინფორმაციას სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ დაავადებათა ინციდენტობის, პრევალენტობისა და სიკვდილობის შესახებ. ცხადია, ეს მონაცემები ქრონიკულ დაავადებათა გავრცელების რეალურ სურათს ვერ ასახავს, რადგან პაციენტთა დიდი ნაწილი სამკურნალო დაწესებულებებს გვერდის ავლით ექმთა კერძო კაბინეტებს მიმართავს ან თვითმკურნალობას ეწევა.

ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა ემსარება ქრონიკული დაავადებების სელექციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის მათი მნიშვნელობის მიხედვით:

- დაავადებები, რომლებიც სიკვდილობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ:
  - გულ-სისხლარღვთა სისტემის დაავადებები,
  - ავთვისებიანი სიმსივნეები.
- დაავადებები, რომლებიც ავადობისა და ინვალიდობის ძირითად მიზეზებთანაა ასოცირებული:
  - სასუნთქი სისტემის დაავადებები,

<sup>1</sup> [www.who.int](http://www.who.int)

<sup>2</sup> [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

<sup>3</sup> World Health Statistics 2005 WHO

- შაქრიანი დიაბეტი,
  - მიკროელემნტების დეფიციტით გამოწვეული დაავადებები (ენდემური ჩიყვი, რკინადეფიციტური ანემია და სხვ.),
  - საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები,
  - ფსიქიური აშლილობები.
- დაავადებები, რომელთაც გავრცელებისა და სიკვდილობის საერთო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავთ, მაგრამ მათი მონაცემები აღემატება მაგ. სხვა ქვეყნის მაჩვენებლებს და ამდენად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემას წარმოადგენს. ასეთი დაავადებათა ჩამონათვალი შესაძლოა წლიდან წლამდე იცვლებოდეს.

ქვეყნაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის რეალური სურათის აღწერა და მისი ანალიზი თანმიმდევრული ოპტიმალური ღონისძიებების დასახვისა და მათი განხორციელების საშუალებას იძლევა.

ქვეყნის აქტივობები დაფუძნებული უნდა იყოს ჯანმრთელობის ექსპერტთა მოწოდებაზე: „ქრონიკულ დაავადებათა გლობალური ეპიდემია შესაძლოა შეჩერდეს და უნდა შეჩერდეს“.

## მეთოდოლოგია

საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და მასთან ასოცირებული სხვადასხვა ხარისხის სარწმუნოების მქონე ნებისმიერი აქტივობის ინვენტარიზაცია განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს საინფორმაციო სისტემის არასრულყოფილების, ამ პროფილს დაავადებათა სფეროში სტანდარტული კვლევების დეფიციტის, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის – პოსტკონფლიქტური სიტუაციის და ჯანდაცვის სისტემაში რეფორმათა მიმართულებების ხშირი როტაციის და ზოგადად პოპულაციის განსაკუთრებული ფსიქო-სოციალური სტატუსის გამო.

მეთოდოლოგია მოიცავდა პირველ რიგში, ინფორმანტი ორგანიზაციების (იხილეთ დანართი 2) განსაზღვრას, რომელთა შორის იყო სახელმწიფო ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები, პროფესიული ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ინფორმაციის შეგროვების ხანგრძლივი პროცესი მოიცავდა საინფორმაციო ხასიათის წერილების დარიგებას, მეორე ეტაპი გახლდათ სატელეფონო შეტყობინება, ზუსტი ვადების შეხსენება და ბოლოს, ინფორმაციის მიღება ელექტრონულად ან წერილობით.

ამ პროცესში, კვლევაში ჩართულობა ყველაზე მაღალი (80%) გახლდათ სახელმწიფო ორგანიზაციებში, და კრიტიკულად დაბალი, დაახლოებით 40% უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებში (ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ამ კვლევის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია).

მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, ინფორმაციის დაზუსტებისა და დამატების მიზნით, ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიურება ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმანტებს შორის. შემუშავდა სტრუქტურირებული კითხვარის 2 ტიპი შესაბამისად ინფორმანტთა ორი ჯგუფისთვის (იხილეთ დანართი 3).

გამოყენებულ იქნა საჯარო ტიპის თითქმის ყველა ოფიციალური დოკუმენტი. აღნიშნული კვლევა დაემთხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში მთავრობის გარკვეული გადაწყვეტილებების ეპიზოდს, საქმე ეხება პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაფინანსებაში კორექტივების შეტანის მცდელობებს, რამაც დიდი ვნებათაღელგა გამოიწვია 2009 წლის დასაწყისში.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი საოჯახო მედიცინის ცენტრების ხელმძღვანელებსა და საოჯახო მედიცინის, ოჯახის ექიმთა ასოციაციების წარმომადგენლებთან.

მირითადი ინფორმანტი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გარდა, გამოყენებულ იქნა ქვეყნაში არსებული საჯარო ოფიციალური ინფორმაციის რამდენიმე წყარო.

მიუხედავად სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა, ინფორმაციის შეგროვების პროცესი ძალიან ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა. ზემოთ აღნიშნულ სპეციფიურ ბარიერებს დაემატა განსაკუთრებული ეტაპი ქვეყნაში ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო ფინანსირების აქცენტების განსაზღვრისა.

## ნაწილი 1

### არაგადამდებ დაავადებათა პრობლემის განსაზღვრა

#### საერთო ავადობის და სიკვდილობის მონაცემები ასაკისა და სქესის მიხედვით

##### საერთო ავადობა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით მოსახლეობის ავადობის ზოგად სტრუქტურაში პრევალირებს სასუნთქი სისტემის დაავადებები, რომელიც პირველად დადგენილ დიაგნოსტირებულ დაავადებათა შორის 37.5% შეადგენს, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები - 9.3%-ს, ენდოკრინული დაავადებები - 3.5%-ს, ასეთივეა ტრავმებისა და მოწამვლების წილი, ახალწარმონაქმნების წილი კი დაახლოებით 1%-ია.

0-14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულ დაავადებათა დაახლოებით 60%-ს სასუნთქი სისტემის დაავადებები შეადგენს. სასუნთქი ორგანოების დაავადების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირატორულ ინფექციებს. სასუნთქი სისტემის დაავადებების პრევალენტობა და ინციდენტობა საქართველოში ტრადიციულად მაღალია, განსაკუთრებით ბავშვებში, პირველად დადგენილი დიაგნოზის 41.2% ბავშვებშია აღრიცხული. სუნთქვის ორგანოთა დაავადებების ლეტალობა მოზრდილებში 0.6%, ბავშვებში კი 0,2%-ია.

რაც შექება დაავადებათა გავრცელებას 100 000 მოსახლეზე, 2007 წლის მონაცემებით თუ კი პრევალენტობა სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ორგანოთა დაავადებებში იდენტურია, ინციდენტობის მაჩვენებელი, ამ უკანასკნელის შემთხვევაში თითქმის 4-ჯერ მაღალია. რაც შექება 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებს, აქ მნიშვნელოვნად სჭარბობს (100 000 ბავშვზე) სასუნთქი სისტემის როგორც პრევალენტობის, ისე ინციდენტობის მაჩვენებელი (შესაბამისად, 24 013.2 და 22 129.3). გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, პირველად დადგენილ დიაგნოზთა რეგისტრაცია სავარაუდოდ არ არის სრულყოფილი, პირველ რიგში ეს ეხება ახალწარმონაქმნებისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა აღრიცხვას, განსაკუთრებით მოზრდილ პოპულაციაში.

(იხილეთ დანართი 1, ცხრილები 3, 4, 5, 6, 7)

## საერთო სიკვდილობა

საერთო სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე პრევალირებს მამაკაცებში. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 55-59 წწ ასაქში ორივე სქესის პირთა შორის, 45-49 წწ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით თითქმის ორმაგდება 4.4-დან 8.2-მდე.

სიკვდილობის მიზეზების მიხედვით მონაცემთა ვალიდურობა დაკნინებულია ქვეყანაში 2000 წლიდან აუტოფსიური მასალის შესწავლის კრიტიკულად შემცირებით, 2007 წლის მონაცემებით საქართველოს სტაციონარში ჩატარდა 672 პათოლოგანატომიური კვლევა, რაც სტაციონარში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 12,3%- შეადგენს!!!.<sup>4</sup> 2000 წლიდან აუტოფსის ჩატარება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი განსაკუთრებით საშიში ინფექციით გამოწვეულ სივდილზე. ყველა სხვა შემთხვევაში პათოლოგანატომიური გაკვეთა ხორციელდება რელიგიური ან სხვა მოტივების, აგრეთვე გარდაცვლილის მიერ სიცოცხლეში გაცხადებული ნების გათვალისწინებით, ან მისი ნათესავის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.<sup>5</sup> რაც შეეხება ბინაზე გარდაცვალების შემთხვევებს, პროცედურა ითვალისწინებს: „აკრძალულია მოწმობის გაცემა დაუსწრებლად, ექიმის მიერ სიკვდილის ფაქტის პირადად დადგენის გარეშე, განსაკუთრებულ შემთხვევებში მოწმობის გაცემა შესაძლებელია გვაძის გარეგანი დათვალიერების საფუძვლზე, რის შესახებაც აუცილებელია სასამართლოს ან პროკურატურის შესაბამისი დადგენილება”.<sup>6</sup> ამ შემთხვევაში ცნობა გაიცემა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ და დაიწერება „სიკვდილის მიზეზი უცნობია”. ასეთი დიაგნოზების სიმრავლის გამო სტატისტიკურ მონაცემთა სიზუსტე და სარწმუნოება საგრძნობლად დაზარალდა. აუცილებლად ხაზგასასმელია სიკვდილის სამედიცინო მოწმობის შევსების ხარისხი. მიუხედავად ამ მიმართულებით დადგებითი ძვრებისა, სიკვდილის უშუალო მიზეზის სათანადოდ გაფორმება კვლავ ხარვეზებით ხდება.

(იხილეთ დანართი 1, ცხრილები 8, 9, 10, 11)

4. სტატისტიკური ცნობარი, საქართველო, 2007, Georgia, statistical reference book

5 საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 153

6 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №54/6 2003 წელი 10 მარტი. ქ. თბილისის „პიროვნების დაბადების თაობაზე გასაცემი –დაბადების სამდიცინო ცნობის, გარდაცვალების თაობაზე- სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის ფორმების, მათი შევსებისა და გაცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ მუხლი 2”

## გულ-სისხლძარღვთა დაავადებები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური სტრატეგია პრიორიტეტულად მიიჩნევს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციასა და კონტროლს აგადობისა და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლების გამო. ჯანმოს მონაცემებით 2005 წელს მსოფლიოში სიკვდილის შემთხვევათა (58 მლნ. ადამიანი) 30% სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებზე (სმსდ) მოდის და შეადგენს 17.5 მილიონს; 2015 წლისათვის შესაძლებელია ეს რიცხვი 20 მლნ-მდე გაიზარდოს.

ოფიციალური სტატისტიკური მინაცემებით სიკვდილობის ზოგად სტრუქტურაში სმსდ-თა ხვედრითი წილი შეადგენდა 67.1%-ს 2006 წელს და 66%-ს 2007 წელს.<sup>7</sup>

2005 წლის ეროვნულ მოხსენებაში „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა“ სიკვდილობის სტრუქტურაში ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სმსდ-ები. (იხილულ დანართი 1, ცხრილი 12, 13)

2002-2004 წწ.-ში თბილისში გარდაცვლილ ქალთა პოპულაციაში სმს დაავადებები შეადგენდა 67%-ს, ხოლო მამაკაცთა პოპულაციაში 59.2%-ს და მიზეზთა სტრუქტურაში პირველ ადგილზეა.<sup>8</sup>

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სიკვდილობის სქეს და ასაკ-სპეციფიური მონაცემების შესახებ ვრცელი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს 2002-2004 წ. თბილისის მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზთა კვლევა. კვლევისას ქალთა მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში (70 წ. და მეტი) წამყვანი მიზეზია გულის იშემიური დაავადება, რაც შეეხება მამაკაცთა პოპულაციას, ეს დაავადება კლინდება 50 წ. ზევით.

ჯანმოს მონაცემებით ჯანმრთელი ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა (HALE) ჩვენს ქვეყნაში 58.2 წელს შეადგენს, რაც მკვეთრად ნაკლებია სამსრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებზე (ბოსნია და ჰერცეგოვინა – 63.7; ბულგარეთი – 63.4; ხორვატია – 64.0; სლოვენია – 66.9; მაკედონია – 64.9; იუგოსლავია – 64.3), თუმცა აღმატება მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს (აზერბაიჯანი - 55.4 და რუსეთის ფედერაცია - 55.5) და ციირედ ჩამოუვარდება თურქეთის (58.7) და სომხეთის მაჩვენებლებს (59.0). ამასთან უკანასკნელი წლების კვლევების შედეგები მიუთითებს გსდ რისკის ფაქტორების მაღალ სიხშირეზე და ზრდის ტენდენციაზე საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში.

<sup>7</sup> სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2006წ. და 2007წ. Georgia, statistical reference book


<sup>8</sup> UNFPA, აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური კვლევა, 2006

## სმს-ის დაავადებების განვითარების ტენდენციები საქართველოში 2000 – 2007 წლებში

2000 – 2007 წლებში საქართველოში აღინიშნებოდა სმს დაავადებათა რაოდენობრივი მატების ტენდენცია, რაც თავის მხრივ იწვევდა ინციდენტობის და პრევალენტობის მაჩვენებლების ზრდასაც.

### სურათი 3

#### სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების გავრცელება, საქართველო, 2000 – 2007




როგორც სურათი 3-დან ჩანს განსაკუთრებით მკვეთრია პრევალენტობის მატება, რაც თავის მხრივ შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტი დაავადებულთა საერთო რიცხვის ზრდით, არამედ წინა წლებთან შედარებით დაავადებულთა აღრიცხვიანობის გაუმჯობესებით.

მოზრდილთა შორის სმსდ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს პიპერტონულ, იშემიურ, რევმატულ და ცერებროვასკულურ დაავადებებს. 2002 – 2007 წლებში აღინიშნებოდა ამ დაავადებების როგორც პრევალენტობის, ასევე ინციდენტობის მაჩვენებლების ზრდა.


### სურათი 4

#### სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პრევალენტობის მაჩვენებლები, საქართველო, 2000-2007




2002 – 2007 წლებში პრევალენტობისა და ინციდენტობის მაჩვენებლების ზრდა აღინიშნება ბაგშებშიც.

სმს დაავადებათა პრევალენსის და ინციდენსის მაჩვენებლები ბავშვებში, 2000-2007



ბავშვებში სმსდ-ის მატების მიზეზები, გარდა მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა შესაძლებელია იყოს საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და ეკოლოგიური პირობები

სმ სისტემის დაავადებათა ინციდენსის მაჩვენებლები, საქართველო, 2000-2007



მოცემულ სურათებზე, არტერიული ჰიპერტენზია, როგორც გულის იშემიური დაავადებისა და ცერებრო-ვასკულურ დაავადებათა ძირითადი რისკ-ფაქტორი და საკუთრივ დაავადებაც – არტერიული ჰიპერტენზია, ავლენს აგრესიული ზრდის ტენდენციებს, რომელიც წესით უნდა განსაზღვრავდეს ქვეყანაში პოპულაციურ დონეზე არაფატალური „საბოლოო წერტილების”, მათ შორის ცერებრო-ვასკულურ შემთხვევათა გარკვეულწილად პარალელურ ზრდასაც. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ გამოხატავს ზრდის აღნიშნულ პარალელიზმს.


ამავე დროს, სიკვდილობის ძირითად მიზეზთა უმრავლესობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც არტერიული ჰიპერტენზის ფატალური საბოლოო წერტილი. მაგრამ, საკუთრივ ჰიპერტენზია სიკვდილის მიზეზად გვევლინება მხოლოდ 2.2 – 2.8%-ში, რაც ჩვენი აზრით, განპირობებულია სიკვდილის ძირითადი მიზეზების ვერიფიცირების პროცედურული ხარვეზით. ჰიპერტენზია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული სისხლძარღვოვანი ფატალური შემთხვევების სავარაუდო გამომწვევ მიზეზად ან თანმხლებ მდგომარეობად, რათა დაფიქსირდეს სიკვდილის სამედიცინო სერტიფიკატში, მიენიჭოს კოდი და მოხვდეს დიაგნოზის სტრუქტურაში.

ყოველ შემთხვევაში, ჰიპერტენზის – როგორც რისკ-ფაქტორის და როგორც სიკვდილის მიზეზის შეფასების საკითხი, უნდა გახდეს დისკუსიის საგანი სიკვდილობის მონაცემთა სარწმუნოების ამაღლების მიზნით, რადგანაც ჰიპერტენზია გვევლინება სიკვდილის მიზეზად მხოლოდ გართულებათა განვითარების გზით.

მოზრდილებში სმსდ-თა შორის ყველაზე მეტი წლილი მოდის ჰიპერტენზიაზე და მისი პროცენტული მაჩვენებელი 2002 -2007 წლებში მერყეობს 45.3% - 50.1%, ანუ სმსდ-დან თითქმის ნახევარი მოდის არტერიულ ჰიპერტენზიაზე. მისი ინციდენტობის და პრევალენტობის მაჩვენებლები ამავე წლებში იყო:

#### სურათი 7


არტერიული ჰიპერტენზის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007



არტერიული ჰიპერტენზის მატება შეიმჩნევა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნაში. მაგრამ სამწუხაროდ 2002 წლის მონაცემებით საქართველო იმყოფება მსოფლიოს იმ 5 ქვეყნას შორის (ბაჰამი, საქართველო, ლესოტო, ლიბერია და მალდივი), რომელთა მოსახლეობაში არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები ფიქსირდება.

#### სურათი 8

ქვეყნები, რომელთა მოსახლეობას აღნიშნება არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები




Source: Ono T, Guthold R, Strong K. WHO Global Comparable Estimates, 2005 (<http://www.who.int/infobase> IBRRef: 199999)

აკად. წინამდლვრიშვილის სახელობის კარდიოლოგის ინსტიტუტს გააჩნია მოზრდილი მოსახლეობის ( $>18$  წ) რეპრეზენტატულ ჯგუფებში არტერიული ჰიპერტენზის გავრცელების

60 წლიანი დინამიკის შეფასების უნიკალური შესაძლებლობა. მონაცემებში დასტურდება პიპერტენზის გავრცელების ზრდა დაახლოებით 60 წლის განმავლობაში. (იხილეთ სურათი 9)

სურათი 9

არტერიული პიპერტენზის გვრცელების 60 წლიანი დინამიკა საქართველოში, კარდიოლოგის ინსტიტუტი



1999 – 2000 წწ. პროფილაქტიკური კარდიოლოგის განყოფილების მიერ სახელმწიფო პროგრამა „სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პრევენცია“ ფარგლებში გამოკვლეულ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ორგანიზებული და არაორგანიზებული მოსახლეობა. აპ და გიდ გავრცელების სიხშირის მიღებული მონაცემები (იხილეთ დანართი 1, ცხრილი 15) განსხვავდება ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებისგან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გავრცელებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ სმსდ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხშირად განსხვავდება პოპულაციური კალებების შედეგად მიღებული მონაცემებისაგან. მაგალითისთვის გამოდგება კარდიოლოგის ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილების მიერ 1985–90 წწ. თბილისა და საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის რეპრეზენტატულ ჯაუზებში განხორციელებული კალებების შედეგები (აპ გავრცელება 18%, გიდ–9%) იმავე წლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით აპ გავრცელება შეადგენდა 5-6%-ს, ხოლო გიდ-ისა 1-8%.<sup>9</sup>

ამდენად, რეალური ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დადგენა ქვეყნაში შესაძლებელია მხოლოდ სტანდარტული რეპრეზენტატული ეპიდემიოლოგიური კალებების საფუძველზე.

1996 წელს პიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოებისა და აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ერთობლივი კვლევით აჭარაში დადგინდა არტერიული პიპერტენზის გავრცელების მაჩვენებელი მოზრდილ მოსახლეობაში (ბათუმი, ქედა, ხულო) – 26,9%. 5 წლის შემდეგ, 2001 წ. კარდიოლოგის ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილების მიერ სახელმწიფო პროგრამა „სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკის“ ფარგლებში შესწავლილ იქნა პიპერტენზის გავრცელების დინამიკა იმავე პოპულაციაში – 49,8%.<sup>10</sup>

არტერიული პიპერტენზის გავრცელების შესწავლის მიზნით ვისკონსინის სამედიცინო კოლეჯის (აშშ), მილუოკის ჯამბრთელობის ტრეინინგის საერთაშორისო ცენტრის (აშშ) და

<sup>9</sup> Cardiovascular Diseases in Georgia, JICA 2001

<sup>10</sup> ეპიდემიოლოგიური ბაულეტენი 1996 წ. 2002წ.


თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1998 წ. ჩატარებული ერთობლივი კვლევით, ქალაქის პოპულაციაში (ქ. თბილისის დიდუბის რ-ნი) აჭ გავრცელება 40-65 წ. ასაკის ინდივიდებში იყო 59.9% (ქალებში 59.1% და მამაკაცებში 62%), ხოლო სოფლის მოსახლეობაში (დუშეთის რ-ნი) - 40.5% (ქალებში 42%, მამაკაცებში – 37.5%).

ამდენად, საქართველოში არტერიული ჰიპერტენზის გავრცელების მასშტაბები გარკვეულად კრიტიკულია.

ჯანმოს 2005 წლის მოხსენების მიხედვით აჭ წილი საერთო სიკვდილობაში (2002 წ. მონაცემებით) 10 ძირითად რისკ-ფაქტორს შორის, შეადგენდა 48.8%-ს. ეს მაჩვენებელი მეტია იგივე მაჩვენებელზე აზერბაიჯანსა და სომხეთში. იხილეთ სურათი 9 და 10.<sup>11</sup>


სურათი 10

#### 10 ძირითადი რისკ-ფაქტორის წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002



სურათი 11

#### 10 ძირითადი დაავადების წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002



<sup>11</sup> European health report 2005: Public health action for healthier children and populations

თუ გავითვალისწინებოთ ზემოთ მოყვანილი კვლევების მონაცემებს და იმ ფაქტს, რომ სისხლძარღვოვანი კატასტროფების (თავის ტვინის ინსულტი და გულის იშემიური დაავადება) განვითარებაში არტერიულ ჰიპერტენზიას ყველა სხვა რისკ-ფაქტორთა შორის წამყვანი აღილი უჭირავს, გასაგები ხდება საქართველოში გიდ და თავის ტვინის ინსულტის გავრცელების მასშტაბები.

2000 წლიდან მკვეთრად გაიზარდა სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვა დაავადებების პრევალენტობისა და ინციდენტობის მაჩვენებლები, განსაკუთრებით 2006 წელს. 2000 წელთან შედარებით 2006 წელს აღინიშნა პრევალენტობის მაჩვენებლის ზრდა 1.7-ჯერ, ხოლო ინციდენტობის მაჩვენებლის – თითქმის 2-ჯერ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში (2005 – 2007 წ.) აგრეთვე მკვეთრად გაიზარდა ცერებროვასკულური დაავადებების მაჩვენებლები. ამ პერიოდში დაფიქსირდა მათი თითქმის თანაბარი პრევალენტობისა (344.7 – 345.5) და ინციდენტობის (111.3 – 116.9) მაჩვენებლები. ამავე წლებში აღინიშნა პრევალენტობის მაჩვენებლის 1.8-ჯერ, ხოლო ინციდენტობის მაჩვენებლის 1.3-ჯერ მატება 2000 წელთან შედარებით.

უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო აქტივობა განხორციელდა 2000 წელს შევიცარია-საქართველოს ერთობლივი კვლევის „ინსულტის ინციდენტის რისკ-ფაქტორები და პატერნები თბილისში“ სახით. გამოყენებული იყო სტანდარტული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (კვლევა გაგრძელდა 36 თვე). ფატალური შემთხვევები გამოკვლეულ იქნა 30 დღის მანძილზე, შედეგად გამოვლინდა იშემიური ინსულტი 19.2%-ში, ინტრაცერებრალური ჰემორაგია 48.4%-ში, სუბარაქნოიდული ჰემორაგია 47.8%-ში და 69.6%-ში დაუზუსტებელი ინსულტი.<sup>12</sup>

შედეგები:

ინსულტის ინციდენტობა	165 (95% CI 145-188)
იშემიური ინსულტი	89 (95% CI 74-106),
ინტრაცერებრალური ჰემორაგია	44 (95% CI 34-65),
სუბარაქნოიდული ჰემორაგია	16 (95% CI 10-25),
დაუზუსტებელი (unspecific) ინსულტი	16 (95% CI 10-25).

გამოვლინდა იშემიურ ინსულტთან ასოცირებული რისკ-ფაქტორები – ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ინსულტის მხრივ გენეტიკური დატვირთვა, არტერიული ჰიპერტენზია, მოციმუმე არითმია, შაქრიანი დიაბეტი, ტრანზიტორული იშემის შეტევები.

ინსულტის ტიპებს შორის გამოიკვეთა ჰემორაგიული ინსულტის სიჭარბე. ფატალობის მაღალი მაჩვენებლები ავტორთა აზრით ასოცირებულია ინსულტის მართვის მნიშვნელოვანი ხარვეზებთან ქართულ პოპულაციაში.

კვლევის შედეგების საფუძველზე ერთერთი ძირითადი რეკომენდაცია მდგომარეობს პოპულაციის რეალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად ჯანდაცვის სისტემის რეფორმის საჭიროებათა განსაზღვრის აუცილებლობაში - ხარჯთევექტური ინტერვენციების სამოქმედო გეგმის შემუშავება ინსულტის ტვირთის შემცირების მიზნით როგორც ინდივიდუალურ, ასევე პოპულაციურ დონეზე.

<sup>12</sup> Tsiskaridze et al; Stroke incidence and 30-day case-fatality in a suburb of Tbilisi: results of the first prospective population-based study in Georgia; Stroke; a journal of cerebral circulation 2004;35(11):2523-8.


## ავთვისებიანი სიმსივნეები

ავთვისებიანი სიმსივნეები სიკვდილობის წამყვან მიზეზს წარმოადგენს მსოფლიოში. 2007 წელს კიბოთი 7.9 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, რაც საერთო სიკვდილობის დაახლოებით 13%-ს შეადგენს. მაღალი პროპორციული სიკვდილობით გამოირჩევა ფილტვების, კუჭის, მსხვილი ნაწლავის და ძუძუს კიბო. 2007 წელს კიბოთი გარდაცვალების დაახლოებით 80%-ს ადგილი ჰქონდა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში. არსებული პროგნოზის მიხედვით, კიბოთი სიკვდილობა მომდევნო წლებში გაიზრდება და 2030 წლისთვის 12 მილიონს მიაღწევს.

2002-2004 წლებში თბილისში გარდაცვლილ მოქალაქეებზე შექმნილი პოპულაციური მონაცემების ელექტრონული ბაზის გამოყენებით UNFPA-ს მიერ მუნიციპალური პროგრამის თანადაფინანსებით 2006 წელს ჩატარდა აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური კვლევა, მონაცემთა ბაზა დამუშავდა პროგრამულად.

**სურათი 12**


თბილისის ქალთა მოსახლეობის სიკვდილის მიზეზების სტრუქტურა, 2002-04



სისტემების მიხედვით, კიბოს მიზეზით თბილისელ მამაკაცთა გარდაცვალების სტრუქტურაში, I ადგილი უჭირავს საჭმლის მომნელებელი სისტემის (48.3%), II ადგილი - სასუნთქი სისტემის (46.3%) და III ადგილი - შარდ-სასქესო სისტემის (25.8%) კიბოს.


**სურათი 13**

თბილისის მამაკაცთა მოსახლეობის სიკვდილის მიზეზების სტრუქტურა, 2002-04



თბილისის ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში თითქმის ნახევარი მოდის რეპროდუქციული სისტემის ორგანოებზე 45.8%.

სურათი 14  
რეპროდუქციული სისტემის კიბოთი სიკვდილობის სტრუქტურა თბილისის ქალთა მოსახლეობაში, 2002-04



2002-2004 წლებში რეგისტრირებულ იქნა მუმუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 845 შემთხვევა, ანუ უხეში გათვლებით დღდაქალაქის 100.000 ქალ მოსახლეზე ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 48.

25 წლიან ასაკოვან პერიოდში (35-59 წელი) მუმუ არის კიბოს ძირითადი ლოკალიზაცია და ის წარმოადგენს თბილისის ქალთა მოსახლეობის გარდაცვალების ძირითად მიზეზს!!! 30-44 და 50-54 წწ. ასაკოვან ჯგუფებში II ადგილი უკავია საშვილოსნოს ყელის კიბოს, 50 წლის ასაკიდან კი კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში, საშვილოსნოს ტანისა და ყელის კიბო იკავებენ III-IV ადგილებს.

თბილისის ქალთა მოსახლეობაში სიკვდილის 10 ძირითად მიზეზს შორის რანგით IV-ს მუმუს კიბო წარმოადგენს, რომლის ხვედრითი წონა, ყველა ასაკის ქალთა გარდაცვალების სტრუქტურაში 5%-ია.

თბილისის მამაკაცთა მოსახლეობაში სიკვდილის 10 ძირითად მიზეზს შორის რანგით VIII ადგილი უჭირავს ფილტვის კიბოს. ავთვისებიანი სიმსივნეების მიზეზით გარდაცვალების შემთხვევებს ცირკულატორული სისტემის შემდეგ, ორივე სქესში მეორე ადგილი უჭირავს და მისმა ხვედრითმა წილმა ქალებში შეადგინა 18%, ხოლო მამაკაცებში 15%.

თბილისში მცხოვრები ქალების გარდაცვალების სტრუქტურაში ხვედრითი წონის მიხედვით 25-59 წ.წ. I სარანგო ადგილი უკავია კიბოს!!!

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, JSI - კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის (USAID-ის მხარდაჭერით), აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოლაბორაციაში საქართველოში პირველად ახორციელებს რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილობის კვლევას (Reproductive Age Mortality Study RAMOS). სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს საქართველოში 2006 წელს 15-49 წ.წ. ასაკში

გარდაცვლილ ქალთა კონტინგენტი. გამოყენებულია ორსულთა სიკვდილობის კვლევის კითხვარი და ვერბალური აუტოფსიის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კითხვარი.

სიკვდილობის მიზეზების სწორი ვერიფიცირება და ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილობის ანალიზი იმ ბარიერების გამოვლენის საშუალებას მოგვცემს, რომლებიც აფერხებენ ხარისხიანი ჯანმრთელობის სერვისების განხორციელებას ინდივიდუალურ, პოპულაციურ და დაწესებულებათა დონეებზე.


დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით 2007 წელს, ისევე როგორც უკვე მრავალი წლის მანძილზე, ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში საქართველოში პირველ აღილზეა ქალთა შორის ძუძუს კიბო, ხოლო მამაკაცთა შორის ფილტვის კიბო.

ათი ძირითადი ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის სტრუქტურაში შედის ძუძუს, ფილტვების (ტრაქეის, ბრონქების), საშვილოსნოს ყელის, კუჭის, სწორი ნაწლავის, ხორხის, საშვილოსნოს ტანის, სისხლმბადი ორგანოების, წინამდებარე ჯირკვლის, კანის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით ავადობა.

არსებული მონაცემების მიხედვით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ავთვისებიან სიმსივნეთა ინციდენტობის მაჩვენებელი მხოლოდ 0.95-ჯერ (122-დან 115.3-მდე) შემცირდა, ხოლო პრევალუნტობის მაჩვენებელი 1.1-ჯერ (603.3-დან 662.3-მდე) გაიზარდა.


## სურათი 15

### ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელება, საქართველო, 2000-2006



კიბოს ინციდენტობის სქესობრივი სტრუქტურიდან ჩანს, რომ მამაკაცთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში მაღალია ფილტვის, ბრონქების, ტრაქეის (29), კუჭის (11,5), წინამდებარე ჯირკვლის (8,9), ხორხის (7,5), სწორი ნაწლავის (6,2), სისხლმბადი ორგანოების (5,7) კიბოთი ავადობა (მთითოებულია ავადობის მაჩვენებელი 100 000 მამაკაცზე), ხოლო ქალებში მაღალია სარძევე ჯირკვლის (40,9), საშვილოსნოს ყელის (10,9), კუჭის (5,8), სწორი ნაწლავის (4,4), სისხლმბადი ორგანოების (3,8) კიბო.


### მირითადი ლოკალიზაციის კიბოს ინციდენტობა სქესის მიხედვით, 2007




2003-2007 წლებში ინციდენტობის ზრდის მიხედვით გამოირჩეოდა საშვილოსნოს ყელის კიბო ქალებში და წინამდებარე ჯირკვლის კიბო – მამაკაცებში. რომ სარძევე ჯირკვლის კიბოს ინციდენტობა სტაბილურად მაღალია და მრავალი წლის მანძილზე პირველ ადგილზეა. 2007 წელს აღინიშნა როგორც სარძევე ჯირკვლის კიბოს, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობის კლება. ინციდენტობის კლება განსაკუთრებით გამოხატულია ძუძუს კიბოს შემთხვევაში, რომელიც 2001 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია პაციენტთა დაბალი მიმართვიანობით ქვეყანაში არსებული მძიმე პირობების (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, და სხვ.) გამ; ნაკლებად საგარაუდოა ეს კლება დავადების შემთხვევათა რეალური კლებით იყოს განპირობებული. (იხილეთ სურათი 17)

სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიკური ინციდენტობის განხილვისას ჩანს, რომ ქალებში ძუძუს კიბოთი ავადობის მატება ადრეული წლებიდან (30-34 წ.წ.) იწყება, მაქსიმუმს 55-60 წლის ასაკში აღწევს, მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ ავადობა კლებულობს. (იხილეთ სურათი 18) სხვა ქვეყნების მონაცემებით (მაგ. აშშ), ძუძუს კიბოს ინციდენტობა სიცოცხლის ბოლომდე მატულობს, ხოლო საქართველოში მისი კლება მოვლინებით ასაკში ძნელად ასახსნელია, და შესაძლოა არასრულ რეგისტრაციასა და ამ ასაკში დაბალ მიმართვიანობას უკავშირდება.

### სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობა, საქართველო, 2001 – 2007




### სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიკური ინციდენტობა



პრევალენტობის მაჩვენებლების მიხედვით პირველ ადგილზეა ძუძუს კიბო (19.3.3). მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ქალის სასქესო ორგანოების (119.08), კანის (მელანომის ჩათვლით) (74.1), საჭმლის მომნელებელი ორგანოების (66.1), სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების (61.07), ლიმფოიდური-სისხლმბადი და მონათესავე ქსოვილების (34.6) კიბო. (იხილეთ სურათი 19)

ავადობის და პრევალენტობის მაჩვენებლების შედარება საშუალებას იძლევა, შეფასდეს საქართველოში სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს სიკვდილობის და დაავადების გამოვლენის შემდგომ პერიოდში გადარჩენის მაჩვენებლები. კანის კიბოს ფართო გავრცელება ავადობის დაბალი დონის პირობებში მის მაღალ გადარჩენის მაჩვენებელზე მიუთითებს; ხოლო სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების კიბო დაბალი გადარჩენის მაჩვენებლებით ხასიათდება და ავთვისებიან ახალწარმონაქმნთა შორის პრევალენტობის მიხედვით ის მხოლოდ მე-5 ადგილზეა, მიუხედავად ავადობის მაღალი მაჩვენებლისა.

### მირითადი ლოკალიზაციის კიბოს პრევალენტობა, საქართველო, 2007




საქართველოში ავთვისებიან სიმსიგნეთა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 45.1%-ს შეადგენს. სურათ 20-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსიგნებისთვის 5-

წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი. ის შედარებით მაღალია მელანომა და კანის სხვა (55.7 %), სარძევე ჯირკვლის (53.1%), ტუჩის, პირის ღრუს ორგანოების და ზახის (52.1%) ავთვისებიანი სიმსივნეებისთვის. სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების კიბოსთვის გადარჩენის მაჩვენებელი მხოლოდ 40.0%-ია. განსაკუთრებით დაბალია მეზოთელიუმის და რბილი ქსოვილების (27.4%), ნერვული სისტემის (22.8%), ლიმფოიდური და სისხლმბადი ორგანოების (16.3%) სიმსივნეების გადარჩენის მაჩვენებლები.

#### სურათი 20

ხუთი წლის და მეტი დროის განმავლობაში აღრიცხვაზე მყოფ ავალმყოფთა პროპორცია  
ავთვისებიანი სიმსივნის ლოკალიზაციის მიხედვით




განვითარებულ ქვეყნებში კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 50-60%-ს აღწევს, ხოლო მსოფლიოში საშუალოდ ის 30-40%-ის ფარგლებში მერყეობს. სარძევე ჯირკვლის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი აშშ-ში 80 %-ს აღემატება, ევროპაში 70%-ს უახლოვდება, ჩინეთში 60%-ს შეადგენს, საქართველოში კი 53.1%-ია.

ონკოლოგიურ პაციენტთა დიდი უმრავლესობის ჰოსპიტალიზაცია ხდება თბილისში (თითქმის 80%), გარკვეული ნაწილი ბათუმსა და ქუთაისში იყო ჰოსპიტალიზირებული. ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია ძირითადად თბილისში ხდება.

#### სურათი 21


ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაცვლილ პაციენტთა ხვედრითი წილი



ავთვისებიანი სიმსივნეების სიკვდილიანობის მაჩვენებლები საქართველოში წლიდან წლამდე მაღალი რჩება, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საანგარიშო წელს სიცოცხლეში პირველად აღრიცხულ ავადმყოფთაგან გარდაცვლილთა პროცენტი უკანასკნელი წელი წლის მანძილზე ძალიან მაღალია (იხილეთ სურათი 21). სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლების ერთ-ერთ უძთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის თვალსაზრისით ქვეყანაში თითქმის არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა, თუმცა 2008 წელს ინიცირებულ იქნა ქალთა ონკოლოგიური სკრინინგული პროგრამა, რაც იმედია სამომავლოდ სიტუაციას გარკვეულად მაინც გააუმჯობესებს. 2007 წელს დიაგნოსტირებულ პაციენტთა მხოლოდ 4.1%-ს დაესვა დიაგნოზი პირველ სტადიაზე, 21.5%-ს მე-2 სტადიაზე, 23.2%-ს მესამე სტადიაზე, ხოლო დანარჩენ 45.2%-ს მხოლოდ მე-4 სტადიაზე. მონაცემები მნიშვნელოვნად გაუარესებულია 1998 წლის ივივე მონაცემებთან შედარებით, რაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. (იხილეთ სურათი 22)

სურათი 22

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობა სტადიების მიხედვით, 1998-2007



## შაქრიანი დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტი (შდ) ერთერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, მსფლიოში დაახლოებით 160 მილიონი ადამიანია დაავადებული. ამასთან, აღინიშნება ახალი შემთხვევების ყოველწლიური, კატასტროფული მატება, 2015 წლისთვის ნავარაუდევია დაავადებულთა გაორმაგება (300 მლნ). ერთი მხრივ აღნიშნული ფაქტი და მეორე მხრივ დაავადების განუკურნებლობა შდ-ს ერთ-ერთ უმძიმეს სამედიცინო-სოციალურ პრობლემად ხდის.


საქართველოში შაქრიანი დიაბეტის გავრცელების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, ვინაიდან ქვეყნის დონეზე ეპიდემიოლოგიური კვლევა არ განხორციელებულა. სწორედ ამიტომ, იმულებულები ვართ ვიზელმძღვანელოთ ე.წ. მეორადი ინფორმაციით.

„საბჭოურ“ პერიოდში, ანტიდიაბეტური პრეპარატებით მომარაგება სახელმწიფო ხარჯებით ხორციელდებოდა და იმდროინდელი მონაცემებით (1989 წ.) შდ-ით დაავადებულთა რაოდენობა დაახლოებით 90 000 შეადგენდა. ირკვევა, რომ მთებედავად კოლოსალური დანახარჯებისა მსოფლიოში მატების ტენდენცია შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში, რომელშიც 5 წლის განმავლობაში (1990-95 წწ.) აღინიშნა სახელმწიფო ქმედებების დეფიციტი შდ დაავადებულთა მიმართ და ამასთან, ქვეყანა იმყოფებოდა მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში (რაც სხვა დაავადებებთან ერთად შდ-ს ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს) შდ-ის შემთხვევათა ზრდა საკეთო ბუნებრივია.

შდ დაავადებულთა რიცხვი უნდა გაზრდილიყო მსოფლიო ტენდენციებით მაინც, (წლიური ნამატი 2-4%) ანუ 2003 წლისთვის (13 წელიწადში, წელიწადში საშუალოდ 2%, მინიმუმ) უნდა გამსაღრიყო 112 400. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს საქართველოში რეგისტრირებულია სულ 52 504 შდ-ით დაავადებული, მ.მ. 15 765 ინსულინმომხმარებელი.


დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებით მიმდინარე დაავადებებში 2000-2004 წლამდე შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობის წილი არ აღმატებოდა საშუალოდ 37-39%-ს, ხოლო ავადობა 17-24%-ს. 2005 წელს პრევალენტობის წილმა საშუალოდ 40% შეადგინა, 2006 წელს კი 47%-მდე გაიზარდა; ავადობის წილი 2005-2006 წლებში საშუალოდ 30%-მდე გაიზარდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში შაქრიანი დიაბეტის შემთხვევების წილის მატება ენდოკრინული სისტემის დარღვევებით მიმდინარე დაავადებებს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც შაქრიანი დიაბეტის შემთხვევების მატებით, ასევე სხვა ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებით მიმდინარე დაავადებების კლებით. (იხილუთ დანართი 1, ცხრილი 16)

### შაქრიანი დიაბეტის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007



არ შეიძლება არ შევეხოთ აღნიშნულ წლებში საქართველოში სიმსუქნის განვითარების ტენდენციებს. მოზრდილება ყოველწლიურად აღინიშნება ახალი შემთხვევების მატება. (აქვე ავღნიშნავთ რომ არა გვაქვს 2002 და 2006 წლების სიმსუქნის განვითარების სტატისტიკური მონაცემები). 2000 წლიდან 2005 წლამდე სიმსუქნის ახალი შემთხვევები 1.65-ჯერ არის გაზრდილი.

### სიმსუქნის ახალი შემთხვევების მაჩვენებლები, საქართველო, 2000-2006



სიმსუქნის მატების ტენდენციაა 0-14 წლის ასაკის ბავშვებშიც. 2000 წლიდან 2005 წლამდე სიმსუქნის ახალი შემთხვევები 1.51-ჯერ არის გაზრდილი.

ბავშვთა ასაკში სიმსუქნის ახალი შემთხვევების მაჩვენებლების მატების სავარაუდო მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ფიზიკური ინერტულობა (რაც ზოგადად მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის პრობლემა გახდა), ასევე არასწორი კვება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2000 წლიდან 2007 წლამდე შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობის მაჩვენებელი 1.4-ჯერ არის მომატებული. მათ შორის ინსულიმდამოკიდებული (ტიპი 1) შაქრიანი დიაბეტის


პრევალენტობა მომატებულია 1.25-ჯერ, ინსულინდამოუკიდებელის (ტიპი 2) კი 1.42-ჯერ არის გაზრდილი.

შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვენებელი 2000 წლიდან 2007 წლამდე გაზრდილია 1.35-ჯერ. აღსანიშნავია რომ 2007 წელს 2005 წლითან შედარებით აღინიშნა აღნიშნული მაჩვენებლის კლების ტენდენცია 1.27-ჯერ. მათ შორის ტიპი 1 დიაბეტის ინციდენტობა 2000 წლიდან 2007 წლამდე გაზრდილია 1.12-ჯერ, ხოლო ტიპი 2 დიაბეტის არნიშნულ წლებში მომატებულია 1.52-ჯერ. ტიპი 1 დიაბეტის ინციდენტობა 2006 წელს 2005 წელთან შედარებით 1.83-ჯერ იყო დაკლებული.

ინციდენტობის მაჩვენებლის მატება აღინიშნა არათანაბრად, კერძოდ 2005 წელს 2004 წელთან შედარებით ინციდენტობამ მოიმატა მკვეთრად (1.4-ჯერ), ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით 0.85-ჯერ დაიკლო, 2007 წელს კი 2006 წელთან შედარებით 1.14-ჯერ დაიკლო.

**სურათი 25**

**ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვენებლები, 2000-2007**



იმისათვის, რომ შაქრიანი დიაბეტით ავადობის მატების სავარაუდო მიზეზები განვსაზღვროთ, ყურადღება უნდა მივაჭიოთ ისეთ ფაქტორებს რაც სავარაუდოდ დაავადების აღმოცენების ხელშემწყობ პირობებად ითვლება, კერძოდ: არასწორი კვება, სიმსუქნე, უმოძრაო ცხოვრების წესი, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, პიპერტენზია, გლუკოზისადმი ინტოლერანტობა, სტრესი, მუნიტიურის დაქვეთება, ინფექციური დაავადებები და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება საკვებ რაციონში მიკრონუტრიენტების და მიკროელემნტების შემცველობასა და რაოდენობაზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ საყურადღებო შაქრიანი დიაბეტით დაავადების პათოგენეზში შემდეგი მიკროელემნტები: ქრომი, ვანადიუმი, თუთია, სპილენმი, სელენი, მილობდენი, მანგანუმი, სილიციუმი. ამ ფაქტორებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ოჯახებში, სადაც ოჯახის რომელიმე წევრი დაავადებულია (ან იყო დაავადებული შაქრიანი დიაბეტის რომელიმე ტიპით). საჭიროა გაძლიერდეს პროპაგანდა ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვანი როლის შესახებ შაქრიანი დიაბეტით დაავადების პრევენციის საკითხში.

## შაქრიანი დიაბეტის განვითარება 0-14 წლის ასაკის ბავშვებში


2007 წლის ბოლოს შაქრიანი დიაბეტის დიგნოზით მეთვალყურეობაზე იმყოფებოდა 263 ბავშვი, აქედან ინსულინდამოკიდებულია (ტიპი 1) 208 და ინსულინდამოუკიდებელი (ტიპი 2) 55 ბავშვი.

ბავშვებში ძირითადად გვხვდება ტიპი 1 (ინსულინდამოკიდებელი) დიაბეტი, რომლის პროფილაქტიკაც ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

თუ გადავხდავთ სტატისტიკას, 2000 - 2007 წლებში 0-14 წლამდე ასაკის ბავშვებში აღინიშნება შაქრიანი დიაბეტის ახალი შემთხვევების მაჩვენებლის მატების ტენდენცია, გამონაკლისა 2003 წელი როცა მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაკლებულია 1.75-ჯერ, და 2007 წელი როცა მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით 1.02-ჯერ დაიკლო. 2005 წელს კი ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის ახალი შემთხვევების მაჩვენებელმა 2.15-ჯერ მოიმატა 2003 წელთან შედარებით, აქედან დაახლოებით 88% ტიპი 1 დიაბეტზე მოდიოდა (8.9). 2006 წელს კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა მოიმატა 1.12-ჯერ და შეადგინა 11.3. აქედან დაახლოებით 77% მოდის ტიპი 1 დიაბეტზე (8.7), ხოლო 2007 წელს ინციდენტობამ 2006 წელთან შედარებით 1.25-ჯერ დაიკლო და შეადგინა 9.0. აქედან 85.5% ტიპი 1 დიაბეტზე მოდის (7.7).

**სურათი 26**

### 2000-2007 წლებში 0-14 წლამდე ასაკის ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის მაჩვენებლები



არ შეიძლება არ შევეხოთ ქართულ პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა პრიორიტეტულობას. ოფიციალური მონაცემებით ეს თვალნათლივ ჩანს. (იხილეთ დანართი 1, ცხრილი 17, 18, 19)

აღსანიშნავა ჩვენს ქვეყანაში ენდემური კერების სიმრავლე.

## რესპირატორული დაავადებები

პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მოსახლეობის მომართვიანობის სამ ძირითად მიზეზს შორის არის ხელა (მაღალ არტერიული წნევასა და ანგინოზურ ტკივილთან ერთად) და უხშირესად დასმულ დიაგნოზებს შორის ფიგურირებს ბრონქიტის დიაგნოზი, არტერიულ ჰიპერტენზიასა და გულის იშემიურ დაავადებასთან ერთად.<sup>13</sup>

ქრონიკული დაავადებების გამწვავების ეპიზოდებსა და ზოგადად მწვავე დაავადებების სტრუქტურაში 42%-ს შეადგენს რესპირატორული დაავადებები.<sup>14</sup>


ქ. თბილისში 2002-2004 წ.-წ. გარდაცვლილ ქალთა და ასევე მამაკაცთა პოპულაციაში, გარდაცვალების მიზეზებს შორის რანგით მე-ზე ადგილი უჭირავს რესპირატორულ დაავადებათა სისტემის კიბოს.

ამავე მონაცემებით სასუნთქი სისტემის კიბოს II ადგილი უჭირავს თბილისელ მამაკაცთა გარდაცვალების მიზეზებს შორის - 46.3%, ხოლო მამაკაცთა გარდაცვალების 10 ძირითად მიზეზს შორის VIII ადგილი უჭირავს ფილტვის კიბოს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად სასუნთქი სისტემის დაავადებათა სურათი ასე გამოიყურება. (ავრეთვე იხილეთ დანართი 1, ცხრილი 20)

სურათი 27


სასუნთქი სისტემის დაავადებების ინციდენტობა, 2000-2007 წწ.



13 პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მონიტორინგული პროექტი, საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოება, 2008 წ.

14 Household Survey on Health Service Utilization and Expenditure (HUES), 2007; Georgian Primary Health Care Development Project, MOLHSA, Department of Statistics, Ministry of Economic Development, Oxford Policy Management, UK, Curatio International.


### ბრონქიული ასთმის გავრცელება, საქართველო, 2000–2007



სუნთქვეის ორგანოთა სისტემის დაავადებათა გავრცელების შინაგანი სტრუქტურის შესწავლაში ცხადყო, რომ ყველაზე ფართოდ გავრცელებული პათოლოგია, როგორც მოსახლეობაში, ასევე ბავშვებში ზედა სასუნთქი მწვავე ინფექციებია - 51% და 61% შესაბამისად, გრიპი და პნევმონია - 12%, ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები კი - 10%.

პრევალენტობისა და ინცინდენტობის ზრდა შესაძლებელია მიუთითებდეს ექიმთან მომართვიანობის ზრდაზე, რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესებასა და შესაბამისი პროგრამების ამოქმედებაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გავრცელება ძალიან დაბალია. საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების სიაში ფქოდ-ის მსგავსი დეფინიცია განხლავთ „ფილტვის სხვა ობსტრუქციული დაავადება“, ექიმები იძულებულნი არიან გამოიყენონ დიაგნოზები - ქრონიკული დაუზუსტებელი ბრონქიტი და ემფიზემა.

### ქრონიკული და დაუზუსტებელი ბრონქიტი, საქართველო, 2000-2007



საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მიერ 2006 წელს განხორციელდა კვლევა „ქრონიკული რესპირატორული დაავადებები ქვეყნის პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ (WHO,


GARD, ARIA – Allergic Rhinitis and Its Impact on Asthma). კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ 45 წელზე ახალგაზრდა პირთა უმრავლესობა დაავადებულია ფქოდ-ით. პირველადი ჯანდაცვის დონეზე მისი მაღალი სიხშირე საფუძველს გვაძლევს ვიგარაულობის ფქოდ-ის უფრო მაღალი გავრცელება, ვიდრე ეს ნაჩვენებია ოფიციალური სტატისტიკით.

ამ განსხვავებებს, ავტორთა აზრით, ასევე განაპირობებს ექიმების მიერ ფქოდ-ის სიმპტომატიკის ცოდნაში ხარვეზები, დიაგნოსტიკური მიზნით სპირომეტრის გამოყენების დეფიციტი, ანუ ფქოდ-ის დიაგნოსტიკისა და მართვის გაიდლაინის არ გათვალისწინება. გამოკვლეულ პირთა უმრავლესობაში სპირომეტრიამ დაადასტურა შემთხვევათა სიმბიმე. პაციენტები მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს დაავადების გვიან სტადიაში, სიცოცხლის ხარისხის ღრმა ცვლილებათა ეტაპზე.

ფქოდ არის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა, მათ შორის ახალგაზრდა მამაკაცებში, დაავადების მაღალი სიხშირისა და ჯანდაცვის რესურსების ხშირი გამოყენების გამო აუცილებელია კვლევის ჩატარება ქვეყნის პოპულაციაში, სპირომეტრის უფრო ფართოდ გამოყენება დაავადების ნააღრევი გამოვლენისა და პრევენციული ღონისძიებებისათვის.

### სურათი 30

**რესპირატორული დაავადებები, კვლევის “ქრონიკული რესპირატორული დაავადებები ქვეყნის პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ და ოფიციალური მონაცემების შედარება**



ზოგადად მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილებზე განხორციელებული ეპიდემიოლოგიური კვლევები და პრევენციული პროგრამები, რომელიც საშუალებას გვაძლევს ორგანიზებულ პოპულაციაში რისკ-ფაქტორთა და პრიორიტეტულ დაავადებათა სპექტრის განსაზღვრისა.

ამ მიმართულებით ინტერესს იწვევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების (ფქოდ-ის) გავრცელების შესწავლა პურის ქარხნის თანამშრომელთა შორის, ადრეული დიაგნოსტიკის, მიმდინარეობის სიმძიმის მონიტორინგის კრიტერიუმების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით. აღმოჩნდა, რომ ფქოდ-ი პურის ქარხნის თანამშრომელთა 5.4%-შია გავრცელებული, ხოლო რესპირაციული პრობლემების არსებობა 25.4%-ში გვხვდება.

პურის ქარხნებში არსებული ზოგიერთი პროფესიული ფაქტორი (მაზუთის წვის პროდუქტები, ფქვილის მტვერი) ამბიმებს რესპირატორულ პათოლოგიას.

პროექტის ძირითადი რეკომენდაცია: ფქოდ-ის პრევენციის მიზნით საჭიროა პურის ქარხანაში მომუშავე, კლინიკური სიმპტომების მქონე პირებს, განსაკუთრებით კი მწეველ მამაკაცებს ჩაუტარდეთ სკრინინგული კვლევა ანამნეზის და გასინჯვის საფუძველზე მოწოდებულია რისკ-ჯერუფების გამოვლენა და სპირომეტრიული გამოკვლევა. ამ უკანასკნელის ჩაუტარებლობის შემთხვევაში პიკფლუომეტრირება ფარმაკოდინამიური ტესტის გამოყენებით.

საქართველო იყო 156 კოლაბორანტს შორის, რომელმაც ჩაატარა ბავშვებში ასთმისა და ალერგიის საერთაშორისო კვლევის სამივე ფაზა, 1995-2003 წ.წ. (The International Study of Asthma and Allergies in Childhood – ISAAC), რომელიც დაიწყო ასთმის, ალერგიული რინიტის და ეგზემის სტანდარტული მეთოდით გამოკვლევის მიზნით.

დასკვნების სახით აღნიშნულია 1996-2003 წწ. მოზარდებში მსტვინავი სუნთქის (ზიზინის) გავრცელების მატება უპირატესად თბილისში. თბილისის და ქუთაისის ცენტრებს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას რისკ-ფაქტორთა რეგიონალური თავისებურებებით. საყურადღებოა ბრონქული ასთმის ჰიპოდიაგნოსტიკა, მისი გავრცელების მაჩვენებლები 15%-ით ნაკლებია ოფიციალურ სტატისტიკურ დოკუმენტებში.

ქართულ პოპულაციაში რესპირაციულ დაავადებათა გავრცელების მონაცემები, პჯდ დაწესებულებებში უჩშირესი მომართვიანობის პრობლემათა სპექტრში მათი არსებობა, ჩატარებული კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებული სასკრინინგო ინდიკატორები გადაუდებლივ საჭიროებს აქტიური გამოვლენის სეგმენტის გაძლიერებას ქვეყნაში რესურსების გაძტივების გზით.

## ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი

საზოგადოება მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის ტრავმებთან დაკავშირებული ადამიანური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების მხრივ. მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მილიონი ადამიანი იღუპება ტრავმების შედეგად. ევროპის რეგიონში ჯანმოს შეფასებით, ტრავმების შედეგად ყოველდღიურად 2 000 ადამიანი იღუპება, 60 000 ხვდება სტაციონარში, ხოლო 600 000 გადაუდებელ ამბულატორიულ დახმარებას საჭიროებს. ტრავმები 5-44 წლის ასაკის ადამიანთა სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.


საქართველოში ტრავმებს, მოწამვლებს და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების სხვა შედეგებს ავადობის საერთო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დაავადების კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემებით 2006 წელს ავადობის მაჩვენებლის მიხედვით 100 000 სულ მოსახლეზე ტრამვები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების სხვა შედეგები მეთერთმეტე ადგილზეა, ხოლო სიკვდილობის ძირითადი მიზეზების და აგრეთვე სტაციონარში ლეტალობის მაჩვენებლის მიხედვით – მეოთხე ადგილზე.

2006 წელს საქართველოში რეგისტრირებულ იქნა ტრავმების, დამწვრობების და მოწამვლების 32 892 შემთხვევა, გავრცელების მაჩვენებელმა შეადგინა 747.9, ხოლო ავადობის მაჩვენებელმა 675.2.

ტრავმების, დამწვრობების და მოწამვლების სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დაზიანებათა ავადობის მაჩვენებლების და მახასიათებელთა ანალიზი. 2000-2007 წლებში საქართველოში ტრავმების, დამწვრობების და მოწამვლების ავადობის დინამიკა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

სურათი 31

საქართველოში ტრავმების, დამწვრობების და მოწამვლების ავადობის დინამიკა, 2000-2007



2002-2004 წლებში გარდაცვალების მიზეზებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ექსტრანალური მიზეზებით გარდაცვალების ზედრით წონას – გოგონებში 14.8% და ვაჟებში – 30.4%.

(იხილეთ დანართი 1, ცხრილები 21, 22, 23, 24)


## რისკ-ფაქტორები

არსებული მონაცემებით საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ტენირობი საკმაოდ მაღალია და განაგრძობს ზრდას, რაც განაპირობებს ქმედითი ინტერვენციების, მათ შორის ეფექტური პოპულაციური პრევენციული სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობას. პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის აუცილებელი წინაპირობაა არაგადამდებ დაავადებათა ძირითადი რისკ-ფაქტორების სტრუქტურისა და გავრცელების ადექვატური შეფასება. მიუხედავად საქართველოში ჩატარებული ზოგიერთი კვლევისა, მონაცემები არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორთა შესახებ არასრულყოფილია. მოაპოვება გარკვეული ინფორმაცია არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების, თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების შესახებ. მინიმალური მონაცემებია სისხლის ქოლესტეროლის, სისხლის გლუკოზის, სხეულის მასის ინდექსის, ფიზიკური აქტივობის შესახებ. ოფიციალური სტატისტიკის (სტატისტიკის დეპარტამენტის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ეროვნული მოხსენებები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მოხსენებები, სტატისტიკური ცნობარი „ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“) მონაცემები საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ძირითადი რისკ-ფაქტორების გავრცელების შესახებ შეზღუდულია. ცალკეული მცირებასშტაბიანი კვლევების საინფორმაციო ღირებულება დაბალია ინდიკატორთა არასაკმარისი მოცვისა და ინსტრუმენტების არააღებატურობის გამო.

ევროპის ჯანმრთელობის მოხსენების მიხედვით (2005), საქართველოში რისკ-ფაქტორების წილი საერთო სიკვდილობაში შემდეგნაირად შეფასდა:<sup>15</sup>

სურათი 32

10 ძირითადი რისკ-ფაქტორის წილი საერთო სიკვდილობაში, საქართველო, 2002




## არტერიული ჰიპერტენზია

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით საქართველოში არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

სურათი 33

### არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება, საქართველო, 2000- 2007



ეროვნული მოხსენებაში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (2004) მითითებულია, “რომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით საგანგაშოა არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების მაჩვენებელის გამუდმებით მატება, რაც ქვეყნის მოსახლეობისათვის შედარებით ახალი რისკ-ფაქტორების (სიღრაიბე, კვებითი რეჟიმის დარღვევები, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების ზრდა, სტრესული მდგომარეობების სიხშირე და სხვ.) წინა პლანზე წამოწევით უნდა ყოფილიყო განპირობებული.”<sup>16</sup>

2005 წლის ეროვნული მოხსენებაში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კვლავ ხაზგასმულია, რომ “უკანასკნელ წლებში აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების მაჩვენებლის გამუდმებით მატება. გულ-სისხლძარღვთა რეგისტრირებული დაავადებების სტრუქტურაში 50.1% უკავია ჰიპერტონიულ დაავადებას.”<sup>17</sup>

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მოხსენების “სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების განვითარების ტენდენციები საქართველოში 2002-2006 წლებში”<sup>18</sup> მიხედვით აღინიშნება ჰიპერტონული დაავადების პრევალენტობისა და ინციდენტობის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა. 2006 წელს პრევალენტობის მაჩვენებელმა მიაღწია 3861.5-ს, ხოლო ინციდენტობის მაჩვენებელმა 917.4-ს. მოზრდილებში სისხლი მიმოქცევის სისტემის დაავადებათა შორის ყველაზე მეტი წილი მოდის ჰიპერტონულ დაავადებაზე. მისი პროცენტული მაჩვენებელი 2002-2006 წლებში მერყეობს 45.3% - 50.1%, ანუ სმსახურის თითქმის ნახევარი მოდიოდა ჰიპერტონულ დაავადებაზე. ბოლო წლებში მკვეთრად მოიმატა ჰიპერტონული დაავადებების ორივე მაჩვენებელმა: პრევალენტობის მაჩვენებელმა – 2-ჯერ, ხოლო ინციდენტობის მაჩვენებელმა – 2.2-ჯერ. ჰიპერტონული დაავადების მატება შეიმჩნევა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მაგრამ სამწუხაროდ, 2002 წლის მონაცემებით საქართველო იმყოფება მსოფლიოს იმ 5 ქვეყანას შორის (ბაჰამი, საქართველო,

17 ეროვნული მოხსენება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (2004)

18 2005 წლის ეროვნული მოხსენებაში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

18 სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების განვითარების ტენდენციები საქართველოში 2002-2006 წლებში

ლესოტო, ლიბერია და მალდივი), რომლთა მოსახლეობაშიც აღინიშნება არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები. (იხილეთ სურათი 8)

სავარაუდოდ, რეალური სიტუაცია გაცილებით მძიმეა, რამდენადაც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები ძირითადად მიმართვიანობას ეყრდნობა. არტერიული ჰიპარტენზის აქტიური გამოვლენის წილი დაბალია პრევენციული ღონისძიებების დეფიციტის გამო.

მნიშვნელოვანი ინფორმაციას იძლევა CINDI საქართველოს მიერ 2001 წელს ქ. თბილისში ჩატარებული ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა (პილოტირება), 2004 წელს კი ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში (სადემონსტრაციო არე) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქვევების კვლევა. აგრეთვე ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირის (AIHA) პროექტი<sup>18</sup>, რომლის მიხედვით ჰიპერტენზის გავრცელება 40-65 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით 50%-ია. ამ და სხვა პროექტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების და მათ შორის ჰიპერტენზის გავრცელება საქართველოში იზრდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს შორის ორწლიანი (2006-2007) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული “საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა”<sup>19</sup>. აღნიშნულ კვლევაში შეფასებული იყო არტერიული ჰიპერტენზის გავრცელება ქ. თბილისში მოზრდილთა პოპულაციაში (25-65წ).

კვლევის მონაცემებით:

- რესპონდენტთა როლებობა, რომელთა სისტოლური წნევის მაჩვენებელი იყო 140 მმ.ვწყ.სკ. და მეტი, ან დიასტოლური წნევა იყო 90 მმ.ვწყ.სკ. და მეტი, ან ვინც განაცხადა, რომ ამჟამად იღებდა წნევის დამწევ მედიკამენტებს, იყო 33.9% და ისინი წარმოადგენენ მიმღინარე და პიტერციური ჰიპერტენზის მქონე პირებს. ყველაზე ხშირია შემთხვევები 55-65 წლების ასაკობრივ ჯგუფში – 67.4% (მამაკაცებში 62.0%-ში და ქალებში 72.3%-ში);
- საშუალო სისტოლური წნევა იყო  $124.9 \pm 19.0$  მმ.ვწყ.სკ. (მამაკაცებში  $127.9 \pm 17.1$  და ქალებში  $137.6 \pm 21.1$ ); საშუალო დიასტოლური წნევა იყო  $80.1 \pm 11.5$  მმ.ვწყ.სკ. (მამაკაცებში  $81.9 \pm 11.0$  და ქალებში  $78.3 \pm 11.6$ );
- რესპონდენტთა 38.2%-ს (მამაკაცთა 27.5% და ქალთა 48.4%) ქონდა ნორმალური არტერიული წნევა. 38.4%-ს (მამაკაცთა 47.3% და ქალთა 30%) - ჰიპერტენზია. გამოკითხულთა 23.4% (მამაკაცთა 25.2% და ქალთა 21.6%) ჰიპერტენზიულია, მათ შორის 14.5%-ში აღინიშნა I სტადიის ჰიპერტენზია და 8.9%-ში II სტადიის ჰიპერტენზია (JNC VII<sup>21</sup>). 5%-ში აღინიშნა იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზია;

კვლევაში გამოყენებული იყო სხვადასხვა ინდიკატორი არტერიული ჰიპერტენზის კონტროლის, გათვითცნობიერებისა და მკურნალობის აღქატურობის შესაფასებლად. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- ექიმის მიერ გაუთვითცნობიერებელი რესპონდენტები (დეფინიციის მიხედვით) იყოფა შემდეგ ჯგუფებად: პირველად გამოვლენილი ჰიპერტენზის ჯგუფი (31.4%); რესპონდენტები, რომლებმაც იციან მომატებული არტერიული წნევის შესახებ (არა ექიმისაგან), მაგრამ არ მკურნალობენ (12.3%) და რესპონდენტები, რომელთაც იციან მომატებული წნევის შესახებ და ღებულობენ წამლებს (56.3%);

18 ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირის პროექტი(AIHA)

19 არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

<sup>21</sup> JNC VII

- გამოკითხულთა 46.7% აღნიშნავდა ანტიპიპერტენზიული მედიკამენტების გამოყენებას. 656 რესპონდენტმა დაასახელა მხოლოდ 1 მედიკამენტი, ხოლო 496 რესპონდენტმა ორი ან მეტი მედიკამენტი (მათგან 328 რესპონდენტმა - 2, 118 რესპონდენტმა - 3, 32 რესპონდენტმა - 4, 18 რესპონდენტმა - 5);
- რესპონდენტთა მიერ დასახელდა 123 ანტიპიპერტენზიული მედიკამენტი, მათგან 41 არ მიეკუთვნება ანტიპიპერტენზიული მედიკამენტების ჯგუფს. 142 რესპონდენტი შეცდომით განიხილავდა და იყენებდა სხვა ჯგუფის მედიკამენტებს, როგორც წნევის დამწევ საშუალებას. უფრო ხშირად ასეთებად დასახელებულია ასპირინი, კორვალორი, ვალერიანა, პრედუქტალი, მილდრონატი, ტკივილგამაფურებლები, სტატინები, ტრანკვილიზატორები;
- ანტიპიპერტენზიული მედიკამენტების რიგიდან ყველაზე ხშირად ასახელებენ 7 მედიკამენტის გამოყენებას: ადელფანი - 281 რესპონდენტი (24%), რაუნატინი - 273 რესპონდენტი (24%), კლოფელინი - 164 რესპონდენტი (14%), ენაპ H - 121 რესპონდენტი (11%), ჰაპაზოლი - 86 რესპონდენტი (7%), ნიფედიპინი - 61 რესპონდენტი (5%), კორინფარი - 59 რესპონდენტი (5%);
- რესპონდენტთა 46.3% აღნიშნავს არარეკომენდებული მედიკამენტების გამოყენებას, 18.3% - აგფ-ინკიბიტორებს, 11.8% - კალციუმის არხის ბლოკერებს, 8.2% - ბეტა-ბლოკერებს, 0.1% - ანგიოტენზინ II რეცეპტორების ბლოკერებს, 15.3% - შარდმდენებს. ეს უკანასკნელი ძირითადად ნახსენებია ფიქსირებულ კომბინაციაში სხვა ჯგუფის პრეპარატთან ერთად. ჰიდროკლოროტიაზიდი აღინიშნა მხოლოდ 8 რესპონდენტის მიერ;
- რეპონდენტთა 84.5%-ს გაზომილი აქვს წნევა ბოლო 12 თვის მანძილზე;
- რესპონდენტთა 33.7%-სათვის ჯანდაცვის მუშავს ოდესმე უთქვამს, რომ აქვს ჰიპერტენზია;
- გაუთვითცნობიერებელ ჰიპერტენზიულ პირებს შორის არიან პირები პირველად გამოვლენილი ჰიპერტენზით (31.4%), რესპონდენტები, რომელთაც იციან მაღალი წნევის არსებობის შესახებ, მაგრამ არ იღებენ ჰიპოტენზიურ მედიკამენტებს (12.3%) და რესპონდენტები, რომელთაც იციან მაღალი წნევის არსებობის შესახებ და იღებენ ჰიპოტენზიურ მედიკამენტებს (56.3%);
- იმ რესპონდენტთა 41.2%, რომლებიც იყენებენ ანტიპიპერტენზიულ მედიკამენტებს, აღნიშნავს, რომ ამას აკეთებს ექიმის რეკომენდაციით, 24.8% – მეგობრების/ნათესავების რეკომენდაციით, ხოლო 26.2% მოიხმარს მედიკამენტებს თვითნებურად;
- გამოკითხულთა 83%-ს აქვს საკუთარი წნევის აპარატი, 87.9% თვლის, რომ იცის წნევის სწორად გაზომვა და მხოლოდ 60.7%-მა იცის თუ არტერიული წნევის რა ციფრები ითვლება “ნორმალურად”.

ამგვარად, ხელმისაწვდომი მონაცემების გათვალისწინებით, იკვეთება ქვეყანაში არტერიული ჰიპერტენზის გავრცელების შემცირებისა და ეფექტური კონტროლის ქმედითი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გადაუდებელი საჭიროება.

## სისხლის ქოლესტეროლი

ინფორმაცია მოსახლეობაში სისხლში ქოლესტეროლის დონის შესახებ მინიმალურია. ოფიციალური სტიტისტიკის წყაროები ჰიპერქოლესტერინემიის გავრცელებისთან დაკავშირებით მონაცემებს არ შეიცავს.

სისხლის ქოლესტერინი გამოკვლეული იყო “საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების კვლევა 2001”<sup>22</sup> ფარგლებში. კვლევა ჩატარდა თბილისში CINDI-ს ჯანმრთელობის მონიტორინების კითხვარის გამოყენებით. გამოკვლეული იყო 18-64 ასაკის 1000 რანდომულად შერჩეული რესპონდენტი. აღნიშნული კვლევის მონაცემებით: ბოლო 12 თვის განმავლობაში სისხლის ქოლესტეროლი გაიზომა გამოკვლეულთა 6.6%-მა. 66.4%-ს არასოდეს ჩატარებია ეს კვლევა. 22.7 %-მა არ იცოდა გაუზომია თუ არა ოდესმე სისხლში ქოლესტეროლი. 55-65 ასაკობრივი ჯგუფის 67.6%-ს და 45-55 ასაკობრივი ჯგუფის 84.3%-ს არასოდეს გაუზომია ან არ იცოდა გაუზომია თუ არა ოდესმე ქოლესტერინის დონე სისხლში.

გაცილებით სრულფასოვან მონაცემებს იძლევა “საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფატორების კვლევა 2006-2007”.<sup>23</sup>

კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა ქოლესტეროლის სასურველი დონის დიფერენცირებულ შეფასებას რისკის კატეგორიების გათვალისწინებით. ამგვარი მიღება საშუალებას იძლევა შეფასდეს ჰიპერქოლესტერინემიის კონტროლი, რამდენადაც ჰიპერქოლესტერინემიის კონტროლის ადექვატურობის საზომს ქოლესტერინისა და ლიპიდური სპექტრის სხვა კომპონენტების სამიზნე დონის მიღწევა წარმოადგენს. ქოლესტეროლის სამიზნე დონის განსაზღვრისათვის აუცილებლი პირობაა რისკის კატეგორიის შეფასება, რამდენდაც რისკის სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებულია ქოლესტეროლის სამიზნე დონე.

კვლევის მონაცემებით გამოვლინდა სისხლში ქოლესტეროლის დონის მატების მაღალი გავრცელება ორივე სქესის ინდივიდებში. (იხილეთ დანართი 1, ცხრილი 25)

საჭურადღებოა, რომ ჰიპერქოლესტერინემიის შესახებ გათვითცნობიერება გამოკვლეულ პოპულაციაში დაბალი იყო. კვლევმ აგრეთვე აჩვენა ჰიპერქოლესტერინემიის არადამატყოფილებელი კონტროლი რისკის მაღალი კატეგორიის პირებში. აქევ უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა არ ითვალისწინებდა საღიერო და მედიკამენტური ლიპიდდამაქვეითებელი თერაპიის გამოყენებისა და ეფექტურობის შეფასებას.

ათეროსკლეროზული დაავადებების გენეზში ჰიპერქოლესტერინემიის როლის გათვალისწინებით, შემაშვილობებით უაღრესად დაბალი აქტივობა ამ მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორის, როგორც გავრცელებისა და კონტროლის შეფასების მიმართულებით, ასევე პრევენციული დონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით.

<sup>22</sup> საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების კვლევა 2001

<sup>23</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## სისხლის გლუკოზა

2005 წლის ეროვნული მოხსენებაში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კვლავ ხაზგასმულია, რომ “საქართველოში 2005 წლის ბოლოს შაქრიანი დიაბეტი ენდოკრინული სისტემის დაავადების, კვების, ნივთიერებათა ცვლისა და მუნიტეტის დარღვევების მქონე ავადმყოფთა 40.1%-ს შეადგენდა. მეთვალყურეობაზე მყოფი 55 080 ავადმყოფიდან (დაავადებიანობა – 1 250.0) 285 (დაავადებიანობა – 31.1) ბავშვი იყო. პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრუცხული იყო 9 492 (ავადობა – 217.1) ავადმყოფი, მათ შორის 93 (ავადობა – 10.1) ბავშვია. შაქრიანი დიაბეტის სოციალური მნიშვნელობა მით უფრო ყურადსალებია, რომ მეთვალყურეობაზე მყოფ ავადმყოფთა საერთო რაოდენობიდან 27.6% (15 203 ავადმყოფი) ინსულინის მომხმარებელია. ამასთან ერთად ბავშვებში, სადაც დაავადება განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს, 248 (87%) ინსულინდამოკიდებული პაციენტი აღირიცხებს.”

ყველა ოფიციალური მონაცემებით აღინიშნება შაქრიანი დიაბეტის გავრცელების მატების ტენდენცია.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ განხორციელებული კვლევის “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები მოზრდილთა პოპულაციაში საქართველოში” (2001)<sup>24</sup> მიხედვით დიაბეტი ანამნეზში გამოუვლინდა 2.1%-ს.

საქართველოს CINDI ჯგუფისა და ექიმთა ასოციაციის კვლევის „ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა CINDI -საქართველოს სადემონსტრაციო არეში –ჩუღურეთის რაიონში, თბილისი“ (2004)<sup>25</sup> მონაცემებით ანამნეზში დიაბეტს აღნიშნავდა გამოკითხულთა 3.9%.

მაღალი ინფორმაციული ღირებულებისაა “საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის”<sup>26</sup> მონაცემები. კვლევაში გამოყენებული ინდიკატორები შესაძლებლობას იძლეოდა როგორც დადასტურებული, ასევე საგრულო ჰიპერგლიკემიის აქტიური გამოვლენის შესაძლებლობას. ფასდებოდა აგრეთვე ჰიპერგლიკემიის შესახებ გათვითცნობიერების მაჩვენებელი. (იხილუთ დანართი 1, ცხრილი 26)

ოფიციალური სტატისტიკა და წარმოდგენილი კვლევების მონაცემების შედარება გამნელებულია შეფასების ინდიკატორებს შორის არსებული განსხვავებების გამო. სავარაუდოდ მოსახლეობაში ჰიპერგლიკემიის შესახებ გათვითცნობიერების დონე დაბალია.

<sup>24</sup> “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები მოზრდილთა პოპულაციაში საქართველოში” (2001)

<sup>25</sup> „ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა CINDI -საქართველოს სადემონსტრაციო არეში


<sup>26</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## სხეულის მასის ონდექსი

შსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მონაცემებით 2005 წელს საქართველოში ჭარბწონიანი იყო მამაკაცების 49%, ხოლო ქალების 55%. სავარაუდოდ, 2015 წელს საქართველოში ჭარბი წონა ექნებათ: მამაკაცების 59% და ქალების 64%-ს.

სურათი 34

### ჭარბი წონის გავრცელება, საქართველო, 2005-2015



საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ბოლო წლებში (2001, 2004, 2006-2007) ჯანმოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დკსჯეც, CINDI საქართველოსა და საქართველოს ექიმთა ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული კვლევები სადემონსტრაციო არეში (თბილისის ჩუღურეთის რაიონი).

“ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები მოზრდილთა პოპულაციაში საქართველოში”<sup>27</sup> (2001) მონაცემებით გამოკითხულთა საშუალო წონა იყო 71.2კგ და საშუალო სმი-24.6. სმი-ის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 21.3 - 18-25 წ. ასაკობრივ ჯგუფში; 26.8 - 55-65 წ. ასაკობრივ ჯგუფში; რესპონდენტთა 61.1% თვლიდა, რომ აქვს ნორმალური წონა (უმრავლესობა მამაკაცი). 31.6% თვლიდა, რომ აქვს ჭარბი წონა (უმრავლესობა ქალი).

“ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა CINDI-საქართველოს სადემონსტრაციო არეში”<sup>28</sup> (2004)<sup>29</sup> მონაცემებით გამოკითხულთა საშუალო წონა იყო 73.6 კგ. და საშუალო სმი-26.2. სმი-ის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 24.4 - 25-34 წ. ასაკობრივ ჯგუფში; 26.5 - 55-65 წ. ასაკობრივ ჯგუფში; რესპონდენტთა 55.3% თვლიდა, რომ აქვს ნორმალური წონა (უმრავლესობა მამაკაცი). 35.2% თვლიდა, რომ აქვს ჭარბი წონა (უმრავლესობა ქალი).

“საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის”<sup>29</sup> მონაცემები, ზემოაღნიშნული კვლევებისაგან განსხვავებით სმი-ის შეფასებისას ეყრდნობა არა გამოკითხვის, არამედ ანთროპომეტრიის შედეგებს. ამდენად ამ კვლევის მონაცემების ვალიდურობა გაცილებით მაღალია.

<sup>27</sup> ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები მოზრდილთა პოპულაციაში საქართველოში (2001)

<sup>28</sup> ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა CINDI -საქართველოს სადემონსტრაციო არეში-ჩუღურეთის რაიონში, თბილისი”(2004)

<sup>29</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

კვლევის მონაცემებით:

- საშუალო სიმაღლის მაჩვენებელი პოპულაციაში 170.6 სმ-ია (მაქსიმუმი 200 სმ. და მინიმუმი 145 სმ.). მამაკაცები 13 სმ.-ით მაღლები იყვნენ, ვიდრე ქალები (177.3 სმ და 164.3 სმ შესაბამისად).
- სხეულის საშუალო წონა იყო 80.4 კგ (მაქსიმუმი 163 კგ. და მინიმუმი 41 კგ.); ჩვეულებრივ, მამაკაცები უფრო მეტს იწონიდნენ, ვიდრე ქალები (შესაბამისად 86.9 კგ და 74.3 კგ). მამაკაცებში სხეულის წონის პიკი აღინიშნა 45-54 წ.წ. ხოლო ქალებში - 55-65 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში;
- სმი-ის საშუალო მაჩვენებელი როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში იყო 27.6;
- გამოკვლეულ პირთა მხოლოდ 34%-ს ჰქონდა ნორმალური წონა (სმი=18.5-24.9). 34.9%-ს აღმოაჩნდა ჭარბი წონა (სმი=25.0-29.9), უფრო ხშირად მამაკაცებს (შესაბამისად 40.2% და 34.9%). სიმსუქნე აღინიშნა რესპონდენტების თითქმის 1/3-ში (29.4%), უფრო ხშირად ქალებში (შესაბამისად 31.6% და 27.1%). რესპონდენტთა მხოლოდ 1.7% იყო გამზღვარი (სმი<18.5) და 2.6%-ს (მამაკაცთა 1.4% და ქალთა 3.7%) აღენიშნა III ხარისხის ჭარბი წონა;

ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით კლინდება ჭარბწონიანობის საკმარისად მაღალი გავრცელება, განსაკუთრებით ქალებში.

ვრობის ჯანმრთელობის მოხსენების მიხედვით კლინდება ჭარბწონიანობის საერთო სიკვდილობაში რისკ-ფაქტორების წილის მიხედვით ძალაში სმი იქავებს რიგით მესამე ადგილს.

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების საჭიროებას.

## თამბაქო

გულ-სისხლარღვთა დაავადებათა განვითარების ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი რისკ-ფაქტორი ნიკოტინია.

თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით საზოგადოების დანაკარგები წლიდან წლამდე იზრდება. დადგენილია, რომ სიგარეტის შეძნაზე დახარჯული თანხები მწეველთა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის საფასურის ტოლია. სხვადასხვა კვლევებით დადასტურდა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმყოფება თამბაქოს პერმანენტული და ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ. თამბაქოს მოხმარების სიხშირე როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში ყველაზე მაღალია 26-59 წლის ასაკში. ისინი ეწევიან მთელი მოხმარებული სიგარეტის 60.5%-ს. (ეროვნული მოხსენება 2003 წ.).<sup>30</sup>

თამბაქოს მოიხმარს ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40%. მამაკაცთა შორის მწეველია 50-60%, ხოლო ქალებს შორის მწეველობის პროგრესი კატასტროფულია. იგი ბოლო 16 წლის განმავლობაში თითქმის 6-ჯერ გაიზარდა (მათ შორის ორსულებში) და 22%-ს მიაღწია.

საგანგაშო მდგომარეობაა ბავშვებსა და ახალგაზრდებში. კერძოდ, 14-16 წლამდე ბავშვებში ჩატარებული ეროვნული დონის კვლევის<sup>31</sup> მიხედვით, სკოლის მოსწავლეთა 42%-ს გასინჯული აქვს თამბაქო (მათგან 52.2%-მა თამბაქო გასინჯა 10 წლამდე ასაკში); 23.3% რეგულარულად ეწეოდა გამოკვლევის პერიოდში; 93.3% იმყოფება მწეველთა გარემოში.<sup>32</sup>

2005 წლის ეროვნული მოხსენების თანახმად თამბაქოს მოიხმარს მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 27-39%. მამაკაცთა შორის მწეველია 50-65%.<sup>33</sup>

ანა გილმორისა და სხვა ავტორების მიერ ჩატარდა კვლევა<sup>34</sup> ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყანაში. გამოკითხვა წარმოებდა 18 წელზე მეტი ასაკის რეპრეზნტატიულ ჯგუფებში. დადგინდა, რომ ამ ქვეყნებში თამბაქოს მოხმარების დონე უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ში თამბაქოს მოხმარების ეპიდემის დროს. (საქართველოში იმ დროისათვის ეწეოდა მოსახლეობის 55%, მამაკაცების 62.3% და ქალების 5.8%).

არაგადამდებ დაავადებათა ძირითადი რისკ-ფაქტორების კვლევის<sup>35</sup> (2006-2007 წ.) მონაცემებით:

- გამოკითხულთაგან 52.3% აღნიშნავს, რომ ეწეოდა ცხოვრების მანძილზე სულ მცირე 1 წელი. პოზიტიური პასუხი ამ კითხვაზე უფრო ხშირად მამაკაცებს შორის იყო (77.9% 27.8%-ის საპირისპიროდ);
- ყოველდღიურ მწეველებს შორის თამბაქოს მოწევის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 19 წელს. თამბაქოს მოწევის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში იყო 21 წელი, ხოლო ქალებში - 15 წელი;
- ოდესმე მწეველთა 3/5 (60.1 %) ეწევა 20 სიგარეტს და მეტს დღეში და ამდენად, ისინი ხვდებიან მძიმე მწეველის კატეგორიაში (მამაკაცების 71.3% და ქალების 30.5%). დღიურად მოწეული სიგარეტის საშუალო რაოდენობა მამაკაცებში 21, ხოლო ქალებში 13-ია;

<sup>30</sup> ეროვნული მოხსენება 2003 წ.

<sup>31</sup> ეროვნული დონის კვლევა

<sup>32</sup> ეროვნული მოხსენება 2004 წ.

<sup>33</sup> ეროვნული მოხსენება 2005 წ.

<sup>34</sup> ანა გილმორისა და სხვა ავტორების მიერ ჩატარდა კვლევა

<sup>35</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

- ამჟამად ეწევა რესპონდენტების 42.2% (40.7% - ყოველდღიური მწეველები და 1.5% - იშვიათი მწეველები). მამაკაცები ეწევიან დაახლოებით სამჯერ უფრო მეტად, ვიდრე ქალები (შესაბამისად 62% და 23%). ეს ჩვევა იშვიათია ორივე სქესის მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში (55 წ.);
- თითქმის ყველა ყოველდღიური მწეველი ეწევა ქარხნულ სიგარეტს (99.8%), მხოლოდ 2 მამაკაცი ეწეოდა ჩიბუხს და არცერთი შეხვეულ თუთუნს;
- ყოველდღიურ მწეველებს შორის 75.6%-ს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მოწევა მავნე ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობაზე (ქალების 85.4% და მამაკაცების 71.9%);
- საგანგაშოა, რომ ყოველდღიური მწეველების 21.3%-ს არ სურს მოწევისათვის თავის დანებება, ხოლო 24% არ არის დარწმუნებული, და მხოლოდ 33.8%-ს სურს სიგარეტისათვის თავის დანებება;
- ყოველდღიური მწეველების 39.1%-ს არასძროს უცდია მოწევისათვის თავის დანებება (მამაკაცების 40.3% და ქალების 36.0%);
- მათ შორის, ვინც მოწევას თავი დაანება (21.9%), 210 მამაკაცი და 73 ქალია (შესაბამისად 22.2% და 20.8%).
- ყოველდღიურ მწეველთა მხოლოდ 28.4%-მა მიიღო რჩევა ექიმისაგან თამბაქოსთვის თავი დანებების შესახებ.

აღნიშნული მონაცემებიდან ქვეყნის მოსახლეობაში იკვეთება თამბაქოს მოხმარების მზარდი ტენდენცია, განსაკუთრებით შემაშვილთელი სტატისტიკა კლინდება ქალებსა და მოზარდებში. ამასთან, მონაცემების შედარება გაძნელებულია კვლევების და მონაცემთა ბაზების არაუნიფიცირების გამო. აქედან გამომდინარე, საჭიროა ენერგიული ინტერვენციები სიტუაციის კორექციისათვის მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

## ალკოჰოლი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ევროპის რეგიონში ავადიბის ტენის დახმარებით 9% მოდის სპირტიანი სასმელების მოხმარებაზე, რაც სხვა რისკის ფაქტორებთან ერთად განაპირობებს ისეთი დაავადებების განვითარებას, როგორიცაა ღვიძლის ციროზი, ჰიპერტენზია, ინსულტი, გულის იშემიური დაავადებები და სხვა. ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების ზომიერი მოხმარების ისტორიულმა ტრადიციებმა ხელი შეუწყო საქართველოში ალკოჰოლიზმის დაბალი დონის შენარჩუნებას 90-იან წლებამდე.

მომდევნო წლებში მდგომარეობის გამწვავებას ხელი შეუწყო ქვეყანაში პოლიტიკური და განსაკუთრებით ეკონომიური სიტუაციის გამძაფრებამ, მაგარი სპირტიანი სასმელების დემპინგურ ფასებში გასაღებამ, რასაც თან სდევდა შიდა ბაზარზე მაღალხარისხიანი ღვინის ნაწარმის არასაკმარისი გამოშვება.

2004 წელს საქართველოში აღრიცხულ იქნა ალკოჰოლიზმის 8 033 შემთხვევა. მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით იყო 198. სახეზეა 2003 წელს დაფიქსირებული რაოდენობის მატება: წინა წელს აღრიცხულთა რაოდენობა იყო 7 960. აზალი შემთხვევები იყო 174.<sup>36</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეროვნული მოხსენების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2005“ მიხედვით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის მონაცემებით ალკოჰოლის მოხმარება მოზრდილ მოსახლეობაში შედეგნაირია: მცირე ოდენობით მოხმარება ( $0.25 - <20$  გრ/დღე ქალებში და  $0.25 - <40$  გრ/დღე მამაკაცებში) – 27.5%, ხოლო დიდი ოდენობით ( $>20$  გრ/დღე ქალებში და  $>40$  გრ/დღე მამაკაცებში) – 0.5%, მაგრამ ტენდენცია მზარდია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს შორის ორწლიანი (2006-2007) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა“<sup>37</sup> კვლევის მონაცემებით:

- უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში რესპონდენტებმა საშუალოდ მიიღეს 0.8 ბოთლი ლუდი, 0.6 ჭიქა მაგარი სპირტიანი სასმელი და 1.5 ჭიქა ღვინო. ალკოჰოლის მოხმარება გაცილებით უფრო მაღალია მამაკაცებში;
- რესპონდენტების 36.7%-ს არ მიუღია მაგარი სპირტიანი სასმელი (მათი უმრავლესობა ქალია). 36.9% მაგარ სასმელს სვამს წელიწადში რამდენჯერმე, 19.2% თვეში 2-3-ჯერ, 3.8% კვირაში ერთხელ, 0.6% (მხოლოდ მამაკაცები) კვირაში 2-3-ჯერ;
- 20.2%-ს (უმეტესობა ქალებს) არასოდეს არ დაულევია ღვინო. 44.7% (უმეტესად ქალი) სვამს წელიწადში რამდენჯერმე, 24.4% სვამს თვეში 2-3-ჯერ, 5.6% - ყოველკვირეულად, 3.2% - კვირაში 2-3-ჯერ, 1.1% (26 რესპონდენტი) სვამს ყოველდღე, მათ შორის 1 ქალი;
- 34.7%-ს არასოდეს დაულევია ლუდი, 29.7% სვამს წელიწადში რამდენჯერმე, 17.6% სვამს თვეში 2-3-ჯერ, 7.0% ყოველკვირეულად, 5.4% კვირაში 2-3-ჯერ, 2.6% სვამს ყოველდღე;
- რესპონდენტების 55.8%-ს არასოდოს დაულევია 6 ან მეტი ჭიქა ერთჯერადად. 1.1% სვამს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე.

ამრიგად, მონაცემები საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ალკოჰოლის მოხმარების დონის გავრცელების შესახებ არასაკმარისია, ხოლო სხვადასხვა წლებში ჩატარებული გამოკვლევების ინდიკატორების არაეართგვაროვნების გამო გამნერებულია მათი ერთმანეთთან შედარება.

<sup>36</sup> 2004 წლის ეროვნული მოხსენება

<sup>37</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## ქვება

კვების თავისებურებები მნიშვნელოვნად აისახება ჯანმრთელობაზე. კვების რაციონში გარკვეული კომპონონტების, როგორც სიჭარბე, ასევე ნაკლებობა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი. შესაბამისად, სრულფასოვანი და ჯანსაღი კვება სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

საქართველოში საკვები პროდუქტების მოხმარების შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები ძირითადად ეყრდნობა სასურსათო საქონლის ბალანსურ ანგარიშებს და არა გამოკვლევებს საკვები პროდუქტების მოხმარების შესახებ, რაც თავისთავად არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას სამედიცინო თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს მოსახლეობის კვების რაციონში 31.5% ეკავა მაკარონის ნაწარმს, პურსა და ბურღულეულს, ბოსტნეულს – 28.7%, რძესა და რძის პროდუქტებს – 17.3%, ხორცის წილმა კი მხოლოდ 3.4% შეადგინა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის (ეგსსდ 2006 წ.) მიერ ჩატარებული შინამეურნეობათა გამოკვლევის<sup>38</sup> მიხედვით ერთ სულზე მედიანური „კალორიების მოხმარება“ (კკალ/დღეში) 2005 წლისათვის შეადგენდა 2 670 კკალორიას, რაც თითქმის 300 კკალორიითაა მომატებული 2002 წელთან შედარებით (2 360 კკალ). უნდა აღინიშნოს, რომ კალორიების მოხმარება 2005 წელს თითქმის იმავე სიდიდით (300 კკალ) ჩამორჩება 1983 წელს საქართველოს მოსახლეობის 1 სულზე დღეში კალორიებში გამოსახული საკვები პროდუქტების მოხმარებას.

ამავე გამოკვლევებით ნუტრიენტების წვლილი კვებითი ენერგიის მოხმარებაში შემდეგია: ცხიმები – 21%; ცილები – 12%; ნახშირწყლები – 68%. ყველა ეს მაჩვენებელი მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ნორმების ფარგლებშია.

მოსახლეობის მიერ პროდუქტების მოხმარების შესახებ ინფორმაციის დეფიციტს გარკვეულად ავსებს CINDI საქართველოს მიერ 2001 წელს თბილისში ჩატარებული ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა (პილოტირება), 2004 წელს კი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში (სადემონსტრაციო არე) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების კვლევა. აგრეთვე, „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა“. რომლის მიხედვით;

- რესპონდენტები საშუალოდ 6.3 ნაჭერ პურს მიიღოთ დღის განმავლობაში; აქედან, საშუალოდ 0.8 ნაჭერ ჭვავის პურს, 4.5 ნაჭერ თეთრ პურს, 0.4 ნაჭერ თონის პურს და 0.6 ნაჭერ სხვა პურს;
- 406 რესპონდენტი საერთოდ არ მოიხმარს შაქარს. შაქრის საშუალო მოხმარება (ყავასთან ან ჩაისთან ერთად) შეადგენს 4.8 კოვზს დღეში;
- რესპონდენტთა უმრავლესობა მოიხმარს ბოსტნეულის ზეთს (92.4%). მხოლოდ 3.2% მოიხმარს კარაქს ან პროდუქტს, რომელიც ძირითადად კარაქისაგან შედგება. რესპონდენტების ძალიან მცირე რაოდენობა მოიხმარს მარგარინს (0.7%), ღორის ქონს ან სხვა ცხვველურ ცხიმს (0.2%);
- რესპონდენტების 78.1% (მამაკაცების 82.0% და ქალების 74.3%) მიირთმევს საუზმეს. ასაკის მატებასთან ერთად ეს პროცენტული მაჩვენებელი იზრდება;
- გამოკვლეულთა 65.3% საკვებს სახლში ამზადებს;

<sup>38</sup>Houshold Survey on Health Service Utilization and Expenditure (HUES), 2007

- გამოკვლეულთა 56% საკვებს არასოდეს ამატებს მარილს, 31.6% ამატებს, როცა საკვები არასაკმარისად მარილიანია, ხოლო 11.7% ამატებს საკვების დაგემოვნებამდე. რესპონდენტთა 85.6% იოდიზებულ მარილს მოიხმარს;
- ახალ ბოსტნეულს ყოველდღე მოიხმარს რესპონდენტთა მხოლოდ 31.5%, ხოლო 10%-ს იგი წინა კვირას არ მოუხმარია;
- ხილის მოხმარებას საერთოდ არ აღნიშნავს გამოკითხულთა 37.5%, ხოლო 36.6% მოიხმარს მხოლოდ 1-2-ჯერ კვირაში. რესპონდენტთა დაახლოებით 80% არასდროს მოიხმარს ხილს კომპოტისა და ჩირის სახით;
- რესპონდენტთა 34.9%-მა წინა კვირას 3-5-ჯერ მიირთვა საკონდიტრო ნაწარმი (ნამცხვარი, ხაჭაპური, ლობიანი), 27,2%-მა - ტკბილეულობა (კანფეტი, შოკოლადი). საერთოდ არ მიურთმევია საკონდიტრო ნაწარმი გამოკითხულთა 22.3%-ს, ხოლო ტკბილეულობა – 32.9%-ს.

ზემოაღნიშნული მონაცემები არ არის საკმარისი არაგადამდებ დაავადებათა მართვის მიზნით ნაციონალური სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად. ამისათვის, პირველ რიგში უნდა შეფასდეს მონაცემები მოსახლეობის მიერ ისეთი საკვები ნივთიერებების მოხმარების შესახებ, როგორიცაა:

- ცხიმების საერთო რაოდენობაში: ნაჯერი, პოლიუჯერი და ტრანსცხიმოვანი მჟავები; მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავები; პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები; ქოლესტეროლი.
- ნახშირწყლების საერთო რაოდენობაში: თავივისუფალი შაქრები; საკვები ბოჭკოები; არასახამებლური პოლისაქარიდები.
- ნატრიუმის ქლორიდი.

მოსახლეობის რაციონში მხოლოდ ჩამოთვლილი კვების ინგრედიენტების ხვედრითი წილის დადგენის შემდეგ განდეგა შესაძლებელი მოსახლეობის კვების ხასიათსა და კულტურასთან მისაღაბებული რეკომენდაციების შემუშავება.

## ფიზიკური აქტივობა

ოფიციალურ სტატისტიკურ წყაროებში მონაცემები ფიზიკური აქტივობის შესახებ არ მოიპოვება.

2001 წლის მონაცემებით: (CINDI საქართველოს მიერ 2001 წელს ქ. თბილისში ჩატარებული ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევა) გამოკითხულთა 42.9% სამსახურში არ დადის ფეხით, რაღაც არ მუშაობს ან მუშაობს სახლში. 6.4% ავტომობილით დადის სანსახურში. რესპონდენტების 13.6% 15 წუთზე ნაკლებს უნდება სამსახურში ფეხით მისვლას, ხოლო 22%-15-30 წთ.

რესპონდენტთა 70.8% ფიზიკურად ვარჯიშობს 30 ან მეტ წუთის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე წელიწადში; 6.1% ვარჯიშობს ყოველდღე, უმეტესად მამაკაცები; 5.9% არ ვარჯიშობს ავადმყოფობის გამო და 0.9% - შეუძლებლობის გამო.

რესპონდენტთა 28.3%-ის სამუშაო ფიზიკურად ძალიან მსუბუქია, ძირითადად მჯდომარე; 48.4%-ში ის მოითხოვს ფეხით სიარულს, 20.5%-ში - საშუალო ფიზიკურ აქტივობას და 2.7%-ში ხელით მძიმე მუშაობას.

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფიზიკური აქტივობის გაზრდა რესპონდენტთა 9.9%-ს უჩინა ოჯახის წევრმა, ხოლო ექიმმა და ჯანდაცვის სხვა მუშაკმა იშვითად - შესაბამისად შემთხვევათა 2.3% და 2.1%-ში.

2004 წლის მონაცემებით<sup>39</sup> დღეთა საშუალო რაოდენობა კვირაში, როდესაც რესპონდენტებს ჰქონდათ ძლიერი ან საშუალო ფიზიკური აქტივობა იყო 0.72-0.79 და ამ ფიზიკური ვარჯიშის საშუალო ხანგრძლივობა იყო 29-35 წთ. დრო, რომლის განმავლობაშიც რესპონდენტებს სამუშაო დღეებში უხდებოდათ ჯდომა იყო 10.6 სთ/დღეში.

რესპონდენტთა 43.2% არ მუშაობდა ან მუშაობდა სახლში, 7.1% დადიოდა სამსახურში მანქანით, 12.3% უნდებოდა 15 წუთზე ნაკლებს სამსახურში ფეხით მისასვლელად, ხოლო 17.9% - 15-30 წუთს.

რესპონდენტთა 56.4% ფიზიკურად ვარჯიშობდა 30 წუთი ან მეტი დროის განმავლობაში მხოლოდ წელიწადში რამდენჯერმე; 6.1% - ყოველდღე, 8.6% არ ვარჯიშობდა ავადმყოფობის გამო და 1.3% - შეუძლებლობის გამო.

რესპონდენტთა 32.4%-ის სამუშაო იყო ფიზიკურად ძალიან მსუბუქი (ძირითადად მჯდომარე), 45.4%-ის ძირითადად მოსიარულე, 17.8%-ში საშუალო ფიზიკური აქტივობის, ხოლო 3.8%-ში-მძიმე ხელით სამუშაო.

უკანასკნელ 12 თვეში რჩევები ფიზიკური აქტივობის გაზრდის შესახებ ოჯახის წევრებისაგან მიიღო რესპონდენტთა 27%-მა, ხოლო ექიმისა და ჯანდაცვის სხვა მუშაკისაგან - შესაბამისად 25 და 15%-მა.

ფიზიკური აქტივობა შეფასებული იყო არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა კვლევის<sup>40</sup> (2006-2007) ფარგლებში.

<sup>39</sup> 2004 წელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების კვლევა

<sup>40</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## კვლევის შედეგები

- რესპონდენტთა 92.6%-ს აქვს ფიზიკური ვარჯიშის უნარი (მამაკაცთა 93.1% და ქალთა 92.1%);
- გამოკითხულთა 93.9% (მამაკაცთა 91% და ქალთა 96.7%) არ იყო ფიზიკურად აქტიური უკანასკნელი 1 კვირის განმავლობაში;
- რესპონდენტთა 55.1%-ს (მამაკაცთა 59.1% და ქალთა 50.5%) არ შეუსრულებია საშუალო ინტენსივობის ფიზიკური აქტივობა;
- ძალიან მსუბუქი (ძირითადად მჯდომარე) ტიპის სამუშაო აქვს მამაკაცთა 25.8% და ქალთა 26.2%-ს, მსუბუქი (ძირითადად სიარული) ტიპის სამუშაო აქვს მამაკაცთა 17.2% და ქალების 20.4%-ს, ზომიერი (მსუბუქი ტვირთის აწევა და ტარება) ტიპის სამუშაო აქვს მამაკაცთა 10.0% და ქალთა 5.2%-ს, მძიმე (მძიმე ტვირთის ტარება) ტიპის სამუშაო აქვს მამაკაცთა 3.0% და ქალთა 0,6%-ს’
- რესპონდენტთა 66.7% ყოველდღიურად მისდევს მსუბუქი ინტენსივობის ფიზიკურ დატვირთვას 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში;
- გამოკვლეულთა 43.5% (მამაკაცთა 49.1% და ქალთა 38.2%) ყოველდღიურად 6 საათზე ხანგრძლივ დროს ატარებს მჯდომარე მდგომარეობაში;
- რესპონდენტთა 85.6% ვარჯიშობს (სულ მცირე 30 წთ.) მხოლოდ წელიწადში რამდენჯერმე ან უფრო იშვიათად.

მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებული მონაცემები არ არის საკმარისი. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით სავარაუდოდ, მოსახლეობის ფიზიკური აქტივობა დაბალია და ბევრად ჩამოუვარდება სასურველს. დადი ნაწილის ცხოვრების წესი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მჯდომარე. პიპოლინამის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობა, როგორც ჩანს, ასევე დაბალია. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისაკენ მიმართულ აქტივობებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ყოველმხრივ პრევენციულ ღონისძიებებს (მათ შორის საგანმანათლებლო), რომლებიც გამზნული იქნება მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდისათვის.

## ფსიქო-სოციალური ფაქტორები

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა პოპულაციის მაღალი ნევროტიზაციისა და სტრესულ აშლილობათა სიმპტომატიკა. ამ მხრივ საყურადღებოა ე.წ. სპეციალური რისკის პოპულაციები, პირველ რიგში იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტურ ზონაში მცხოვრებ პირთა კონტინგენტი. ამ უკანასკნელის რეპრეზენტატორულ ჯგუფებში, უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში განხორციელებულმა პილოტურმა კვლევებმა გამოავლინა სოციალური თვითიზოლაციისა და სომატურ პათოლოგიათა გაძლიერების ტენდენციები.<sup>41</sup>

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით აფხაზეთის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ხანგრძლივი დაკვირვების ქვეშ მყოფი დევნილ პაციენტებს შორის დეპრესიული სინდრომი გამოვლინდა 44.8%-ში.

2000-2001 წლებში მოზარდებში ნარკომანის გავრცელების მიზეზთა კვლევისას<sup>42</sup>, ანონიმურმა გამოკითხვამ (თბილისი, იმერეთი, სამეგრელო) აჩვენა, რომ მათმა 62-67% პირველი ნარკოტიკი დეპრესიის დროს მიიღო.

უცხოელ ექსპერტთა აზრით, 20%-მდე პაციენტთა ზოგადი პროფილის ექიმთან მიმართვის ერთადერთი მიზეზი დეპრესია.

ფსიქო-სტრესულ სიტუაციებზე ემოციურ რეაგირებათა ფართო სპექტრი, მათ შორის შფოთვა, დეპრესია, დამოკიდებულების შეცვლა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, განაპირობებს ერთგვარ არადექვატურ დამოკიდებულებას ქრონიკული დაავადებების მიმართ.<sup>43</sup>

რაც შეეხება სოციალურ იზოლაციას, არასაკმარის სოციალურ მხარდაჭერას, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის დაბალ დონეს, ისინი განიხილებიან ქრონიკულ დაავადებათა არადამატებული კონტროლთან ასოცირებულ ფაქტორებად.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პოპულაციაში, საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების აქტივობა გამოისახება რამდენიმე პილოტური პროექტით. 2003 წ. დასავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა (Care-ს მხარდაჭერით)<sup>44</sup> – საგანმანათლებლო პროექტი წყალტუბოს რაიონის დევნილ მოსახლეობაში. პროექტის სამიზნე აქცენტებისთვის შესწავლილ იქნა სიკვდილობის მიზეზები სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე. გარდაცვალების სამედიცინო სერტიფიკატებში ფიგურირებდა ორი ძირითადი მიზეზი: თავის ტვინის ინსულტი და უბედური შემთხვევები (მ.შ. განხორციელებული სუიციდები, რომელთა სტატისტიკაც სამწუხაროდ არ არსებობს).

2004 წ. განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა (Mercy Corps-ის მხარდაჭერით)<sup>45</sup> – საგანმანათლებლო პროექტი ახალგორის მოსახლეობაში.

<sup>41</sup> დეპრესიის გავრცელება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში, აფხაზეთის ჯანმრთელობის მნისტრი დ. ხორავა – ფსიქიკურ აშლილობათა მკურნალობა კომპანია „ლუნდბეკი“-ს ფსიქოტროპული პრეპარატებით, სიმპოზიუმის მასალები, 2007 წ.

<sup>42</sup> 2000-2001 წლებში მოზარდებში ნარკომანის გავრცელების მიზეზთა კვლევა

<sup>43</sup> ფსიქო-სოციალური ფაქტორები და ანტიპასერტეტენიულ მკურნალობაზე დამყოლობის პრობლემა. პროფ. ბ.

<sup>44</sup> წინამდგრადიშვილი, კომპანია „ლუნდბეკი“-ს ფსიქოტროპული პრეპარატებით, სიმპოზიუმის მასალები, 2007 წ. თბილისი

<sup>45</sup> 2003 წ. დასავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა (Care-ს მხარდაჭერით)

<sup>46</sup> 2004 წ. აღმოსავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა (Mercy Corps-ის მხარდაჭერით)

პილოტური კვლევით, არტერიული ჰიპერტენზიისა და მისი რისკ-ფაქტორების შესწავლის მიზნით, კონფლიქტური ზონის ეპიცენტრში (მათ შორის ოსურ სოფლებში) მიღებული შედეგებით, აჭ გავრცელების მაჩვენებელი – 73.5% (ოპორტუნისტული სკრინინგი), ხოლო ფსიქო-ემოციური სტრესები – 78.2%-ში.

2006 წ. PSP ჯგუფის მიერ, შიდა ქართლში განხორციელებული ჰიმანიტარული აქციისას<sup>46</sup> ჰიპერტენზიის საზოგადოებას კონფლიქტურ ზონაში, სოფელ ქურთაში მოსახლეობის გასინჯვის საშუალება მიეცა; 80%-ში იყო საჭიროება ანტიჰიპერტენზიული მკურნალობის დანიშვნისა.

2007 წ. არტერიული წნევისა და ფსიქო-სოციალურ ფაქტორთა სკრინინგი იძულებით გადაადგილებულ პირთა პოპულაციაში<sup>47</sup> (გლდანის რაიონში ორგანიზებულად დასახლებულ ოჯახებში) კვლევა განხორციელდა ქართული ფარმაცევტული კომპანია GMP-ის მხარდაჭერით. არტერიული ჰიპერტენზიის მაჩვენებელი გამოვლინდა 49.8%-ში, მათგან 55.8%-ში აღინიშნა შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომატიკა, 41.7%-ში შფოთვისა და 28.6%-ში დეპრესიის კლინიკური ფორმების სახით (შფოთვისა და დეპრესიის ჰოსპიტალური შკალა HADS).

<sup>46</sup> 2006 წ. PSP ჯგუფი

<sup>47</sup> 2007 წ. არტერიული წნევისა და ფსიქო-სოციალურ ფაქტორთა სკრინინგი იძულებით გადაადგილებულ პირთა პოპულაციაში

## ნაწილი 2

### არაგადამდებ დაავადებათა ტკირო


#### დემოგრაფიული სტატისტიკა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს საქართველოს საშუალო წლიური მოსახლეობის რაოდენობა 4 388 400 ადამიანს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის 52.6% ქალია, 47.4% – მამაკაცი. ქვეყნის ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის 52.5%, სოფლებში – 47.5%.

საქართველოში 15 წლამდე ასაკის ბავშვთა პროცენტული შემადგენლობა 2002-2007 წლებში 21.0%-დან 17.5%-მდე შემცირდა, 65 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობა კი 12.9%-დან 14.6%-მდე გაიზარდა.<sup>48</sup>

სურათი 35

ასაკობრივი პირამიდა, საქართველო, 2007



საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2007 წელს აღრიცხულია 49 287 ცოცხალშობილი (52.5% ვაჟა, 47.5% - გოგონა).

შობადობის მაჩვენებელმა 2005 წელს, 1989 წელთან შედარებით, 16.8-დან 10.7-მდე დაიკლო, რაც აისახა ბუნებრივი მატების მაჩვენებლის კლებაზე და 2005 წელს იგი 0.8-ს გაუტოლდა (1989 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 7.7 იყო). 2006 წელს შობადობის მაჩვენებელმა 0.2-ით მოიმატა, ხოლო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1.3 ტოლი იყო. 2007 წელს აღირიცხა შობადობის (10.9-დან-11.2-მდე) და ბუნებრივი მატების (1.3-დან-1.8-მდე) მაჩვენებლების ზრდა.

<sup>48</sup> [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

შობადობის ჯამობრივი მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანა ნორმალური რეპროდუქტიულობის დონეზე ბევრად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება: 1.45 ბავშვი ერთ ქალზე.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლად დაბადებულზე 1970 წლიდან 2004 წლამდე თითქმის არ იცვლებოდა და საშუალოდ 23.6-ს შეადგენდა (დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში 1997-2004 წლებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო ევროპის რეგიონში). 2005 წლიდან აღინიშნა შემცირების ტენდენცია და 2007 წელს მაჩვენებელმა 13.3 შეადგინა. შედარებისთვის: ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2007 წელს ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი 14.1-ის ტოლი იყო.

2005 წელს დედათა სიკვდილობის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ შემცირდა და 100 000 ცოცხალშობილზე 23.4 შეადგინა, კლების ტენდენცია შენარჩუნებულია 2006-2007 წლებშიც (შესაბამისად, 23.0 და 20.2).

2007 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მკვდარი დაიბადა 632 ბავშვი (მაჩვენებელი 1 000 დაბადებულზე – 12.7). ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სამშობიარო სახლებში (განყოფილებებში) მკვდარი დაიბადა 738 ბავშვი (მაჩვენებელი 1 000 დაბადებულზე 14.7).

საქართველო 60-70-იან წლებში, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, დაბალი სიკვდილობის მაჩვენებლით გამოირჩეოდა. 1992 წლიდან სიკვდილობის მაჩვენებელი მატულობს და 2004 წელს საქართველოსთვის მაქსიმალური ხდება – 11.3. ამ წელს საქართველოში მოქმედებდა DFID-ის პროგრამა, ორმლის შესაბამისად, გარდა გარდაცვალების ტრადიციული სამოქალაქო აქტებისა (მმაჩის ბიუროებიდან), სტატისტიკის დეპარტამენტში შედიოდა და მუშავდებოდა სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული დაბადების და გარდაცვალების სამედიცინო ცნობები. 2004 წელს სულ აღრიცხულ იქნა 48 793 გარდაცვალების შემთხვევა. პროგრამის დამთავრების შემდეგ 2005 წელს აღრიცხულია 40 721, ხოლო 2006 წელს – 42 255 გარდაცვალების შემთხვევა (სიკვდილობის ზოგადი მაჩვენებელი – 9.6). 2007 წელს სიკვდილობის მაჩვენებელმა 9.4-მდე დაიკლო.


საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცებში სიკვდილობა გაცილებით მაღალია და ხასიათდება უფრო სწრაფი ზრდის ტემპით, ვიდრე ქალებში. მამაკაცებში სიკვდილობის მაჩვენებელია 10.6, ქალებში კი – 8.3.

2007 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები სიკვდილის ყველა შემთხვევის 66.9%-ს, სიმსივნეები – 10.9%-ს, ტრაგები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგები – 3.2%-ს, ხოლო სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები 8.4%-ს შეადგენდა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის რეგიონში: 2007 წელს იგი 75.1-ის ტოლია (მამაკაცებში – 70.5; ქალებში – 79.4).


სურათი 36

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 1997 – 2007



სურათი 37

პერინატალური და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებლები, 1997-2007



## სახელმწიფო ბიუჯეტი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველო განიცდის მრავალ პოლიტიკურ და სოციო-ეკონომიკურ სიძნეებს, მათ შორის პრივატიზაციის პროცესებთან, საგარეო ვაჭრობასთან, დაფარულ ეკონომიკასთან, მონეტარულ პოლიტიკასთან, პოპულაციის დაბერებასთან და მიგრაციასთან დაკავშირებულ სიძნეებს. პრობლემები განპირობებულია ნაკლებად ორგანიზებული სამუშაო ბაზრით, უმუშევრობის მაღალი დონით, დაბალი ეკონომიკური განვითარებითა და სწავლებების/ტრენინგების არაორგანიზებული სისტემით, რომელიც ვერ აქმაყოფილებს საქართველოს ახალი ეკონომიკის მოთხოვნებს.

საქართველოს ახალმა მთავრობამ თავისი წინამორბედისაგან მემკვიდრეობით მიიღო მკვეთრად დაქვეითებული სოციო-ეკონომიკური განვითარების ქვეყანა. აქედან გამომდინარე, პირველი ნაბიჯები გადაიდგა სისტემის სტაბილიზაციის, მაქსიმალურად ბევრი სოციალური საქონლის წარმოების მიმართულებით. მმართველობა, რომელიც მანამდე ხასიათდებოდა ცენტრალიზაციით, არაეფექტური მმართველობით ეროვნულ დონეზე, სერიოზული კორუფციით, ამჟამად ახორციელებს ამბიციურ რეფორმების პროგრამას, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას, ტრანსპარენტულობას და მშვიდობისა და უსაფრთხოების გამყარებას.

ახალმა მთავრობამ მიაღწია საქართველოს ეკონომიკის სერიოზულ წინსვლას. განხორციელებულმა რეფორმატორულმა ნაბიჯებმა შედეგი გამოიღო – შემცირდა ბიზნესის წარმოების ბარიერები, შემუშავდა ახალი სავაჭრო და მიწის პრივატიზაციის პოლიტიკა, გაიზარდა ბიზნესის მწარმოებელთა რეგისტრაცია. თუმცა, ეს რეფორმები ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია სტაბილური ეკონომიკის ასაშენებლად და მთავრობის მიერ ინიცირებული რეფორმის სრულად დასანერგად კიდევ მრავალი ძალისხმევაა აუცილებელი.

**სურათი 38**

### ბიუჯეტი აბსოლუტურ რიცხვებში, საქართველო, 2004-09<sup>49</sup>



თუმცა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები დადებითა, მნიშვნელოვანი გამოწვევები ჯერ კიდევ დასაძლევია. საქართველოს სავაჭრო დეფიციტი GDP-ის 25%-დან (2005 წ.) 36%-მდე გაიზარდა (2006 წ.), ინფლაციის დონე 6.2%-დან (2005 წ.) 11%-მდე გაიზარდა (2007 წ.), ხოლო 2008 წელს 5.5%-მდე შემცირდა. მოსახლეობის დაახლოებით 40% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. დასაქმების მრავალი სექტორი, მათ შორის სოფლის მეურნეობის, არ არის


<sup>49</sup> [www.mof.ge](http://www.mof.ge)

მზად საექსპორტო ბაზარზე კონკურენციისათვის. ბიზნესისათვის რთულია საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით საქართველოს საერთო მაჩვენებელი გაუმჯობესდა 112-დან 37-მდე 2007 წელს, რის შედეგადაც საქართველო დასახელდა მსოფლიოს პირველ რეფორმატორ ქვეყანად. Heritage Foundation's Economic Freedom Index-ის მიხედვით 2007 წელს საქართველოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა 52-დან 35-მდე.<sup>50 51</sup>

### სურათი 39


#### საზელმწიფოს დანახარჯები ჯანდაცვაზე



პოსტსაბჭოთა კოლაფისა და რესურსების ნაკლებობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავებასთან ერთად ჯანდაცვის სისტემა ხასიათდება სერვისებზე მოთხოვნასა და მიწოდებებას შორის ბალანსის ფაქტურად არარსებობით, კლიენტთა უმრავლესობისათვის სასურველი სერვისები ხელმიუწვდომელია, განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებლებისათვის. სამედიცინო დაწესებულებები ხასიათდება არათანაბარი გეოგრაფიული განაწილებით. ძირითადად, პაციენტთათვის სასურველი სერვისები არ არის ხელმისაწვდომი, სახეზეა ინსტიტუციების, აღჭურვილობისა და მასალების ნაკლებობა; სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების უნარები კი მოითხოვს მკვეთრ გაიმჯობესებას.

### სურათი 40

#### ჯანდაცვაზე დანახარჯების სტრუქტურა, საქართველო, 1996-2006



<sup>50</sup> Ministry of Finance of Georgia, [www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge)

<sup>51</sup> Amiran Gamkrelidze, Healthcare System in Georgia; Course of lectures for healthcare managers

ჯანდაცვის სისტემა კვლავ ჯიბიდან გადახდებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სასურველ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ფინანსური ბარიერები კვლავ სახეზეა. ჯანდაცვის დანახარჯები მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ოჯახების, განსაკუთრებით კი ღარიბების ოჯახების; ხოლო ჰოსპიტალიზაციის ხარჯები კი მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს უქმნის კარგად მაცხოვრებელი ოჯახების ბიუჯეტსაც კი. ღარიბი მოსახლეობისათვის შესაბამისი ამბულატორიული დახმარებაც კი მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს ქმნის. აქედან დასკვნა, ჯანდაცვის ფინანსირების რეფორმებმა ვერ უზრუნველყო საქართველოს მოსახლეობის ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

სურათი 41


### ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები თითოეულ მოსახლეზე, 1995-2007



ჯანდაცვის სექტორს ახალ მთავრობაშიც დაბალი პრიორიტეტი აქვს. ქვეყნის ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები შემცირდა და 2005 წელს მიაღწია 5.9%-ს, რაც ნაკლებია 2003 და 2004 წლის დონეზე. გადასახადების მოკრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მთავრობამ 2006 წლისათვის გაზარდა ჯანდაცვის დაფინანსება 20%-ით, თუმცა 2007 წელს კვლავ 4.1%-მდე შემცირა.

სურათი 42

### მოსახლეობის სტატუსი დასაქმების მიხედვით



უკანასკნელ წლებში უმუშევრობის დონე მეტ-ნაკლებად სტაბილურია (2005-2007).

### **ნაწილი 3: არაგადამდები დაავადებების ეკონომიკური ტვირთი**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის მონაცემებით არაგადამდებ დაავადებებზე სახელმწიფოს დანახარჯები 30%-ია.

**სახელმწიფო პროგრამები – 2008 წ.**

**ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა**  
პროგრამა მოიცავს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკას და მკურნალობას, ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარულ მკურნალობას, ონკოპემატოლოგიურ მოზრდილ პაციენტთა მკურნალობას და ონკონკურაბელურ პაციენტთა პალიატიურ მზრუნველობას.  
პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5 920 000 ლარით.

**შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაავადებულთა უფექტური მკურნალობის უზრუნველსაყოფად მედიკამენტების ადექვატური დოზის შერჩევა სტაციონარული გამოკვლევის გზით.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 280 000 ლარით.

მოსახლეობის სპეციფიური პრეპარატებით უზრუნველყოფის პროგრამის „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მოზრდილი ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი“ ბიუჯეტი განისაზღვრება 3 392 000 ლარით.

## **ნაწილი 4: არაგადამდები დაავადებებთან დაკავშირებული ამჟამინდელი პოლიტიკა**

ნორმატიული დოკუმენტები რომლებიც უზრუნველყოფენ არაგადამდები დაავადების კონტროლისა და მართვის მექანიზმებს:

### **კანონები**

1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
2. „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
3. „პაციენტის უფლებების შესახებ“;
4. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“;
5. „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“;
6. „იოდის, სხვა მიკროლემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადების პროფილაქტიკის შესახებ“;
7. „საქართველოში ტაბაქოს კონტროლის შესახებ“;
8. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“;
9. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“;
10. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“;
11. „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“;
12. „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“.

### **კანონქვემდებარე ნორმატიული ბრძანებები**

1. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 6 მაისის №111/6 ბრძანება „2008 წლის ჯანმრთელობის პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
2. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივნისის №150/6 ბრძანება „ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო დაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ღეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 7 ოქტომბრის №157/6 ბრძანება ქრონიკული ონკორაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის №142/6 ბრძანება „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“
5. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 17 ივნისის №140/6 ბრძანება „2008 წლის დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 3 ნოემბრის №294/6 ბრძანება „თაბაქოს პროდუქციის კოლოფზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილების განსაზღვრის შესახებ“;
7. საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 5 მარტის №147/6 ბრძანება „მძიმე, მავნე და საშიშიპირობებიან სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე“;

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 4 თებერვლის №112/6 ბრძანება „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“;
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №91/6 ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ამბულატორიულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღრიცხვისა და აღრიცხვიდან მოხსნის, მათზე მეთვალყურეობის წესის შესახებ“;
10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 26 ივნისის №173/6 ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/6 ბრძანება „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებატა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 4 მაისის №101/6 ბრძანება „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“;
13. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 14 მაისის №276/6 ბრძანება „იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“;
14. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/6 ბრძანება „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს“;
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის №35/6 ბრძანება „პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;
16. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 176 ივნისის №198/6 ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის შესახებ“;
17. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №298/6 ბრძანება „საავადმყოფოების, სამშობიარო სახლებისა და სხვა სამკურნალო სტაციონარების მოწყობის, გამართვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“;
18. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს 299/6 ბრძანება „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებებისადმი წაყენებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
19. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს 300/6 ბრძანება „სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუკნებლების წესების დამტკიცების შესახებ“;
20. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №310/6 ბრძანება „თამბაქოს ნაწარმში და მის კვამლში ტოქსიკური ნაერთების, ნიკოტინისა და ფისის შემცველობის ზღვრულად დასაშვები დონეების დამტკიცების შესახებ“;
21. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 18 სექტემბრის №264/6 ბრძანება „ზოგადი და ლოკალური ვიბრაციით გამოწვეული ვიბრაციული დაავადების და პნევმოკონიოზების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“;

22. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის №258/ნ ბრძანება „სამკურნალო დიეტების დამტკიცების შესახებ“;
23. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 18 სექტემბრის №263/ნ ბრძანება „პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის მეთოდური მითითებების დამტკიცების შესახებ“;
24. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის №41/ნ ბრძანება „სამედიცინო რენტგენურ-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“;
25. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანება „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“;
26. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის №233/ნ ბრძანება „სხვადასხვა სიმძლავრის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“;
27. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის №282/ნ ბრძანება "აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ"
28. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 15 იანვრის №10/ნ ბრძანება „რადიოიზოტოპური ლაბორატორიების მოწყობისა და მედიცინაში ღია რადიოფარმპრეპარატების გამოყენების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;
29. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის №216/ნ ბრძანება „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“;
30. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 19 ოქტომბრის №300/ნ ბრძანება „სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

## **ნაწილი 5: არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის არსებული პოტენციალი საქართველოში**

### **ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები:**

გლობალური სტრატეგიის გეგმის შესაბამისად რეკომენდებულია ქვეყანაში ზედამხედველობის სისტემების გაძლიერება და რისკის ფაქტორების, დაავადებათა ინსიდენტებისა და სიკვდილობის მიზეზთა სტანდარტიზებულ მონაცემთა შეკრება ჯანმო-ს ინსტრუმენტების გამოყენებით.

ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები მოიცავს პოპულაციაზე და ჯანმრთელობის დაწესებულებაზე დაფუძნებულ მონაცემთა წყაროებს. ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, არსებობს დაბადება/გარდაცვალების სარეგისტრაციო სისტემა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზედამხედველობის სისტემა. საქართველოში სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფაზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი<sup>52</sup>, რომელიც აწარმოებს ქვეყანაში სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციას, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროსათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შემუშავებაში.

ჯანმრთელობის სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფაზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი<sup>53</sup>, რომლის მონაცემები ქვეყნდება ყოველწლიურ სტატისტიკურ ცნობარში.

ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები მოიცავს მხოლოს ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობის ოფიციალურ სისტემას, რაც შეეხება არაგადამდებ დაავადებებს, ზედამხედველობის ოფიციალურ სისტემა არ არსებობს, ფაქტორების და ზედება რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, უკიდურესად იშვიათია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის შემსწავლელი რანდომიზებული კვლევები.

ქვეყანაში არსებული საინფორმაციო სისტემა ჩართულია ჯანმრთელობის სფეროს ანგარიშების ყოველწლიურ სისტემაში. ქვეყნდება ჯანმრთელობის ეროვნული წლიური მოხსენებები<sup>54</sup> და ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები.<sup>55</sup>

ამგვარად, არსებობს ზედამხედველობის გარკვეული სისტემა, თუმცა სისტემა ვერ უზრუნველყოფს არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების, დაავადებათა ინსიდენტების და სიკვდილობის მიზეზთა სტანდარტიზებულ შეგროვებას.

სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რისკ-ფაქტორებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების სრულფასოვან კონტროლს. ქცევათა ეფექტური კონტროლისათვის ჯანმო-ს მიერ რეკომენდებულია „სინდი - ჯანმრთელობის მონიტორინგის სისტემა“. ამ სისტემის საფეხურებრივი დანერგვა სადემონტრაციო არეში საქართველოში 2001 წლიდან მიმდინარეობს და 2006-2007 წლებში წარმატებით განხორციელდა მთელი სისრულით საქართველოს მთავრობისა და ჯანმო-ევრო-ს შორის ხელშეკრულების ფარგლებში.

<sup>52</sup> [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

<sup>53</sup> [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

<sup>54</sup> [www.moh.gov.ge/ge\\_pdf/mohseneba/NR2005.pdf](http://www.moh.gov.ge/ge_pdf/mohseneba/NR2005.pdf)

<sup>55</sup> [www.moh.gov.ge/page.php?117](http://www.moh.gov.ge/page.php?117)

## მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებების საერთო რაოდენობიდან 1 130 დაწესებულება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო 5 სხვა უწყებების დაქვემდებარებაშია.

2007 წელს, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მუშაობდა 19 951 ექიმი. ექიმთა საერთო რაოდენობის 68.6% ქალია.

საქართველოში ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 1999 წლიდან სტაბილურია და 2007 წელს შეადგენს 454.6 ექიმს 100 000 მოსახლეზე. ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია ქ. თბილისში (880.4), დაბალია ქვემო ქართლის (232.5) და სამცხე-ჯავახეთის (203.4) რეგიონებში.

2007 წელს საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებელია 440.1. ერთ ექიმზე მოდის 1 საშუალო სამედიცინო პერსონალი (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია შეფარდებაა 1:4). უმცროსი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებელია 129.2.

წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით 2007 წლის ბოლოსთვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში კონტრაქტი გაფორმებული იყო 20 273.5 ექიმის თანამდებობაზე, მათ შორის პოლიკლინიკურ-ამბულატორულ დაწესებულებებში 10 199 ექიმის თანამდებობაზე.

2007 წელს 100 000 სულ მოსახლეზე საწოლთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი 331.9-ს შეადგენს. სტაციონარებში კონტრაქტი გაფორმებული იყო 10 074.5 ექიმის და 11 143 საშუალო სამედიცინო პერსონალის თანამდებობაზე.

ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა რაოდენობა 2007 წელს 2006 წელთან შედარებით 3.8%-ით გაიზარდა. 100 000 სულ მოსახლეზე ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელია 6 570.8. პაციენტთა მიერ გატარებული საწოლდღების რაოდენობამ მოიმატა 2.8%-ით და შეადგინა 2 122 331 საწოლდღე.

საწოლთა საშუალო დატვირთვამ მოიმატა და შეადგენდა 146.3 დღეს. საწოლზე დაყოვნების მაჩვენებელია 7.2 დღე. ბრუნვის მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით მოიმატა 17.1-დან 20.1-მდე.

610 დამოუკიდებელი ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებიდან 250 დამოუკიდებელი პოლიკლინიკაა (მათ შორის 80 სტომატოლოგიურია), 39 სამკურნალო ცენტრი, 18 ქალთა კონსულტაცია, 69 დისპანსერი, 213 დამოუკიდებელი ამბულატორია და 21 კაბინეტი. ამბულატორულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებებში ფუნქციონირებს 483 შემავალი ამბულატორია და 301 შემავალი საფერშლო-საბებიო პუნქტი.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ საუბრისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს ჰოსპიტალურ სექტორში პრივატიზაციის პროცესის შემდგომი მდგომარეობა.

არასამთავრობო ორგანიზაცია – საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ განხორციელებულ ჰოსპიტალური სექტორის მონიტორინგისას (ევრაზის თანამშრომლობის

ფონდის მხარდაჭერით), გამოკითხულ სამედიცინო პერსონალის ერთ-ერთ პრობლემად პრივატიზაციის შემდგომ სავარაუდო ფასების ზრდა აწუხებს.<sup>56</sup>

გამოკითხულთა 90%-მა განსხვავებული შეხედულებები გამოთქვა ამ ფაქტორის თავიდან ასაცილებლად (სოციალურად დაუცველ ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების გაზრდით ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის პასუხისმგებლობა, საავადმყოფოთა მმართველი ჯგუფების ვალდებულება და ა.შ.).

შსოფლიოში სამედიცინო მომსახურების გაწევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად სამედიცინო სექტორის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობაა მიჩნეული. ზოგადად, ჯანდაცვის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მეტად რეგულირებადი სექტორია ყველა ქვეყანაში, იგულისხმება სამედიცინო ხარისხის დაცვის მექანიზმები. ამ ეტაპზე, საავადმყოფოების პრივატიზაციის პროგრამა არ შეიცავს არავითარ დებულებას ახალი/განახლებული დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგის თაობაზე.

რესპონდენტების აზრით, ინგვსტირება მოგების გაზრდის მიზნით აქცენტს უურო მომგებიან სამედიცინო მომსახურებებზე გააძინვილებენ, რაც საფრთხის წინაშე დააყენებს ქრონიკული დაავადებების მართვაზე ორიენტირებულ სერვისებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი ხორციელდება სალიცენზიო და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მიზნით, ხოლო სხვა დაწესებულებაზე, რომელთა საქმიანობა არ რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, აღნიშნული კონტროლის განხორციელება მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო და სალიცენზიო პირობების მიხედვით კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და არა თავად სამედიცინო მომსახურების პროცესი, შესაბამისად არ არის დადგენილი სამედიცინო მომსახურების შესაფასებელი ინდიკატორები და კრიტერიუმები, რაც გამორიცხავს ხარისხის შესახებ მონაცემთა საინფორმაციო ბაზის არსებობას და ზოგადი სიტუაციის გამაუმჯობესებელი ერთიანი ღონისძიების დაგეგმვას. ყოველივე ამას განვითარებულ ქვეყნებში სამედიცინო აკრედიტაციის პროცესი უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას ხარისხის რუტინული მონიტორინგის ერთიანი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა სისტემაში არსებული ძირითადი ნაკლოვნებების გამოვლენას, შეფასება-ანალიზსა და ამასთან, საფუძვლად დაედებოდა სხვადასხვა ღონისძიების შემუშავებასა და განხორციელებას.

<sup>56</sup> ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის მონიტორინგული პროექტის ანალიზი

## ნაწილი 6: პირველადი ჯანდაცვა საქართველოში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2006 წელს დაიწყო საოჯახო მედიცინაზე ორიენტირებულ პჯდ სისტემის დანერგვა ევროკავშირის (EU), გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (DFID), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით. ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს მთავრობის პროგრამას ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის შესახებ.

რეფორმის აუცილებლობა პირველ რიგში განპირობებული იყო საბჭოთა ანუ სემაშკოს მოდელზე დამყარებული, სტაციონარულ მკურნალობაზე ორიენტირებული ძვირადლირებული ჯანდაცვის სისტემის ხარჯების შემცირების საჭიროებით, ასევე პირველადი ჯანდაცვის ქსელის გაძლევებისა და სამედიცინო მომსახურებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის მოთხოვნილებებით (დარიბი მოსახლეობისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და თანასწორობა).

დარიბი მოსახლეობის ჯანდაცვის სამსახურის ხელმიუწვდომლობა სტრუქტურული ცხოვრების ცუდ პირობებთან, დაბალკალორიულ კვებასა და სხვა სოციალურ ინდიკატორებთან ერთად განსაზღვრავს მის მაღალ რისკს, როგორც ინფექციური პათოლოგიათა, ასევე ქრონიკული დაავადებების განვითარების მხრივ (კარდიო-ვასკულური, რესპირატორული, ონკოლოგიური და ა.შ.).

რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი უნდა ყოფილიყო სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება სისტემის აკრედიტაციის საშუალებით, პროფესიული ასოციაციების ორლის გაძლიერებითა და მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის დანერგვით.

რეფორმების საჭიროებათა შეფასება უნდა მოხდეს ასევე უახლესი წარსულის მიმოხილვის ფონზე, როდესაც პოსტ-საბჭოთა პერიოდში განვითარებულმა კრიზისმა საქართველოში გამოიწვია სამოქალაქო ომი და უმძიმესი ეკონომიკური პრობლემები, რასაც მოჰყვა 1992-1996 წლებში საერთო ეროვნული პროდუქტის 78%-მდე შემცირება 1990 წელთან შედარებით.<sup>57</sup> ორივე ამ ფაქტორმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სისტემაზე და მის ინფრასტრუქტურაზე.<sup>58</sup>

სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე შემცირდა 13 აშშ დოლარიდან (1990 წ.) 0.81 აშშ დოლარიმდე (1994 წ.), რამაც სრული განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა სახელმწიფო სისტემა (2002 წ.). შესაბამისად, ჯანდაცვაზე საერთო დანახარჯების 70-85% მოდიდა პაციენტებზე, რომლებიც თავად იხდიდნენ მომსახურების საფასურს არაფორმალური გადასახადების სახით. არაფორმალური გადახდების მაღალი მაჩვენებლის გამო პჯდ კონსულტაციების რაოდენობა 1990 წ. 7-8 ვიზიტიდან შემცირდა 1.3 ვიზიტამდე 1997 წელს და 1.8 ვიზიტამდე 2005 წელს. უმნიშვნელო სამედიცინო პრობლემების შემთხვევაში პაციენტები თავს არიდებდნენ პჯდ რგოლის მომსახურებას და მიმართავდნენ თვითმკურნალობას აფთიაქებში, თავისუფალ გაყიდვაში მყოფი მედიკომენტებით, ან სერიოზული სამედიცინო პრობლემის შემთხვევაში მიმართავდნენ უშუალოდ საავადმყოფოს, რადგან ის აღიქმებოდა როგორც საუკეთესო მომსახურების მიმწოდებელი ფულის გადახდის საფასურად.<sup>59</sup> არსებული მდგომარეობის მიმოხილვა წარმოდგენილია ცხრილ 33-ში. (იხილეთ დანართი 1)

<sup>57</sup> კოცაძე და ა.შ. 2005

<sup>58</sup> ქ. პელინი, სასარგებლო ინფორმაცია საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის შესახებ. 2006 წ.

<sup>59</sup> კოცაძე და ა.შ. 2005 წ.

პოსტსაბჭოთა კრიზისმა ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. გაუარესდა ეპიდემიოლოგიური სიტუაცია არაგადამდები დაავადების მხრივაც: მთლიანად საქართველოში გსს დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის შემთხვევებმა შეადგინა 70.1%, ხოლო მეორე ადგილი დაიკავა ავოვისებიანმა სიმსივნეებმა 11% (2001 წ.). ნეიროფსიქიატრიული მდგომარეობებით გამოწვეულმა ტკირთმა იძულებით გადაადგილებულ პირებში შეადგინა შესაძლებლობათა შეზღუდვის საერთო შემთხვევების 19%.<sup>60</sup>

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ძირითადი მახსასიათებლები მსგავსია აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებისა.<sup>61</sup>

- კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა უფლება უფასო ჯანდაცვაზე; სახელმწიფო დაფინანსება შემოიფარგლა მხოლოდ საბაზისო პაკეტში შეტანილი მომსახურების დაფინანსებით, რომელიც შედგება რამდენიმე ვერტიკალური პროგრამისაგან (მაგ., ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა).
- შემოღებულ იქნა დაფინანსების სისტემა, რომელიც ეფუძნება სამ წყაროს:
  - ა) სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლები, რომელსაც განკარგავს სოციალური დაზღვევის ერთანი სახელმწიფო ფონდი (სდესეფ) ან შჯდსდს-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი (სჯდ)
  - ბ) კერძო შენატანები, რომელიც გულისხმობს ოფიციალურ გადახდებს ან საბაზისო პაკეტში შეტანილი ზოგიერთი მომსახურების ოფიციალურ თანაგადაზღებს და მომსახურების გადახდების საბაზისო პაკეტი ფარგლებს გარეთ გაწეულ მომსახურებისთვის და
  - გ) ადგილობრივი გადასახადები, რომელთა აკუმულირება და განკარგვა ხდება ჯანდაცვის მუნიციპალური/რაიონული (ან ავტონომიური რესპუბლიკის) ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

პჯდ დაფინანსების საფუძვლები განისაზღვრება ყოველწლიურად ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაში. მაგალითად, საოჯახო მედიცინის ახალი პროგრამის ბიუჯეტი, 2006 წლის 1 ივნისიდან 2006 წლის 1 ღეკებრამდე შეადგენდა 1 040 000 ლარს. საოჯახო მედიცინის პროგრამაზე გამოყოფილი თანხა წარმოადგენს ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის საერთო ბიუჯეტის ნაწილს, რომელიც 2006 წელს შეადგენდა 21 640 000 ლარს. ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 2007 წლისთვის გაზრდილია 22 200 000 ლარამდე.

თუ მსედველობაში მივიღებთ სპეციალისტების მიერ გაწეულ მომსახურებას, მაშინ ეს ციფრი გაიზრდება 28 150 000 ლარამდე, აქედან საოჯახო მედიცინის ახალი პროგრამების წილი შეადგენს 4 500 000 ლარს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საოჯახო მედიცინის ხუთ ძირითად მახსასიათებელს ან უუნქციას წარმოადგენს: ყოვლისმომცველი სამედიცინო დახმარება, სამედიცინო მომსახურების პირველი კონტაქტის ადგილი, კონტექსტზე ორიენტირებული მომსახურება, უწყვეტი და კოორდინირებული მომსახურება.

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, შჯდსდს-მ მიიღო გადაწყვეტილება ყველა სამედიცინო დაწესებულების ნებაყოფლობით აკრედიტაციის სისტემის შემოღებისა და კლინიკური გაიდლანების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობის შესახებ.

აკრედიტაცია და დამტკიცებული კლინიკური გაიდლანების დაცვა სავალდებულო იქნება სერვისების ყველა იმ მომწოდებლისათვის, ვინც მომავალში სახელმწიფო შემსყიდვებლთან (მომავალში სდესეფ) განაცხადს წარადგენს კონტრაქტის მიღებაზე.

<sup>60</sup> ჯანმო, 2006 წ.

<sup>61</sup> პრეკერი და ა.შ. 2002 წ.

მონაცემთა შეგროვებისა და პროგრამის მიზნების მიღწევის გზაზე არსებული პროგრესის და ზოგადად ჯანმრთელობის სასურველი ცვლილებების განსაზღვრის მიზნით რეფორმის მიმდინარეობისას მონიტორინგული და შეფასებითი კვლევების განხორციელება რუტინული პროცესია. საქართველოს მთავრობა მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, რომელიც ჯანდაცვის სფეროს შემდგომ გარდაქმნას ისახავს მიზნად. რეფორმა მთელს ქვეყანაში მიმდინარეობს, თუმცა რამდენიმე რეგიონში, რომლებზეც საერთაშორისო დონორების დამატებით მხარდაჭერა ნაწილდება, ის უფრო ფორსირებულად ხორციელდება. ეს დე-ფაქტო „პილოტური“ რეგიონებია: იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი, კახეთი და ქვემო ქართლი.

როგორც ეროვნულ, ისე ამ რეგიონების დონეზე მიმდინარე რეფორმის შედეგებზე დაკვირვებისთვის აუცილებელია სათანადო ინფორმაციის ფლობა.<sup>62</sup>

ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი<sup>63</sup> აგებულია პჯდ შემდეგი უწყებისა და მახასიათებლების საფუძველზე: პირველადი გასინჯვა, მომსახურების უწყებობა, პაციენტისა და პრაქტიკის მართვა/კოორდინაცია, მომსახურების ყოვლისმომცველობა, ხელმისაწვდომობა.

„პირველადი გასინჯვის პუნქტის“ განხორციელებისათვის ძირითადი გახლავთ სამოქმედო უბნის მოსახლეობის რეგისტრაცია, რომელიც ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა. აქტიური გამოვლენის კომპონენტის გასაქტივებლად აუცილებელია ამ კომპონენტის გაძლიერება. აღწერის პროცესი, გამოყითხულთა აზრით, 1-3 წელში უნდა დამთავრდეს.

„მომსახურების უწყებობა“ – უწყებობა დროში, მომსახურება დასვენების დღეებსა და ბინაზე დინამიკაში პოზიტიური მაჩვენებელია. რაც შეეხება ინფორმაციის უწყებობას, სამედიცინო ჩანაწერების რეტინულ წარმოებას (არაგადამდები დავადგებების დროს რისკ-ფაქტორთა დაფიქსირება, მათი მონიტორინგი, ასევე პაციენტის როგორც მედიკამენტურ, ასევე არამედიკამენტურ მკურნალობაზე დამყოლობის მეთვალყურეობა და ა.შ.), აქ სერიოზული პრობლემებია. მიზნებში აქცენტირებულია ახალი ფორმის სამედიცინო რუქების სიმცირე და ზოგადად „ქაღალდის“ სამუშაოსთან ოჯახის ექიმის დამოკიდებულება.

კოორდინაცია გულისხმობს პაციენტის მართვას ანუ ექიმის აქტივობას (მუშაობის ინდიკატორი) და კავშირს პირველ და მეორე დონეთა შორის. კრიტიკულად დაბალი იყო რეფერალების რაოდენობა (5-6%). ყველაზე ხშირად ინიშნებოდა კარდიოლოგის, ნევროლოგის და ქირურგის კონსულტაცია (ასოცირებულია დამატებითი ტრენინგების სურვილთან აღნიშნულ სფეროებში). ყველაზე ხშირად დანიშნული ლაბორატორიული ტესტები – სისხლის და შარდის საერთო ანალიზი - 30-35%, გლუკოზის განსაზღვრა სისხლში - 15%, აღნიშნა კრიტიკულად დაბალი საჭიროება ქოლესტეროლის ტესტისა (0.4%), რაც ადასტურებს სასკრინინგო აქტივობისა და ზოგადად პრევენციული სტრატეგიის დეფიციტს. პაციენტის მართვის ფუნქციის მეორე ნაწილი ეხებოდა კავშირის ხარვეზს პირველ და მეორე დონეს შორის. აღნიშნა პრობლემები: „ოჯახის ექიმისა და სპეციალისტს შორის კომუნიკაციის დეფიციტი“, „სპეციალისტები არ გვაწვდიან თავიანთ დიაგნოზებს“, „პაციენტები აღარ მოდიან უკან სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ“. ექიმის ჩართვა ადმინისტრაციულ და დაწესებულების მართვის საკითხებში, ზოგადად გადაწყვეტილებათა მიღებაში ამ ეტაპზე, ანუ 2006 წლის ბოლოს არ ხდებოდა.

<sup>62</sup> სამედიცინო სერვისებით სარგებლობისა და ჯანდაცვის დანახარჯების კვლევა, 2007 წ.

<sup>63</sup> პჯდ დანერგვის მონიტორინგი. გადამზადებული ოჯახის ექიმთა შეხედულებანი და საქართველოში პჯდ რეფორმის დღვეანდელი მდგომარეობა (Status Quo). ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი. 2006 წ. დეკემბერი. მარტინა პელნი GVG ექსპერტი

მომსახურების ყოვლისმომცველობა - ექიმის მიერ მოწოდებული მომსახურების სპექტრში ჩვენი აზრით, არაგადამდები დაავადებების (პირველ რიგში ჰიპერტენზის, შაქრიანი დიაბეტის და ა.შ. დროს) სფეროში ექიმთა გამოკითხვისას, მათი ღვაწლი რამდენადმე გადაფასებულია ვინაიდან აღინიშნება ქრონიკული დაავადებების მართვის ალგორითმში სასკრინინგო აქტივობების ფაქტობრივად არასებობა. ავტორთა რეკომენდაციით მომსახურების ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უფასო ლაბორატორიული გაძოკვლევების გამრავალფეროვნებას.

**მკურნალობის ხელმისაწვდომობა:**

- მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა შეისწავლებოდა 2007 წ. დაგეგმილ შინამეურნეობათა გამოკვლევისას
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პაციენტთა უმრავლესობა ფეხით დადის, საშუალო დრო პჯდ-მდე მისაღწევად 120-150 წთ-ია, ვინაიდან არ არის პირდაპირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ცუდი გზაა და სხვ.

აღნიშნული დროის ხანგრძლივობები, შესაძლებელია ექიმების მიერ რამდენადმე გაზვიადებული იყოს, მაგრამ პირდაპირი საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეფიციტის საკითხი მოსაწესრიგებელია (92% ექიმებისა ამას ადასტურებს).

#### **პროექტის ძირითადი რეკომენდაციები შეეხო:**

- რეგულარული სამედიცინო ჩანაწერების გაუმჯობესებას
- სარეგისტრაციო სისტემების დანერგვასა და ოჯახის ექიმის წამყვან როლს პაციენტის მართვაში
- მკურნალობის ხელმისაწვდომობის მხრივ ექიმებისთვის მიღწევადი და რეალისტური სტანდარტების შემუშავებას
- და ბოლოს, ახლად გადამზადებული ოჯახის ექიმები ქმნიან პჯდ რეფორმის წარმატების საფუძველს, უნდა შევინარჩუნოთ მიღწეული და გაუმჯობესებული ადაპტირებისთვის მოელი ქვეყნის მასშტაბით გამოვიყენოთ ექიმების, პროფესიული ასოციაციების, ამ ტიპის კვლევების შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

**სამედიცინო დახმარებით სარგებლობისა და ჯანდაცვის დანახარჯების კვლევა საქართველოში<sup>64</sup>**  
- შინამეურნეობათა გამოკითხვისას ყურადღება გამახვილდა დაავადებათა გავრცელებაზე, სამედიცინო დახმარებით სარგებლობის ინდიკატორებზე, მიღებული სერვისებით კრიუოფილების ხარისხზე, სერვისების ხელმისაწვდომაზე, სამედიცინო დაზღვევით მოცვის მაჩვენებლებზე, სამედიცინო დანახარჯებზე.

ქრონიკული დაავადება აღმოაჩნდა გამოკითხულთა 37%-ს (ეს გახლავთ თვითშეფასებით გამოვლენილი დაავადებები, რომელიც შესაძლოა იყოს ექიმის მიერ დადასტურებული, შესაძლოა - არა), თითქმის 1/3-ს აქვს ჰიპერტენზია, 16%-ში აღინიშნა დაავადებათა მწვავე ეპიზოდი, მათ შორის ნახევარზე მეტი რესპირატორული და გსს დაავადებია.

დაავადების მწვავე ეპიზოდი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში 42%-ში რესპირატორული დაავადებებია, 16%-ში ტკივილი გულის არეში, ჰიპერტონიული კრიზი. ქრონიკული დაავადებები სჭარბობს მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ( $60+წ$ ) - 70.2%. აღნიშნული სტანდარტული კვლევით კიდევ ერთხელ დადასტურდა ავადობის ზოგად სტრუქტურაში არაგადამდებ დაავადებათა პრიორიტეტი.

<sup>64</sup> სდსკად კვლევა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2007  
<http://www.curatiofoundation.org/curatio/index.jsp?id=32&act=39>


გამოკითხვის წინა 6 თვის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების მომწოდებულთან კონსულტაცია გაიარა რესპონდენტთა 59%-მა, მათ შორის ნახევარმა პჯდ-თვის მიკუთვნებულ მომწოდებულთან. საწყისი სამედიცინო კონსულტაციების 40% აღინიშნა ექიმ სპეციალისტთან, ძირითადად საავადმყოფოში, თვითდინებით. წინა მონიტორულ კვლევაში გამოკვეთილი პირველადი გასინჯვის ფუნქციის დეფიციტი პჯდ-ს მხრივ აქაც გამოიკვეთა. ჯანდაცვის სექტორის რეფორმის საკვანძო მიზანი კი ზუსტად ამ დონეზე სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელთა ზრდა და საავადმყოფოებში პაციენტთა თვითდინებით მიმართვიანობის შემცირებაა.

ქვეყნის მოსახლეობაში ამბულატორიული კონსულტაციების წლიური რაოდენობა 1 000 მოსახლეზე 175-ს უტოლდება. 2006 წ. ივნისიდან 2007 წ. ივნისამდე პერიოდში საქართველოს შინამეურნეობებმა სამედიცინო მიზნებით დაახლოებით 822.7 მლნ ლარი (ანუ 462.2 მლნ აშშ დოლარი კურსით 1.78) დახარჯეს. ეს თანხები მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ია (2006 წელს ნომინალური მშპ 13 784 მლნ ლარია; 1 სულ მოსახლეზე 216 ლარი - \$121). 34% მოდის საავადმყოფოებზე, 17% - ამბულატორიულ დაწესებულებებზე, 49% -აფთიაქებზე.

ამ შემთხვევაშიც, ამბულატორიული მომსახურება ყველაზე ნაკლებადაა გამოყენებული. იმ ძირითად პირებს შორის, რომელთანაც რესპონდენტებმა გაიარეს კონსულტაცია (მხოლოდ საწყისი მკურნალობის ადგილი) 68.5% ექიმი-სპეციალისტია (მ.შ. საავადმყოფოებში), ოჯახის ექიმი 18.4%-ში, 0.9% - ექთანი და 4.7% - ფარმაცევტი და ა.შ. ამ ფონზე ევროკავშირის მონიტორინგულ პროექტში ექიმთა მიერ მითითებულ 350 ბინაზე ვიზიტი და 170 მიმართვა ამბულატორიაში ყოველთვიურად, ჩვენი აზრით, გადამეტებულია.

#### სურათი 43

**ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ მოსახლეზე, საქართველო, 2005-2007**



საქართველოს მთავრობის „ვერტიკალური“ უმწეოთა პროგრამის ფარგლებში, ექიმი ვალდებულია შეასრულოს 3 აუცილებელი ვიზიტი უმწეობის პოლისის მქონე მოსახლეობასთან 6 თვის განმავლობაში. თუ ექიმი საშუალოდ 2 000 პაციენტს ემსახურება, მათგან საშუალოდ 30%-ს ესაჭიროება 3 აუცილებელი ვიზიტი. აქედან დასკვნა: არარეალური მოთხოვნები იძლევანა არარეალურ ციფრებს, რაც ნიშნავს, რომ სტანდარტები გადასახედია. ასევე აუცილებლად დასაფიქრებელია ექიმების მიერ აღნიშნული აქტივობები ჯანმრთელობის ხელშეწყობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამებში, რაც დაზუსტებას მოითხოვს. ექიმები აღნიშნავნ, რომ აქტივურად მონაწილეობენ ჯანდაცვის ხელშეწყობისა და ჯანსაღი

ცხოვრების წესის (დიეტა, თამბაქო, ალკოჰოლი) პროგრამებში (გ. პელნი, 2006 წ.).<sup>65</sup> საინტერესოა, რა პროგრამებს გულისხმობენ ისინი.

1 სულ მოსახლეზე სამედიცინო კონსულტაციის საშუალო წლიური რაოდენობაა 2.0.

### მიღებული მომსახურებით კმაყოფილება –

- რესპონდენტთა 2/3 გამოხატავს ნდობას იმ სამედიცინო დაწესებულების მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ მიმართავს დახმარებისათვის.
- 91%-ში ექიმთან კონსულტაცია გრძელდებოდა 12 წუთზე მეტი დროის განმავლობაში.
- 81%-ში ექიმმა/ექთამა სრულყოფილად აუხსნა მათ მკურნალობის დანიშვნის საფუძველი და დეტალები.

### ხელმისაწვდომობა

- გამოკითხულთა უმეტესობა სამედიცინო დაწესებულებაში 30 წუთში ხვდება.
- 84%-მა შეიძინა დანიშნული წამალი, 14%-მა ვერ შეიძინა სიძვირის გამო.
- დანიშნული ლაბორატორიული ტესტების 4.2% ვერ გაკეთდა სიძვირის გამო.<sup>66</sup>

სამედიცინო დაზღვევით (კერძო ან კორპორატიული) მოცულია მოსახლეობის 1.5%-ზე ნაკლები. მათგან უდიდესი ნაწილი მოდის „სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებულ შეღავათებზე.

ქრონიკული დაავადებების გავრცელების მაჩვენებელთა ამ ორ წყაროს შორის შედარება გვაფიქრებინებს, რომ 2001 წ. შინამეურნეობათა კომპლექსური გამოკითხვების დროს ადგილი ჰქონდა მათ არასრულ რეგისტრაციას. ამ მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის მაჩვენებლები ამ ორ კვლევაში მსგავსია და მათი შედარება მიანიშნებს, რომ სამედიცინო დახმარებით სარგებლობის შესამჩნევი ზრდის დიდი ნაწილი მოსახლეობის უდარიბესი ფენის სასიკეთოდ აღინიშნა. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ სამედიცინო დახმარებისთვის არმიმართვის მიზეზებს შორის, შესაბამისი სახსრების არქონას ასახელებს შედარებით უფრო ნაკლები რესპონდენტი, შემოსავლების დონის მიხედვით ამა თუ იმ კატეგორიისადმი კუთვნილების მიუხედავად.

სამედიცინო სერვისებზე უარის თქმის მიზეზებია: მკურნალობა არ არსებობს, დაავადება არაა საკმაოდ სერიოზული, მკურნალობა არ ესაჭიროება ამ მომენტში.

2000 წლიდან საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელ საზოგადოების მიერ ტარდება ფარმაკოეპიდემიოლოგიური კვლევები ქართულ პოულაციაში არტერიული ჰიპერტენზიის მართვის დეფექტების გამოსავლენად. კვლევის დიზაინი ითვალისწინებს როგორც ექიმების, ასევე პაციენტების გამოკითხვას. არტერიული ჰიპერტენზიის ხანგრძლივი მკურნალობის პროცესში მირითად ბარიერად ექიმთა უმრავლესობას მიაჩნია პაციენტის ფინანსური პრობლემები, პაციენტებს კი 62%-ში აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება ხანგრძლივი მკურნალობის მიმართ. მკურნალობაში წყვეტილობისა და პრეპარატის შეცვლის უხშირეს მიზეზად სახელდება დანიშნული მკურნალობის დაბალი თერაპიული ეფექტურობა, თვითგრძნობის კომფორტული სტატუსი, შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომატიკა („მე მაქვს უფრო სერიოზული პრობლემა, ვიდრე მაღალი წნევა“), ფინანსური პრობლემები და ა.შ. აქედან გამომდინარე ოპერატიული ინტერვენციის მირითადი სფერო უნდა იყოს პაციენტის გათვითცნობიერება (მკურნალობის აუცილებლობის, თვითმკურნალობის, მკურნალობაში წყვეტილობის რისკების და ა.შ. შესახებ)

<sup>65</sup> მარტინა პელნი. 2006 წ.

<sup>66</sup> სდსჯდ კვლევა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2007

<http://www.curatiofoundation.org/curatio/index.jsp?id=32&act=39>

და ექიმსა და პაციენტს შორის კომუნიკაციის ამაღლება. ექიმისადმი ნდობა და აქედან გამომდინარე მოტივაცია ხანგრძლივი მკურნალობის მიმართ იქმნება ექიმის ქცევის გარევეული მოდელით – საკმარისი კომპეტენცია, პაციენტის პრობლემის ჩაწვდომა, ადექტატური ანსაგანმარტების უნარი, პუნქტუალობა და ა.შ.

### **სამედიცინო დანახარჯები**

წლიური სამედიცინო დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე 216.2 ლარი (129 აშშ დოლ.). შინამეურნეობათა სამედიცინო დანახარჯების თითქმის ნახევარი (49%) მოდის საცალო აფთიაქებში შეძენილ წამლებსა და სამედიცინო დანიშნულების საქონელზე, 34% – სტაციონარებზე და ყველაზე ნაკლები – 17% ამბულატორიულ დაწესებულებაზე.

ამბულატორიული მკურნალობის ერთი ეპიზოდის საერთო ხარჯები მომსახურების გაწევის ადგილის მიხედვით 1 სულ მოსახლეზე (იგულისხმება დაწესებულებებში გადახდილი თანხა + ნებისმიერ ადგილას შეძენილი წამლების თანხა) შემდეგია:

ბინაზე ვიზიტი	7.0 ლ
სოფლის ამბულატორია	4.9 ლ
პოლიკლინიკა	21.7 ლ
ქალთა კონსულტაცია	3.0 ლ
საგადმყოფოს ამბულატორიული განყოფილებები	45.0 ლ

ამბულატორიული მკურნალობის ღირებულება მომსახურების გაწევის ადგილის მიხედვით: (არ შედის წამლები – დაწესებულების გარეთ) 1 სულ მოსახლეზე (დაწესებულებაში გადახდილი თანხა + იქ ნაყიდი წამალი) შემდეგია:

ბინაზე ვიზიტი	1.8 ლ
სოფლის ამბულატორია	0.8 ლ
პოლიკლინიკა	9.0 ლ
ქალთა კონსულტაცია	1.6 ლ
საგადმყოფოს ამბულატორიული განყოფილებები	26.1 ლ

ამბულატორიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით, წამლებზე დახარჯული სახსრები 1 სულ მოსახლეზე წლიური გადაანგარიშებებით შემდეგია:

სულ	47.7 ლ
ქალაქად	52.2 ლ
სოფლად	43.3 ლ
თბილისი	555.5 ლ
აღმოსავლეთ საქართველო	37.5 ლ
დასავლეთ საქართველო	51.4 ლ
უდარიბესი 20%	36.9 ლ
უმდიდრესი 20%	70.3 ლ

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სახ. პროგრამის ბენეფიციარობის მიხედვით:

ბენეფიციარები 70 000-მდე ქულა	47.9 ლ
არა ბენეფიციარები 70 000-ზე მეტი ქულა	48.6 ლ
ან ქულის არმქონე ოჯახები	

**ქრონიკული პათოლოგიების ამბულატორიულ მკურნალობასა და თვითმკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები**

ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები და მკურნალობასთან დაკავშირებული პერიოდული ხარჯები (ეს დაავადებები არ გამწვავებულა გამოკვლევამდე 30 დღის განმავლობაში)

ქრონიკული პაციენტების მკურნალობისთვის საჭირო საშ. თვიური თანხა (ლარებში)

ხარჯი მედიკამენტებზე	18.5 ლ
ხარჯი სამედიცინო დანიშნულების ნივთებზე	4.7 ლ
ხარჯი ბაღაზეულ და ჰომეოპათიურ საშუალებებზე	10.5 ლ
ხარჯი სამედიცინო კონსულტაციებზე	7.7 ლ
ხარჯი მოვლასა და ფიზიოთერაპიაზე	50.6 ლ

### **თვითმკურნალობაზე გაწეული ხარჯები**

თითოეულ შემთხვევაზე 1 წ. გადაანგარიშებით საშუალო დანახარჯი 1 სულ მოსახლეზე:

მედიკამენტები	12.6 ლ
სამედიცინო დანიშნულების ნივთები	12.6 ლ
დიაგნოსტიკურ გამოკვლევებზე	16.4 ლ

### **სად მიღიან პაციენტები, რომლებიც პჯდ დაწესებულებას ვერ აღწევენ:**

აჭარა – 20%-არსად, სასწრაფო დახმარების სერვისებით სარგებლობენ

55% პასუხი არ მაქვს

იმერეთი – 80% პასუხი არ მაქვს

5% არსად, სასწრაფო დახმარების სერვისებით სარგებლობენ

კახეთი – 12% არსად, სასწრაფო დახმარების სერვისებით სარგებლობენ

15% პასუხი არ მაქვს.<sup>67</sup>

ექიმთა აზრით საინტერესო ინფორმაციაა, რომ პჯდ-ს ერთადერთი სხვა ალტერნატივა სასწრაფო დახმარების სამსახურია. უფასო სასწრაფო დახმარების პირობებში, ზშირად მისი სერვისი არა ურგენტული დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ევროკავშირის მონიტორინგულ კვლევაში აღნიშნულია „კარიბჭის მცველის“ ფუნქციის არსი – შხოლლდ ის პაციენტები მიიღებენ უფასო სამედიცინო მომსახურებას – რომლებიც დარეგისტრირებული იქნებიან ოჯახის ექიმთან სახელმწიფო ამბულატორიული პროგრამით.

„პირველადი გასინჯვის“ სისტემის ფუნქციონერებისთვის მოსახლეობის რეგისტრაცია ექიმთან ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა. (2006 წლის ბოლოს)

პაციენტის მართვის ინდიკატორი – ყოველთვიური უტილიზაციის მაჩვენებელი, ანუ პაციენტთა რაოდენობა, რომელიც მიმართავს დაწესებულებას. საშუალო მაჩვენებელი 9.31 პაციენტი დღეში, რომელიც საქმაოდ აღემატება საქართველოსთვის ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 1.6 პაციენტი დღეში,<sup>68</sup> თუმცა კიდევ ჩამორჩება დასავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელს 30 პაციენტი დღეში.<sup>69</sup>

მირითადი ინფორმაციული ორგანიზაციის – შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ჩაღრმავებული ინტერვიურებით დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:

<sup>67</sup> მ. პელნი, სასარგებლო ინფორმაცია საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის შესახებ. 2006 წ.

<sup>68</sup> ჯანდაცვის სამინისტრო, 2006 წ.

<sup>69</sup> Saltman და სხვ. .2006

ქართულ პოპულაციაში არაგადამდებ დაავადებათა მართვის ძირითადი ხარვეზი, ამ დაავადებათა მართვის პროცესიდან ჯანდაცვის პირველადი რგოლის ამოვარდნაა. ქრონიკული დაავადებათა მართვის ძირითადი სტრატეგიას აღენეს მუზრნალი ექიმი სპეციალისტი, ხოლო დაავადების შემდგომი მართვა და პაციენტის მონიტორინგი პირველადი რგოლის პირდაპირი ფუნქციაა. თუმცა პაციენტები ამ მიზნით ჯანდაცვის პირველად რგოლს ნაკლებად მიმართავნ, ხშირ შემთხვევაში უნდობლობისა და ფინანსური მექანიზმების სიმცირის გამო. ჯიბიდან გადახდის პროცენტული წილი ჯანდაცვაზე ძალიან მაღალია (75%).<sup>70</sup> პაციენტი ზოგავს თავის თანხებს ამ სახით. ასევე მნიშვნელოვანია არაგადამდებ დაავადებათა თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის სიმწირე და სიძვირე, პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო სისტემის მოშლა.

რეაბილიტირებული პირველადი ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო პირველადი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია დაფინანსდეს ის სერვისები, რომელიც ითვალისწინებს ქრონიკული დაავადებების (კარდიო-ვასკულური დაავადებები, შაქრიანი დაბეტი, ბრონქული ასთმა და სხვა რესპირატორული დაავადებები, ონკოლოგიური დაავადებები) მეთვალყურეობა-ზედამხედველობას, ამ დაავადებებით გამოწვეული ავადობის ტკირთის შესაბამისად.

უფასო სერვისები ორიენტირებული უნდა იყოს დაავადებათა პრევენციაზე, სკრინინგსა და დაავადებათა მონიტორირებაზე.

არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის პოლიტიკა უნდა ეფრდნობოდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგიებსა და მტკიცებულებებს ჯანდაცვის სისტემის ერთიანი პოლიტიკის ჭრილში.

არაგადამდებ დაავადებებზე მოდის ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები დაახლოებით 40-45% (ზუსტი აღრიცხვა არ წარმოებს).

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში პაციენტთა მომართვიანობის განმსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ეკონომიკური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ფინანსური ხელმისაწვდომობა ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მიღწეულ იქნას პირველადი ჯანდაცვის სერვისების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებით ან/და სხვადასხვა სადაზღვევო სქემებით (მ.შ. სათემო დაზღვევა), მოსახლეობის საყოველთაო მოცვით. ერთ-ერთი განმსაზღვრული ფაქტორი სამედიცინო კადრების განათლებაა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში მაღალი კონკურენციის ფონზე, ასევე დაწესებულების ინფრასტრუქტურა.

პაციენტთა მომართვიანობას რა თქმა უნდა განსაზღვრავს ჯანდაცვის სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა. რამდენადც ქვეყნის მოსახლეობის 54% ანუ 2 400 000 ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ჯანდაცვის პირველად დაწესებულებებში მომართვიანობას განსაზღვრავს სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მოცულობა და სერვისების ხარისხი. <sup>71</sup>

არაგადამდებ დაავადებათა რეგისტრაციის სარწმუნო ინსტრუმენტი ქვეყანაში არ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში დღეს. იმ ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები მეტ-ნაკლებად განვითარებულია და ჯანდაცვის სერვისები შედარებით ხელმისაწვდომი, არაგადამდებ

<sup>70</sup> ეროვნული ანგარიში, 2006 წ.

<sup>71</sup> ეროვნული ანგარიში, 2006 წ.

დაავადებათა რეგისტრაციის ყველაზე სარწმუნო ინსტრუმენტი პირველადი ჯანდაცვის დონეზე წარმოებული სამედიცინო სტატისტიკაა. არსებულ ვითარებაში, დაბალი მომართვიანობის გამო, ეს რეოლი საინფორმაციო სისტემის ქსელში ფაქტოურად ამოვარდნილია. სხვა ინსტრუმენტი, ისევე როგორც აღრიცხვიანობის სარწმუნოობის დამასაბუთებელი რაიმე დამატებითი მექანიზმი, სადღეისოდ არ გამოიყენება.

- ახალგაზრდების სამედიცინო განათლება (ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხების ჩართვა სასკოლო და უმაღლესი განათლების პროგრამებში)
- ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სახელმწიფოს მიერ პირველადი ჯანდაცვითი სერვისების სრული დაფინანსება ან სადაზღვევო სქემებით მოსახლეობის მაქსიმალური მოცვა
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- ექიმის განათლების დონის ამაღლება
- ექთნის როლის გაძლიერება და მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება
- პაციენტის სანიტარული კულტურის ამაღლება.

ამ მიმართულებით მუშაობს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე არსებობს მინისტრის ნორმატიული ბრძანება საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების შესახებ, რომლებიც მწირი დაფინანსების პირობებში, ნაკლებად ითვალისწინებს ჩვენს ქვეყნაში არსებულ პრიორიტეტებს ავადობის ტვირთის მხრივ. პირველადი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებშიც არსებობს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მექანიზმი, თუმცა უმნიშვნელო, ისევ დაფინანსებიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკანონმდებლო დოკუმენტები, ბრძანებები, რეგულაციების შემუშავება არ ეყრდნობა ამ დარღმი არსებულ პოლიტიკას, სტრატეგიების შერჩევა არ ხდება რეალური სტატისტიკური სურათის გათვალისწინებით.

საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის გაძლიერებისთვის, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ძირითადი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და მათ მიმართ რეაგირების ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

აქტიური სტეიქპოლდერები ამ სფეროში არიან ოჯახის ექიმი და ზოგადი პრაქტიკის ექთანი. მას შემდეგ რაც განისაზღვრება ზოგადი პოლიტიკა, აპრობირებულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ტაქტიკური მოდელები, შესაძლებელია ვისაუბროთ ექსპერტთა პანელსა და სტეიქპოლდერებზე.

**ექიმის რეოლის ძირითადი სარვეზები:** დაბალი მოტივაცია პროფესიული განვითარებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისადმი, არასახარბიერო ინტერპერსონალური ურთიერთობები, ექიმის ავტონომიის დარღვევა ადმინისტრაციული მეთოდებითა და ასევე, ფარმაცევტული კომპანიების ზეგავლენით. ჯანდაცვის მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესებში ექიმების და მათი პროფესიული გაერთიანებების ჩაურევლობა და ინიციატივათა დეფიციტი. ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარების ნებაყოფლობითი ხასიათი მთლიანად ექიმის პირადი პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება.

**სისტემის ხარვეზები:** ჯანდაცვის სისტემაში არ არის განსაზღვრული არაგადამდებ დაავადებათა მართვის პოლიტიკა და სტრატეგია, არ არის დანერგილი მონაცემთა მოკრების, კვლევის, ექსპერტიზის, ანალიზისა და პროგნოზირების სარწმუნო მეთოდოლოგიები. საჭიროა გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გამჭვირვალობის გაზრდა და კომპენტენტური მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფის მყარი გარანტიების შემუშავება. ასევე აღსანიშნავია

რეგულირების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების არასრულყოფილება, აქცენტი მკურნალობაზე და არა პრევენციაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების არაეფექტური დაფინანსება.

**პაციენტის რგოლის ხარვეზები:** საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაბალი კულტურა და პასუხისმგებლობის დაფიციტი.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მონიტორინგული პროექტი კარდიო-ვასკულურ დაავადებათა მართვის გაუმჯობესების მიზნით განხორცილდა ევრაზის თანამშრომლობის ფონდის შარდაჭერით საქართველოს პიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოების მიერ 2008 წელს. კვლევის მიმართულებები:

- უზრუნველყოფა    
 არსებობს სერვისები?  
 მისაწვდომია ისინი?  
 ადექვატურია მათი ხარისხი?

- გამოყენება – გამოიყენება ეს სერვისები?
- დაფარვა – დაფარულია სამიზნე პოპულაცია?
- ადექვატურობა – აღინიშნა გაუმჯობესება დაავადებათა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებში?
- სარწმუნოება – ჰქონდა პროგრამას სხვა გავლენისაგან დამოკიდებული ეფექტი?

გამოიყითხა სამედიცინო პერსონალი და პოპულაცია (სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ონტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი). „პირველადი გასინჯვის პუნქტის“ სტატუსი – მოსახლეობის აღწერა მიმდინარეობს ექთანთან ერთად ან ექთნის მიერ, ძირითადად აღწერილია 0-14 წ.-წ. კონტინგენტი. აქედან გამომდინარე, სასკრინინგო პრიორიტეტები დაავადებათა და რისკ-ფაქტორთა მხრივ – უცნობია.

**მომსახურების უწყვეტობა –** სამედიცინო პერსონალი აღნიშნავს, რომ ფაქტოურად არ უწევს გამოძახება დასკვნების დღეებში, რაც შეეხება სამედიცინო ჩანაწერების რუტინულ წარმოებას, განსაკუთრებით პაციენტის ქცევითი მოდელის, მისი ცვლილებების, მკურნალობის მონიტორირების მხრივ კალავ – სერიოზული ხარვეზებია<sup>72</sup>

ევროკავშირის კვლევაში<sup>73</sup> მომსახურების უწყვეტობაში აღნიშნული დეფექტი ახსნილია ექიმის დამოკიდებულებით ე.წ. ქადალდის სამუშაოებთან. ჩვენი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია, პაციენტის დამოკიდებულება ექიმის მიერ მკურნალობის პროცესის მონიტორირების აუცილებლობასთან (მხოლოდ 20% გამოკითხულ პაციენტთაგან აღნიშნავს, რომ აკონტროლებს ანტიპიპერტენზიულ მკურნალობას ექიმთან ერთად და კიდევ ურთი დეტალი, ექიმის დროის დეფიციტი - 74% გამოთქვა აზრი, რომ ექიმი ჩქარობს ვიზიტისას).

**პაციენტის მართვა:** მოზრდილ მოსახლეობაში დაავადებათა სპექტრის პირველი სამეცნიერო: არტერიული პიპერტენზია, გულის იშემური დაავადება, მწვავე რესპირატორული დაავადებები. 70%-ში შემთხვევაში ქრონიკული დაავადებები იმართება ვიწრო სპეციალისტის საკონსულტაციო მონაწილეობით, ყველაზე ხშირად გამოყენებულია კარდიოლოგის კონსულტაცია (62%-ში). ყველაზე იშვიათად გამოყენებული ლაბორატორიული ტესტია ქოლესტეროლის განსაზღვრა სისხლში (10%). რაც შეეხება კავშირებს პირველ და მეორე დონეს შორის, რეფორმის დაწყებიდან 3 წლის თავზე კომუნიკაციური ფაქტორის დინამიკა

<sup>72</sup> პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მონიტორინგული პროექტი კარდიო-ვასკულურ დაავადებათა მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2008

<sup>73</sup> მ. პელი, სასარგებლო ინფორმაცია საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის შესახებ. 2006 წ.

პოზიტიურია. გარკვეული ადაპტაცია მოხდა დამოკიდებულებებში, მომსახურების ყოვლისმომცველობის მხრივ – ექიმის მიერ მოწოდებულ სერვისებში კვლავ ფაქტიურად ცარიელია დაავადებათა აქტიური გამოვლენის ნიშა და სუსტია პრევენციული სტრატეგია – ბინაზე გამოძახების გარეშე არტერიული წნევის გაზომვის მაჩვენებელი – მხოლოდ 6%-ია.

უფასო სერვისებში ყველაზე მოთხოვნადი კარდიოლოგის კონსულტაციის არარსებობა და ალგორითმით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასკრინგო ტესტის – ქოლესტეროლის ტესტის ამოღება უფასო სერვისებიდან მიანიშნებს პრევენციული სტრატეგიის სისუსტეზე. იგივეზე მიუთითებს პრევენციული აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის – ექთნის კრიტიკულად დაბალი მონაწილეობა ამ სფეროში, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა შინამეურნეობათა გამოკითხვისას.<sup>74</sup> ექთნის მიერ კონსულტირების მაჩვენებელი 0.9%-ია, პარალელურად კი ფარმაცევტის საკონსულტაციო აქტივობა დაავადებათა მართვის რეკომენდაციათა მხრივ 4.8%-ია.

ამ პროექტში გამოკითხულ ფარმაცევტთა 35% აღნიშნავს, რომ სააფთიაქო ქსელში მოსული მომხმარებლის 35% ითხოვს წამლის მიღების წესის განმარტებას და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციას. ერთობ სამწუხაროა, რომ მომხმარებელთა 40%-ის მოთხოვნა წამლის შერჩევა და 5%-ში არტერიული წნევის გასინჯვაა ექიმთან მისვლის ფინანსური ბარიერის მოტივით. (გათვიცნობიერების მნიშვნელოვანი დეფიციტი პირველადი ჯანდაცვის უფასო სერვისების შესახებ).

რაც შეეხება ექიმისადმი ნდობასა და სერვისებით კმაყოფილებას – 20% კმაყოფილია სამედიცინო დახმარების ხარისხით, არჩევანის შემთხვევაში 34% მიმართავს სხვა დაწესებულებას.

პროექტის ძირითადი რეკომენდაციები, რეფორმის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ ორიენტირებულია ქრონიკული დაავადების მართვის ხარვეზების გამოსასწორებლად:

- ოჯახის ექიმის გუნდის მიერ მოცვის არეალში სასკრინინგო ინდიკატორების განსაზღვრა (რისკ-ფაქტორები – ქცევითი და ბიოლოგიური)
- პრევენციული სტრატეგიის და აქტან გამომდინარე, ექთნის რგოლის გაძლიერება
- ექიმსა და პაციენტს შორის პარტნიორული ურთიერთობის ფორმირება
- რეცეპტის დაბრუნება ექიმის ყოველდღიურ პრაქტიკაში

შინამეურნეობათა კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ გამოკითხულთა 84%-მა შეიძინა პრეპარატი ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ, 14% კი ვერ შეიძინა. საკითხი დგება ასე, შეიძინა მან თუ არა ადექვატური მედიკამენტი, ვინაოდან წნევისდამწევი მკურნალობის მაგალითზე პოპულაციის 46% - ღებულობს არარეგომენდებულ პრეპარატს.<sup>75</sup>

აუცილებელი მოსახლეობის გათვიცნობიერება ქრინიკული დაავადებების მკურნალობაში თვითნებობის რისკების, მკურნალობაში წყვეტილობის, პრეპარატების ხშირი ცვლის ნაკლები ხარჯთევექტურობის, ხშირი ჰასპიტალიზაციისა და დაავადების პროგნოზის დამძიმების თავიდან აცილების შესაძლებლობათა შესახებ.

<sup>74</sup> სდსჯდ კვლევა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2007

<http://www.curatiofoundation.org/curatio/index.jsp?id=32&act=39>

<sup>75</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

ფარმაკოპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემებით, გამოკითხული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტთა 60%-მდე იწყებს მკურნალობას თვითნებურად, ახორციელებს დოზის ტიტრაციას და გადადის კომბინირებულ მკურნალობაზე ასევე თვითნებურად.<sup>76</sup>

„ჰიპერტენზიის კონტროლის პროგრამა თემში“, განხორციელებული ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირის (AIHA) მიერ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ითვალისწინებდა პაციენტების უზრუნველყოფას უფასო ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტებით, პირველადი ჯანდაცვის თანამშრომელთა უწყვეტ ტრენირებას და სხვა. პროექტში ჩართული იყო 562 პაციენტი მცხეთა-მთიანეთისა (2000-2003 წწ.). და შიდა ქართლის რეგიონში (2005-07 წწ.). შედეგებმა აჩვენა, რომ ჰიპერტენზიის კონტროლის გაუმჯობესება შესაძლებელია სწრაფად, იაფად, შეზღუდული რესურსებითაც კი.

2007 წლიდან დაიწყო ახალი დიზაინის პროგრამის (AIHA/USAID) „ძირითადი ქრონიკული არაგადამდები დაავადებების მართვა თემში“ განხორციელება გორსა და ოზურგეთში. 288 პაციენტი უზრუნველყოფილ იყნენ უფასო მედიკამენტებით (ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“-ს ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტებით და ამერიკელი პარტნიორების მიერ მოწოდებული პრეპარატებით). რისკ-ფაქტორთა კონტროლი განხორციელდა არამედიკამენტულზური მიღომებით. მოკლევადიანი პროგრამით გათვალისწინებული ჩარევებით გარდა წარმატებული კლინიკური გამოსავალებისა, გამოვლინდა არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირებული ინტერვენციის განხორციელებისა და შედეგიანობის შესაძლებლობა საქართველოს სინამდვილეში.

თანამედროვე სტანდარტული მეთოდიკით განხორციელებული ინტერვენციული პროგრამები მნიშვნელოვანია პოპულაციაში დაავადებათა მართვის მოდელის განსაზღვრის მიზნით, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია ქრონიკული დაავადებების წარმატებული მკურნალობის სირთულები მსგავსი პროგრამების გარეთ. ასე მაგალითად, ჰიპერტენზიის მართვის ძირითადი დფფეტი პაციენტის კრიტიკულად დაბალი დამყოლობა, ექმსა და პაციენტს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია და მოსახლეობაში ხანგრძლივი მკურნალობის პროცესებში ექიმის აუცილებელი, პერმანენტული მონაწილეობის ფაქტიურად არ ცოდნაა.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალურ გეგმაში (შვედს 2007 წ.) პუნქტები 2 - პირველადი ჯანდაცვის დაფინანსება აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს პჯდ მომსახურების სრულ პაკეტს საქართველოს მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის 2008 წლის ბოლომდე (საერთო მოსახლეობის 34.8%). იდენტიფიცირებული ინდივიდი სახელმწიფო სუბსიდირებას იღებს სამედიცინო ვაუჩერის სახით, რომელიც უტოლდება წლიური სადაზღვევო პრემიუმის სრულ ოდენობას როგორც პირველი დონის, ასევე პოსპიტალური მომსახურებისთვის. ეტაპობრივად მოხდება ერთწლიანი ვაუჩერის და შესაბამისად, სადაზღვევო მომსახურების ჩანაცვლება უკალო ვაუჩერებით/სადაზღვევო მომსახურებით. ბენეფიციარი მიიღებს სახელმწიფო სუბსიდიას მიზნობრივი ჯგუფის დატოვებამდე სოციალური სტატუსის შეცვლის ან გარდაცვალების გამო. მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა თავად უნდა შეისყიდოს ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული პირველი დონის მომსახურება ჯიბიდან გადახდის ან წინასწარ გადახდის (სადაზღვევო სექტების) სახით; გარდამავალ პერიოდში ბაზისური ამბულატორიული მომსახურება ფინანსდება უნივერსალურად. ბაზისური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი სახელმწიფო შემსყიდვებისაგან იღებს პჯდ დაფინანსების 30%-ს, რათა მან უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება დაუზღვეველი მოსახლეობისათვის, 70% კი

<sup>76</sup> საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზ-ბა, ფარმაკოპიდემიოლოგიური კვლევა, 2000-2008 წ.

გამოყენებულ იქნება დაზღვეულთათვის სადაზღვევო ვაუჩერით პჯდ მოშვახურების დასაფინანსებლად.

2008 წლის ბოლოს მოსახლეობის დარიბი ნაწილის დაზღვევის პაკეტს ფლობს მთელი მოსახლეობის 16.7% და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის 30.1%. ანუ, პჯდ განვითარების გეგმაში გაწერილი გეგმა სადაზღვევო მედიცინით მოცვის თვალსაზრისით (34.8% და რეალური 16.7%) არ არის რეალიზებული.

სამიზნე მოსახლეობასთან პჯდ მოშვახურების მიმწოდებლების თანაფარდობის გათვალისწინებით (1 ექიმი 2000 მოსახლეზე) საქართველოში საჭიროა 2000-2200 ოჯახის ექიმი და 2300-2500 ზოგადი პრაქტიკის ექთანი და ექთანი ბებია ქალი. საოჯახო მედიცინის ადამიანური რესურსების გადამზადება და პჯდ დაწესებულებების ფიზიკური ინფრასტრუქტურის სრული განახლება დაგეგმილია 2010 წლის ბოლომდე.

### გაიდლაინები:

შვედსდს-მ პირველი ნაბიჯები გადადგა კლინიკური გაიდლაინების შემუშავებასა და დანერგვის უწყვეტ პროცესში. 2006 წლის მარტის №945 ბრძანებით დამტკიცდა კლინიკური გაიდლაინების კომიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული დებულება და ამის საფუძველზე შემუშავებული იქნება გაიდლაინები.

2006 წლის 8 მაისის №126/ო ბრძანებით დამტკიცდა კომიტეტის შემადგენლობა. 2006 წლის 18 მაისს, მიღებული იქნა გადაწყვეტილება 10 გაიდლაინის შემუშავების შესახებ.

2006 წლის 21 ნოემბერს, ჩატარდა შემუშავებული გაიდლაინების პრეზენტაცია, მათ შორის 9 არაგადამდებ დაავადებათა მართვის გაიდლაინია (არტერიული ჰიპერტენზია, გულის შეგუბებითი უქმარისობა, გულის იშემიური დაავადება, ტკივილი მკერდის არეში, ქრონიკული ხველა, და სხვ.)

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ეროვნული კლინიკური გაიდლაინების და სამკურნალო პროტოკოლების შემუშავების შემდეგ დაიგეგმა მათი რევიზიის საჭიროების დადგენა და იმპლიმენტაციის დაწყება.

სამ ძირითად ფაქტორს, რომლებიც უზრუნველყოფებ იმპლიმენტაციის პროცესის წარმატებას, წარმოადგენ: ადაპტირებული გაიდლაინი და პროტოკოლი; მოტივირებული ექიმი; დამყოლი პაციენტი. სამი ძირითადი წინააღმდეგობა: არაადაპტირებული პროტოკოლი; სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის დეფიციტი; ექიმის რეზისტენტობა.

იმპლიმენტაციის პროცესი სასურველია წარიმართოს ტრეინინგების სახით მცირე (8-10 კაციანი) ჯგუფებში, ინტერაქტიული დისკუსიით.

ჯანდაცვის საკითხებში გათვითცნობიერების შესახებ საინტერესო მონაცემებს იძლევა კვლევა, რომელიც 2005 წლის ბოლოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის დაწყებამდე ოქსფორდის პოლიტიკური მართვის ჯგუფის მიერ განხორციელდა. მისი მიზანი იყო შეხედულებების, დამოკიდებულებების და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქცევის ხარისხობრივი შეფასება პილოტურ რეგიონებში.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდა, გრძნობდა და აქეთებდა ხალხი ჯანმრთელობის მთელი რიგი საკითხების შესახებ შეგროვდა ფოკუს ჯგუფების საშუალებით. სულ ჩატარდა 18

დისკუსია ფოგუს ჯგუფებში ორივე სქესის ახალგაზრდა მოსახლეობაში ცალ-ცალკე, ასევე მაღალ ასაკობრივ ჯგუფში 3 თემის გარშემო – დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ინფექციური და არაგადამდები დაავადებები. ყველაზე ხშირად აღნიშნული ჯანმრთელობის პრობლემა იყო გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (პირველ რიგში მაღალი წნევა) და ჩიყვი.<sup>77</sup>

რაც შეეხება რეფორმის პირობებში პოპულაციის გათვითცნობიერებას სამედიცინო სერვისების (მ.შ. უფასო სერვისების) შესახებ, იგი კრიტიკულად დაბალია; რაც კარგადაა გაშუქებული პჯდ მონიტორინგული პროექტის<sup>78</sup> შედეგებში.

### რისკ-ფაქტორთა შესახებ გათვიცნობიერება

ქართულ პოპულაციაში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების შესახებ გათვითცნობიერების დონე არ არის იდეალური, და ამავე დროს არაერთგვაროვანია. არტერიული ჰიპერტენზის შესახებ ექიმის მიერ გათვითცნობიერების მაჩვენებლის (66.2%), ბოლო წლების განმავლობაში არტერიული წნევის გასინჯვის მისაღები მაჩვენებლის (84.5%) და საკუთარი წნევის აპარატის ოჯახების უმრავლესობაში არსებობის მოუხედავად (83%), რაც ხშირად ჩვენი უცხოელი კოლეგების გაკვირვებას იწვევს, 2007 წლის რისკ-ფაქტორთა კვლევისას<sup>79</sup> გამოვლენილი ჰიპერტენზის 1/3 პირველადაა იდენტიფიცირებული, ხოლო მედიკამენტური მკურნალობისას 46% არარეკომენდებულ პრეპარატებს ლებულობს. ანუ ქართული პოპულაციის გათვიცნობიერების დონე დაბალია მედიკამენტური მკურნალობის პროცესში ექიმის აუცილებელი მონაწილეობის, მკურნალობის წყვეტილობის, პრეპარატების ხშირი ცვლის, თვითშემოქმედების რისკების შესახებ და ა.შ.

ქოლესტეროლის მაჩვენებლის შესახებ (ბოლო წლის განმავლობაში) გათვითცნობიერება საქმიან დაბალია - 8.6%, ანამნეზში მაღალ ქოლესტეროლს აღნიშნავს გმოკითხულთა მხოლოდ 3.8%, კვლევის დროს გამოვლენილი მომატებული საერთო ქოლესტეროლის მაღალი მაჩვენებლის ფონზე (72.1%).

გათვითცნობიერება ჰიპერგლიკემიის შესახებ ასევე დაბალია 18.3%, ხოლო უზმოზე დარღვეული გლიკემია 12.1%-ში დადგინდა. რაც შეეხება თაბაქოს მავნე ზემოქმედების გაცნობიერებას, ყოველდღიურ მწვეველების 75.6%-ს კარგად აქვს გაცნობიერებული, ხოლო ჯანდაცვის პროცესიონალთაგან რჩევა მიღებული აქვს მხოლოდ 28.1%-ს. ცხიმის შეზღუდვის შესახებ რეკომენდაციები ბოლო 12 თვის მანძილზე არაგისგან არ მიუღია 78.2%-ს, მარილის შეზღუდვის შესახებ 80.9%-ს, ფიზიკური აქტივობის გაზრდის შესახებ 83.3%-ს, ალკოჰოლის შეზღუდვის შესახებ 87.4%-ს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირად გამოყენებული არხებია ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები.<sup>80</sup>

### მოტივაციის დონე ქცევითი ცვლილებებისთვის

საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოების მიერ განხორციელებული უარმაკოეპიდემიოლოგიური კვლევებისას (2000-2007 წ.-წ.) ექიმების მიმართ დასმულ კითხვაზე: „ახერხებთ თუ არა პრაქტიკაში გაითვალიწინოთ მკურნალობის ეტაპობრიობის ალგორითმი?“ (საუბარია არამედიკამენტური და მედიკამენტური მკურნალობის ეტაპებზე და ზოგადად მკურნალობაში შუალედური და შორეული ეფექტების მიღწევების მიზნებზე), აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი ასეთია: არა ყოველთვის და მოყვანილია უხშირესი მიზეზები – „ავადმყოფებთან იშვიათი კონტაქტის გამო“, „პაციენტის დაუმორჩილებლობის გამო“.

<sup>77</sup> Rapid Study of Local Understanding – Knowledge, Attitudes and Behaviours of Selected Health Issues in Adjara and Imereti, Georgia. Peter Gordon and Thea Mirianashvili, for OPM, 2006

<sup>78</sup>. მ. პეტრე, სასარგებლო ინფორმაცია საქართველოს პირველად ჯანდაცვის რეფორმის შესახებ. 2006 წ.

<sup>79</sup> არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა; საქართველო, 2006-2007; [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

<sup>80</sup> ფარმაკო-ეპიდემიოლოგიური კვლევები 2006-07 წ. საქართველოს ჰიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოება

პაციენტის დამყოლობა ექიმის წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის საფუძველია, ხოლო მოტივაცია ფუნდამენტურია პაციენტთან ურთიერთობაში.

პაციენტსა და ექიმს შორის ცუდი კომუნიკაცია (43%-ში) შესაძლებელია გახდეს იატროგენის პრედიქტორი.<sup>81</sup> ექიმის სწორი ტაქტიკა დაარწმუნოს პაციენტი გართულებათა მაღალ ინდივიდუალურ რისკში, განმსაზღვრელია პაციენტთა ქცევისა ქრონიკული დაავადებების დროს. ჯანმრთელობის რისკის შეცველ ქცევათა შორის ქართულ პოპულაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკული დაავადებების არაადექვატური მართვის ქცევითი მოდელი. ამ უკანასკნელის ფორმირებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია პაციენტთა დამოკიდებულება ხანგრძლივი მკურნალობის მიმართ, ზოგადად პაციენტთა ფსიქოლოგიური სტატუსი („მე მაქს უფრო სერიოზული პრობლემა, ვიდრე მაღალი წნევა“ და ა.შ.). პოპულაციაში არსებული შევრთვისა და დეპრესიის სიმპტომატიკა ასოცირებულია ქრონიკული დაავადების მართვის პროცესში ხარვეზებთან და განიხილება, როგორც ბარიერი სომატური დაავადების მკურნალობისას. თერაპიული მკურნალობის არაეფექტურობა ერთის მხრივ, და არამედიკამენტურ რეკომენდაციათა დაბალი ეფექტურობა მეორეს მხრივ, მკურნალობის პროცესში პაციენტის ინერტულობის მიზეზია (67%).

დამყოლობა ქცევით ცვლილებებზე (რომელიც ბევრად უფრო რთული მისაღწევაა, ვიდრე პაციენტის ჩართვა მედიკამენტური მკურნალობის პროცესში) განპირობებულია რეკომენდაციათა დამოკიდებულებით ცხოვრების ხარისხის ცვლილებასთან, ექიმის მიმართ დამოკიდებულებასთან და პრევენციის მიზნით შერჩეულ რჩევათა ეფექტურობის მეცნიერულ მტკიცებულებებით დასაბუთებასთან.

მედიცინის ეს ნაწილი ხელოვნებას ესაზღვრება. პაციენტთა გაცნობიერებული გადაწყვეტილებისათვის ექიმის პროფესიონალიზმი განმსაზღვრელია; მით უმეტეს, რომ პრევენციულ ზომათა უმრავლესობა დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან.

რჩევების ეფექტურობის ხარისხი დამოკიდებულია შემდეგ პარამეტრებზე: საკმარისი დრო და წყნარი გარემო; პაციენტის ნდობა ექიმისა და ექთანისადმი; პაციენტთან პარტნიორული ურთიერთობა.

**ჯანდაცვის პირველადი რგოლი იდეალური ადგილია რეკომენდაციათა მისაღებად.**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევების საფუძველი სხვადასხვაა: ინფორმაციის სიმირე, საკანონმდებლო ხარვეზები, სამედიცინო სერვისების დეფიციტი, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების არასაკმარისი დაფინანსება, არსათანადო ადმინისტრირება, სტიგმა და სხვა.

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყნის სამედიცინო აქტივობები სამედიცინო მეცნიერებების მხრივ მნიშვნელოვნად შემცირდა. რაც შექება მაღალი სარწმუნოების მტკიცებულებების შეცველ კვლევებს, პირველ რიგში აღვნიშნულ ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობის კვლევას (1999, 2005 წ.წ.)<sup>82</sup>, ინსულტის ინციდენტობის შემსწავლელ კვლევას (2000 წ.)<sup>83</sup>, ამჟამად მიმდინარე რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილობის შემსწავლელ კვლევას, რომლებიც განხორციელდა ქვეყანაში დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

<sup>81</sup> R. Wefl et all

<sup>82</sup> [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

<sup>83</sup> Tsiskaridze et al

მნიშვნელოვან აქტივობად, მათ შორის სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს კარდიო-გასკულურ და რესპირაციულ დაავადებათა სფეროში პროფესიული ასოციაციების მიერ დაავადებათა მართვის სახელმძღვანელოთა შექმნა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა გახლავთ პროფესიული სწავლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნა და იმპლიმენტაცია, ასევე საქართველოს ჰიპერტენზის, კარდიოლოგთა, ენდოკრინოლოგთა, რესპირაციული და სხვა ასოციაციებთან ერთად პირველადი ჯანდაცვის კლინიკური რეკომენდაციებისა და პროტოკოლების შემუშავება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის კლინიკურ პრაქტიკში ტრანსლაციის მიზნით, რაც თავისთავად მყარ საფუძველს შექმნის პირველადი ჯანდაცვის საუკეთესო პრაქტიკის განვითარებისათვის.

საოჯახო მედიცინის პროფესიონალების ინდივიდუალური საქმიანობის შეფასების სქემების განვითარება (Workplace appraisal schemes), კლინიკური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა სამუშაო ადგილებზე საქმიანობის შესაფასებლად უმნიშვნელოვანესი აქტივობებია, რომლებიც ეხმაურებიან პჯდ რეფორმის მონიტორინგული პროექტების რეკომენდაციებს, ამავე კუთხით საინტერესოა თვითშეფასებისა და კოლეგიალური განხილვების დანერგვა კომუნიკაციების აღდგენისა და გაძლიერების რეკომენდაციათა საპასუხოდ.

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ მიერ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით გადამზადებულია: 240 ექიმი (პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის სასწავლო პროგრამის დიზაინი და ტრენინგი) და 300-ზე მეტი ექთანი (ზოგადი პრაქტიკის/ოჯახის ექთნების გადამზადების სასწავლო პროგრამის დანერგვა) თბილისში; 400-ზე მეტი ჯანმრთელობის პროფესიონალი (აკრედიტირებული პროგრამა „საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ორგანიზაცია და მართვა“), 100 მასწავლებელი (აკრედიტირებული პროგრამით „პედაგოგიური ჩვევები – სწავლა და სწავლება ზოგად საექიმო პრაქტიკაში – სასწავლო მოდული რეაქტიული ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექტნებისათვის და მასწავლებელთათვეს“); 350-ზე მეტი ექიმი და ექთანი (აკრედიტირებული პროგრამით – „გიდ-ის პრევენცია პირველად ჯანდაცვაში“).

უმნიშვნელოვანესი აქტივობაა ესენციურ მედიკამენტებზე მოთხოვნის განსაზღვრა პირველად ჯანდაცვაში წამლის ანაზღაურების სქემების შემუშავების მიზნით ((Estimating drug requirements, WHO/DFID, EC/GVG). სამწუხაოდ, ქრონიკული დაავადებების მკურნალობის ალგორითმი არსებული პრეპარატები ძალიან მწირედ არის წარმოდგენილი ე.წ. ექიმის ჩანთაში, აქედან გამომდინარე აღნიშნული მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

ანგარიშში მოყვანილი მონიტორინგული პროექტების (პჯდ რეფორმის მიმდინარეობისას) რეკომენდაციათა განხილვა, სწორედ რომ უნდა მოხდეს სამედიცინო აუდიტორულ კვლევების პარალელურად და ასეთი ტიპის სამუშაო შეკვედრების მკვეთრი დეფიციტი ისევ და ისევ კომუნიკაციის ხარვეზების შედეგია.

2003 - 2004 წლებში განხორციელდა სასწავლო სემინარების (ტრეინინგების) სერია „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია პირველად ჯანდაცვაში“ პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის. თემატიკა სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევითი რისკების შეფასების მეთოდოლოგიასაც. ამ აქტივობების ფარგლებში შემუშავდა სპეციალური სასწავლო სახელმძღვანელო პირველადი ჯანდაცვის მუშაკებისათვის. ეს სასწავლო კურსები შემდგომში ჩართულ იქნა პოსტდიპლომური და უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში.

2006 წ. ჯანმრთელობის სერვისის კვლევების ცენტრის CHSR-ის მხრიდან „სინდი“ ჯგუფის წევრები ჩართული იყვნენ EU და HLSP Ltd (UK)-ის პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის პროექტში: „სამედიცინო კადრების და პრაქტიკის მენეჯერთა სწავლება უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის“, ასთმის მულტიდისციპლინურ მართვის სწავლება ექიმებისა და ექიმთა განვითარებისათვის. პროექტმა მოიცვა კახეთის რეგიონის საოჯახო მედიცინის პრაქტიკების ქსელის 76 ოჯახის ექიმი და პირველადი ჯანდაცვის 80 ექთანი. პროექტის განმავლობაში ჩამოყალიბდა აღნიშნულ თემაზე პროფესიული განვითარებათვის სწავლების „მოკლე კურსის“ და კომპეტენციათა შეფასების მეთოდოლოგია.

არაგადამდებ დაავადებათა კონტროლის სფეროში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის 2007-08 წლებში დასწრებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების ფარგლებში მომზადდა 300-ზე მეტი ოჯახის ექიმი. სასწავლო კურსის თემატიკა მოიცავდა გსს დაავადებათა მართვას (საქართველოს კარდიოლოგთა კოლეჯთან ერთად), სასუნთქი გზების გავრცელებულ დაავადებათა მართვას (საქართველოს რესპირაციულ ასოციაციასთან ერთად) და ა.შ.

2008 წლის ბოლოს დაავადებათა მართვის ეროვნული გაიდლაინების იმპლიმენტაციის პროცესის ფარგლებში ჩატარდა სამეგრელოს რეგიონის ექიმთათვის სასწავლო კურსი (საქართველოს კარდიოლოგთა კოლეჯთან ერთად).

თბილისის სახელმწიო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში ჩართულია პრევენციული მედიცინის სწავლება მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე.

2008 წლიდან დაიწყო დაავადებათა მართვის სახელმძღვანელოთა იმპლიმენტაციის პროცესი პირველადი ჯანდაცვის რგოლში.

და კიდევ ერთი, აუცილებელია პრიორიტეტულად ჩაითვალოს შეფასების კრიტერიუმებში გაიდლაინების ავტორთა ჯგუფების მონაწილეობა და ასევე, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის სფეროში აქტივობათა განსახორციელებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საექსპრტო აზრი.

არაგადამდებ დაავადებათა სახელმწიფო დაფინანსების წყაროდ გვევლინება ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც გაწერილია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2009 წლის 16 იანვრის №34/ნ ბრძანების „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების (კომპონენტები, ღონისძიებები) დაფინანსების წყაროების განსაზღვრის შესახებ“, რომელთა უწყვეტი განსახორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ 2008 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით ნაკასრი ვალდებულებების შესასრულებლად 2009 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე“ საფუძველზე:

- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო კომპონენტის – ამბულატორიული მომსახურების სოფლად საბიუჯეტო ასიგურებები ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით ექიმებისა და ექიმთა მიზნით ხელშეკრულებების გაფორმებას. აღნიშნული პაკეტით ასევე გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების გამოვლენა, მართვა და რეფერალის საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის კონსულტაცია. განსაკუთრებით აქცენტირებულია ენდოკრინული პაციენტების გამოვლენა და რეფერალი სპეციალისტთან ბგათვალისწინებულია აგრეთვე 3 წლამდე ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება (ექიმთან ვიზიტი ვიზიტი ბინაზე, ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა, ქრონიკული დაავადებების გამოვლენა და მართვა). აღნიშნული

ითვალისწინებს კაპიტალური მეთოდით დაფინანსებას (დარეგისტრირებული თითოეულ ბავშვზე 2.72 ლარი ყოველთვიურად).

- 2009 წლის მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ასიგნებები ითვალისწინებს: 60 წელს ზემოთ გარკვეული ნოზოლოგიური ჯგუფების სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას 75% ოდენობით (ნოზოლოგიური უცნობია), რაც შეეხება კრიტიკულ ძღვომარეობებს, ყველა ნოზოლოგიისთვის 6 დღე ანზღაურდება სრულად.
- 2009 წლის გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნებები შეეხება 60 წ. ზემოთ გულისა და მავისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების მკურნალობის ღირებულების 70% ოდენობით ანაზღაურებას, ანგიოპლასტიკის ღროს მკურნალობის ღირებულების 50% ოდენობით ანაზღაურებას. 18 წლამდე ასაკის ბავშვთა გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობის ღირებულების ანაზღაურებას სრულად, ხოლო 18 წელს ზემოთ – 70% ოდენობით. ასევე გაწერილია 18 წლამდე ონკოპერატოროგიური მომსახურების ანაზღაურება სრულად.

პჯდ სახელმწიფო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნებები მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ფაქტიურად დაფინანსების გარეშე დარჩენილი 3 წ. ზევით ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების მართვა.

აღნიშნული საკითხის გამო, სერიოზული დისკუსიის შედეგად, გაგრძელდა 2008 წლის პროგრამები 3 თვით, მთავრობა იძლევა დაპირებებს, რომ გადაწყვეტილებები გადაიხედება. ძალიან საინტერესო იყო ამ მიმართულებით ინფორმაციის მოძიება საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში. მოუხედავად მრავალი მცდელობისა, ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა (უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია აღნიშნული ე.წ. ნონ-რესპონსის შემთხვევა).

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობები არაგადამდებ დაავადებათა მართვის სფეროში დაწვრილებითა აღწერილი ანგარიშის წინა სექციებში. გარკვეულად გვინდა გამოვყოთ ევრაზის თანამშრომლობის ფონდი, რომელმაც დააფინანსა ჯანდაცვის რეფორმის ორი მონიტორინგული პროექტი პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და პოსპიტალური სექტორის განვითარების სფეროში პროგრესის შეფასების მიზნით.

რაც შეეხება არაგადამდებ დაავადებათა მართვის სფეროში კვლევითი პროექტების განხორციელების ფინანსურ მხარდაჭერას, იგი იკულად დაბალია მიუხედავად ქვეყნის ეპიდემიოლოგიური სიტუაციის პრიორიტეტებისა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პჯდ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებები გადაიხედა შემცირების გზით და ასევე კერძო სადაზღვევო სექტორის გააქტივების გზით.

სადღეისოდ მიმდინარეობს კონსულტაციები, პროცესში ჩართულია 9 სადაზღვევო კომპანია. გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით საინტერესო იყო საკანონმდებლო ორგანოდან შუალედური ინფორმაციის მიღება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სადაზღვევო კომპანიების ოჯახის ექიმებთან გასაუბრების სედეგად მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გახლავთ ძირითად პაკუტებში ქრონიკული დაავადებების მართვის არგათვალისწინება.

## დასკვნები

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებებში ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების მინიმიზაციისა და მოსახლეობისათვის ჯანმრთელი გარემოს შექმნის გზით.

ამ მხრივ ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა **ქრონიკული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ადექვატური ზედამხედველობის სისტემის დაგეგმვისა და დანერგვისათვის სარისხიანი ინფორმაციის შეგროვება.**

საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა მდგომარეობის აღწერა და შეფასება შესაძლებელია გახდეს საუფეხელი ქვეყანაში ამ დაავადებათა ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბებისა, რაც თავისთავად გულისხმობს პრიორიტეტულ რისკ-ფაქტორთა მიმართ ადექვატური ინტერვენციული ღონისძიებების შემუშავება-განხორციელებას. აღნიშნული რეკომენდაციები აუცილებლად უნდა თვალისწინებდეს ქვეყნისათვის დამახასიათებელ სპეციფიურობას.

საქართველოში მოსახლეობის, როგორც სამედიცინო მომსახურების მომხმარებლისა და ჯანდაცვის სისტემის, როგორც მოწოდებლის ურთიერთკავშირი მნიშვნელოვნად გართულებულია. ეს განპირობებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის გადახდისუუნარობით. აგრეთვე თვით სახელმწიფო დაფინანსების წყვეტილობით და ა.შ. ამასთანავე, მარკეტინგული სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პაციენტები ძირითადად არაადექვატურად აფასებენ თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას და სამედიცინო დარგის შესაძლებლობებს. ეს განაპირობებს მოსახლეობის არასაკმარის კონტაქტს ჯანდაცვის მუშაკებთან და აქედან გამომდინარე, დაავადებების მართვის პროცესში მუდმივ ხარვეზებს.

ჯანმო-ს ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად ნაადრევი სიკვდილისა და ავადობის წამყვან მიზეზს საქართველოში ძირითადად არაგადამდებ დაავადებები (გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, კიბო, დაბეტი და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებანი) წარმოადგენენ. ამასთან ერთად, საქართველო მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც 1970 წლიდან დაიწყო და 1990 წლიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა არაგადამდებ დაავადებებით (პირველ რიგში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით) გამოწვეული სიკვდილობის მაჩვენებლების ზრდა, რასაც შედეგად მოპყვა მკვეთრად გამოხატული სხვაობის ფორმირება საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებს შორის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულების პრობლემები, ასოცირებული ჯანდაცვის სისტამას, სამედიცინო პერსონალსა და მოსახლეობასთან. პრობლემები გახლდათ სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის.

### ჯანდაცვის სისტემასთან ასოცირებული პრობლემები:

- ქვეყნაში არსებულ სტატისტიკურ მონაცემთა დაბალი სარწმუნოება
  - ✓ სტანდარტული ეპიდემიოლოგიური კვლევების სიმცირე ქვეყნის დონეზე;
  - ✓ მხილოდ მომართვისანობის პრინციპზე დაფუძნებული ინფორმაცია;
  - ✓ აუტოფსიური მასალის შესწავლის გარეშე დაგროვილი ინფორმაცია;
  - ✓ სიკვდილობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაციის შექსების არასრულფასოვნება;
  - ✓ შემთხვევათა რეგისტრაციის პრინციპი აგებული ნოზოლოგიურ და პროგრამულ დაფინანსებაზე;

- ✓ სიკვდილის, როგორც ფაქტის იდენტიფიცირების გამკაცრებით, ერთის მხრივ ექიმის დაცვის მხრივ პოზიტივი (ნაბალადევი სიკვდილის გამორიცხვით), მეორეს მხრივ კი მონაცემთა ბაზაში უცნობი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის ზრდა;
- ქვეყანაში არაგადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის დეფიციტი
  - ✓ არაგადამდებ დაავადებათა სფეროში ეპიდემიოლოგიური და პრევენციული პროგრამების სიმცირე;
  - ✓ პრიორიტეტულ პრევენციულ ინტერვენციათა დაგეგმვის და მათი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით პროცესებში პოლიტიკის შემქმნელებთან ერთად პროფესიული ჯგუფების მონაწილეობის უგულველყოფა;
  - ✓ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დონორი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ფინანსური რესურსების მობილიზაციის დეფიციტი.
- პირველადი ჯანდაცვის დონეზე ყოვლისმომცველი, უწყვეტი, კოორდინირებული, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის დეფიციტი
  - ✓ სამოქმედო უბნის მოსახლეობის რისკ-ფაქტორთა და დაავადებათა პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის სიმცირე;
  - ✓ სერინინგულ აქტივობათა არარსებობა;
  - ✓ პრევენციული სტრატეგიის არასრულფასოვნება;
  - ✓ უფასო სამედიცინო სერვისების მნიშვნელოვანი დეფიციტი;
  - ✓ კლინიკური გაიდლაინების იმპლიმენტაციის პროცესის დეფექტები;
  - ✓ სამედიცინო აუდიტორული და რეფორმის მონიტორინგული პროექტების სიმცირე;
  - ✓ სამედიცინო დაზღვევისა და პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გარეთ მყოფ პირთა სიჭარბე;
  - ✓ საეციფიური რისკის ჯგუფებში (იძულებით გადაადგილებული პირები, კონფლიქტური ზონის მაცხოვრებლები და სხვ.) კომბლექსური სამედიცინო ინტერვენციების დეფიციტი.

### **სამედიცინო პერსონალთა ასოცირებული პრობლემებია:**

- ქრონიკული დაავადებების მართვის ალგორითმების არასაკმარისი გამოყენება
  - ✓ ექიმის მიერ პაციენტის პერსონალური რისკის ჯგუფის განსაზღვრის უგულვებელყოფა;
  - ✓ დაავადებათა პირველადი და მეორადი პრევენციის, მათ შორის მედიკამენტური პრევენციული მიღვომის დეფიციტი;
  - ✓ მედიკამენტური მკურნალობის პროცესში პრეპარატების დოზის ტიტრაციის, გვერდითი მოვლენების მართვის და მკურნალობის ოპტიმიზაციის პრინციპების გაუთვალისწინებლობა;
  - ✓ ექინის რგოლის სისუსტე;
  - ✓ ექიმსა და პაციენტს შორის დაბალი კომუნიკაცია;
  - ✓ ექიმის აქტივობის დეფიციტი ქრონიკული დაავადებების მკურნალობაზე პაციენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით;
  - ✓ პაციენტთა გათვითცნობიერებისა და მათი სწავლების დეფიციტი.

### **მოსახლეობასთან ასოცირებული პრობლემებია:**

- პაციენტთა კრიტიკულად დაბალი ინფორმატიკულობა ქრონიკული დაავადებების მართვის პროცესში ექიმის მუდმივი მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ
  - ✓ ქრონიკული დაავადებების ხანგრძლივი მკურნალობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და დაბალი დამყოლობა მკურნალობაზე;
  - ✓ პაციენტთა თვითშემოქმედება მკურნალობის პროცესში.
- დაბალი გამოხმაურება პრევენციულ ინტერვენციებში მონაწილეობის მხრივ

## პოზიტივები დაავადებათა მართვის სფეროში:

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამსახურის შექმნა, რომელიც ახორციელებს არაგადამდებ დაავადებათა და მათი რისკ-ფაქტორების გავრცელების ეპიდემიოლოგიურ ანალიზს, აქტიურად მონაწილეობს კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

**ონკოპრევენციის ცენტრი**, რომელიც ჩამოყალიბდა ონკოლოგის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე, გამიზნულია საქართველოს მოსახლეობაში კიბოსწინარე დაავადებების და ავთვისებიანი სიმსივნეების ადრეული დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკის გაუმჯობესებისათვის.

2006 წელს, ევროპის ონკოლოგთა სკოლის (ESO) დაფინანსებით „ჩელენჯ ფანდ“-ის პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პედაგოგებში ჩატარდა სარძევე ჯირკვლების პროფილაქტიკური გასინჯვები, შეხვედრა-ლექციები პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობის საკითხებზე.

2006-07 წწ. „ონკო დაავადებათა პრევენცია და ადრეული დიაგნოსტიკა ბაქო-ჯეიპანის მარშრუტზე მარშრუტზე მცხოვრებ მოსახლეობაში BP Exploration (Caspian See) Limited-ის დაფინანსებით.

2007-08 წწ. „ონკო დაავადებათა პრევენცია და ადრეული დიაგნოსტიკა ბაქო-სუფსა გაზსადენის მარშრუტზე მცხოვრებ მოსახლეობაში“. BP Exploration (Caspian See) Limited-ის დაფინანსებით, ასევე UNFPA-ის მსარდაჭერით.

პირველად საქართველოში თბილისის მუნიციპალიტეტის და გაეროს მოსახლეობის ფონდის თანადაფინანსებით ქალბატონ სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟით 2008 წლის მაისში ამოქმედდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამა, რომლის ფარგლებში 40-დან 70-წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ქალბატონებს უტარდებათ ძუძუს, ხოლო 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს საშვილოსნოს ყელის სკრინინგი. კვლევები უფასოა.

ეროვნულ სკრინინგ ცენტრში პროგრამის ფარგლებში ტარდება შემდეგი სახის გამოკვლევები: სარძევე ჯირკვლის (ს/ჯ) ფიზიკალური გამოკვლევა მამოლოგის მიერ, სარძევე ჯირკვლის რადიოგრაფიული გამოკვლევა BIRAD სისტემით, ს/ჯ-ს ექოსკოპიური გამოკვლევა და სარძევე ჯირკვლის ციტოპათოლოგიური გამოკვლევა. ყველა ჩართულ ქალბატონს უტარდება გამოკვლევა PAP ნაცხის საშუალებით, ატიპური ნაცხის შედეგის შემთხვევაში ქალბატონებს უტარდებათ კოლპოსკოპირი კვლევა შემდგომი ბიოფსიით.

პროგრამის მიერ 2008 წელს გამოკვლეულ ქალთა რაოდენობამ სარძევე ჯირკვლის სკრინინგის მიმართულებით შეადგინა 9990 ქალი, ხოლო საშვილოსნოს ყელის სკრინინგის მიმართულებით 9448 ქალი. აღნიშნული კვლევების შედეგად სარძევე ჯირკვლის შემთხვევაში აღმოჩენილია ავთვისებიანი პათოლოგიის 85 შემთხვევა. საშვილოსნოს ყელის სკრინინგის შემთხვევაში ატიპური ტუსტის შედეგი ჰქონდა 1030 ქალს, მათგან კოლპოსკოპიური გამოკვლევა ჩაუტარდა 611 ქალბატონს, 108 ქალბატონს ჩაუტარდა ბიოფსია.

დამყარდა ურთიერთობა ბიზნეს სექტორთან, კერძოდ დამსაქმებელთა ასოციაციასთან, რათა ბიზნეს სექტორი აქტიურად ჩაერთოს სკრინინგის კომპანიის ორგანიზებაში (ჩართოს ორგანიზაციის წევრი კომპანიათა თანამშრომლები სკრინინგის უფასო პროგრამაში, მეორეს მხრივ კი თავისი წვლილი შეიტანოს ბიზნესის სოციალური ვალდებულების კუთხით).

2008 წლისთვის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა 725 000.00 ლარით, ხოლო 2009 წლისთვის გაიზარდა 900 000 ლარამდე. თანადამფინანსებულია გაეროს განვითარების ფონდი.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის აპრილიდან ფუნქციონირებს პირველი მობილური მამოგრაფიული „მამომობილი“. მისი სახით საქართველოში პირველი არატიპური, მამოგრაფიული მოძრავი კლინიკა – უახლესი ციფრული „მამომობილი“ ამჟამავდა. ეს არის „სიმენსი“-ს მოძრავი, მთლიანად კომპიუტერიზებული, ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი მოძრავი მამოგრაფიული სისტემა, რომელიც თბილისის მასშტაბით ქალებს სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგს უტარებს. მასში ჩამონტაჟებულია უახლესი აპარატურა. მოძრავი მამომობილის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში დღეში 100-მდე 40-დან 60-მდე ასაკის ქალბატონს ჩაუტარდეს გამოკვლევა.

მოძრავი პრევენციული ონკო-გინეკოლოგიური მობილის და სპეციალისტთა ჯგუფების გამოყენებით ტარდება ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-დან 60 წლამდე ქალთა ასაკობრივ ჯგუფში, რისთვისაც ასევე გერმანიაში სპეციალური ონკო-გინეკოლოგიური პრევენციისთვის განკუთვნილი მობილი დამზადდა.

პროგრამა მიმდინარეობს წარმატებით, რაც განპირობებულია ქალთა მაღალი მომართვიანობით. საშუალოდ, ყოველთვიურად გამოკვლევებს იტარებს 1500 ქალი.

2008 წლის **ქ. თბილისის მთავრობის** ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს სოციალურ პროგრამას წარმოადგენს 70 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების სამედიცინო დაზღვევა, ხოლო 70 000-მდე ქულის მქონე ოჯახების დაზღვევა ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტით. პროგრამა გრძელდება 2009 წელსაც. უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო კომპანიებს მოუწიათ ე.წ. „დაავადებული“ კონტინგენტის სამედიცინო სერვისების ანაზღაურება, ვინაიდან პრევენციული სახის ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით დედაქალაქში არ გატარებულა.

აქედან გამომდინარე, სამომავლოდ პრევენციული პროგრამების გაფართოვება საჭიროდ მიგვაჩნია შემდგომი მიმართულებებით:

1. პროსტატის კიბოს სკრინინგი 50 წელს გადაცილებული მამაკაცებისათვის (პროსტატ სპეციფიური ანტიგენის გამოყენებით).
2. ფარისებრი ჯირკვალის კიბოს სკრინინგი. აღნიშნული ლოკალიზაციის კიბოთი ავადობამ იმატა, რაც კავშირშია ჩერნობილის კატასტროფის შემდგომ სინდრომთან და ასევე უშუალო კავშირშია ძუძუს კიბოსთან.
3. კოლორექტული კიბოს სკრინინგი ფარულ სისხლდენაზე არსებული ტესტის და კოლონსკოპიის გამოყენებით 50 წელს გადაცილებულ მამაკაცებში. აღნიშნული სკრინინგ პროგრამების ამუშავება მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოში კიბოთი გამოწვეულ სიკვდილობას.
4. გულ-სისხლძართვთა დაავადებების ადრეული გამოვლინების სკრინინგი (გულის დაავადებების ადრეული ნიშნების სკრინინგი) 50 წლის ასაკის შემდგომ; უფასო გამოკვლევების ციკლი: ქოლესტეროლისა და გლუკოზის განსაზღვრა სისხლში, ეკგ (საჭიროების შემთხვევაში ექოკარდიოსკოპია); (ეროვნული უსახრთხოების სკრინინგი – დიდი ბრიტანეთი, გორდონ ბრაუნი) კარდიოვასკულარული გულ-სისხლძარღვთა და არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგის პროგრამა.

დღეისათვის საქართველოში გაგვაჩნია ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 2006 წ. ჩატარებული შინამეურნეობათა გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც ერთ სულ მოსახლეზე მედიანური „კალორიების მოხმარება“ (კკალ/დღეში) 2005 წლისთვის შეადგენდა 2670 კკალორიას, რაც თითქმის 300 კკალ-ითაა მომატებული 2002 წელთან შედარებით (2360 კკალ.). ამავე გამოკვლევებით ნუტრიენტების წვლილი კვებითი ენერგიის მოხმარებაში შედეგია: ცხიმები - 21%, ცილები - 12%,

ნახშირწყლები - 68%. ყველა ეს მაჩვენებელი შეესაბამება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდირებულ ნორმებს, მაგრამ არ არის საკმარისი არაგადამდებ დაავადებათა მართვის მიზნით ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად.

პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 2005 წლის საკვებზე დაფუძნებული გზამკვლევის სადისემინაციო პაკეტის დამუშავება (2006-07 წწ.) და პუბლიკაციები „კვება და ქრონიკული დაავადებების პრევენცია”, „რეკომენდაციები ჯანსაღი კვებისათვის”, „ჯანსაღი კვების ხელშეწყობა პირველად ჯანდაცვში კონსულტირების გზით” და სხვა. საქართველოს მთავრობასა და ჯანმრთელობის მინისტრის რეკომენდაციების შორის დადებულ თანამშრომლობის ხელშეკრულების (APW) ფარგლებში.

## რეკომენდაციები

- ქვეყანაში არაგადამდებ დაავადებათა ავადობის და სიკვდილობის სტატიტიკურ მონაცემთა აღრიცხვის სისტემის სრულყოფა
- არაგადამდებ დაავადებათა პრიორიტეტულ რისკ-ფაქტორთა სკრინინგული და მონიტორინგული პროგრამების ადაპტაცია ქვეყნის დონეზე
- არაგადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის აგება სახელმწიფო ჯანდაცვითი სტრუქტურებისა და პროფესიული ასოციაციების რეალური თანამშრომლობის გზით
- სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა მირითადი რისკ-ფაქტორის, არტერიული ჰიპერტენზიის მართვის ხარჯთ-ეფექტური სახელმწიფო პროგრამის ამუშავება სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა სიკვდილობის და სისხლძარღვოვანი გართულებების შემცირების მიზნით
- შაქრიანი დიაბეტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე
- ონკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგული აქტივობების გაფართოვება არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ჩარჩოებში
- რესპირაციულ დაავადებათა სასკრინინგო აქტივობათა გაძლიერება პოპულაციაში
- ჰიპერელადი ჯანდაცვის რგოლის სამდიციონო მომსახურების ხარისხის ამაღლება ქრონიკული დაავადებების გამოვლენის, შეფასების, პრევენციის და მკურნალობის თანამედროვე სტანდარტების გამოყენების გზით
- არაგადამდებ დაავადებათა მართვის უნიფიცირებული გაიდლაინების იმპლიმენტაცია ჯანდაცვის ქსელში და მათი პერიოდული განახლება მტკიცებულებების მონაცემთა შესაბამისად
- მოსახლეობის კვების რაციონში ინგრედიენტების ხვედრითი წილის დადგენის გზით ქართული პოპულაციის კვების ხასიათსა და კულტურასთან მისადაგებულ რეკომენდაციათა შემუშავება და პოპულაციაში ადაპტაცია
- ექიმთა პროფესიული ცოდნისა და ჩვევების ამაღლება დაავადებათა ხანგრძლივ პროცესში მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობის ასამაღლებლად
- ექთნების სწავლების მოდელის სრულყოფა
- ქრონიკული დაავადებების მართვაში ინტეგრირებული მიდგომა ეფექტური კოლაბორაციის გზით – ექიმი, ექთანი, ფარმაცევტი, ჯანდაცვის სახოგადოებრივი განმანათლებელი.

## დანართი 1

ცხრილი 1

### რისკ-უაქტორთა ხეკვერითი წილი სხვადასხვა დაავადებათა განვითარებაში %

დაავადებები	არაჯანსაღი ცხოვრების წესი	გენეტიკური რისკი	გარემოს დაბინძურება	არაადექსატური სამედიცინო დაბმარება
გულის იშემიური დაავადება	60	18	12	10
თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა	65	17	13	5
ავთვისებიანი სიმსიფნეები	45	26	19	10
დიაბეტი	35	53	2	10
პნევმონია	19	18	43	20
ფილტვის ემფიზემა და პრონქული ასთმა	35	15	40	10
ღვიძლის ციროზი	70	18	9	3
უბედური შემთხვევები	55	5	30	10

ცხრილი 2

### ავადობის ტკირთი (DALYs) ძირითადი მიზეზების მიხედვით, 2002

	DALYs	%
ყველა შემთხვევა	891192	100
1. გულის იშემიური დაავადება	163411	18.3
2. ცერებრული გულური დაავადება	122449	13.7
3. უნიპოლარული დეპრესია	61490	6.9
4. პერინატალური მდგომარეობები	37345	4.2
5. ოსტეოართრიტი	24362	2.7
6. წამლის მიღებით გამოწვეული დარღვევები	21844	2.4
7. ღვიძლის ციროზი	21203	2.4
8. სმენის დაკარგვა, შეძენილი	19467	2.2
9. დიაბეტი	17864	2.0
10. ასაკზე დამოკიდებული მხედველობის დარღვევები	17793	2.0

**მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით\***

	2003	2004	2005	2006	2007
პირებული დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნიბა, ათასი შემთხვევა მათ შორის	574.8	621.0	695.2	761.0	767.8
ინფექციური და პარაზიტული	43.4	55.6	54.0	44.9	50.8
ახალწარმონაქმნები	7.1	8.4	8.4	9.2	7.5
ენდოკრინული სისტემის დაავადებები, კვების ნივთიერებათა ცვლის დარღვევები	28.9	30.0	31.5	27.7	27.3
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები	7.4	8.6	8.5	9.4	10.3
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	6.1	7.6	7.0	6.8	5.6
ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დაავადებები	45.2	51.5	54.9	...	...
*ნერვული სისტემის დაავადებები	...	...	...	31.9	26.0
*ოვალისა და მისი დანამატების დაავადებები	...	...	...	30.1	24.6
*ჟურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები	...	...	...	16.0	15.4
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	64.1	70.7	82.5	83.2	71.2
სასუნთქი ორგანოების დაავადებები	236.1	235.5	249.1	313.8	288.8
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	39.8	42.0	84.9	56.6	120.7
შარდსასქესო სისტემის დაავადებები	27.0	31.6	31.6	40.4	33.8
გართულებული ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი	4.0	6.0	8.2	9.5	7.2
კანისა და კანქეშა უჯრედისის დაავადება	21.1	23.8	23.3	27.0	27.0
ძვალკუნთოვანი სისტემის და შემაქრთებელი ქსოვილების დაავადებები	10.2	10.7	13.2	17.8	17.1
თახდყოლილი ანომალიები	1.0	1.2	1.1	1.3	1.3
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობა	2.3	2.5	2.5	2.0	1.9
